ცენტრალური საარჩევნო კომისია

ა ნ გ ა რ ი შ ი

2013 წლის 27 ოქტომბრის
საპრეზიდენტო არჩევნები

დეკემბერი, 2013

თბილისი

სარჩევი

შესავალი.....4

წინასაარჩევნო პერიოდი 6

საარჩევნო პროცესის ორგანიზება.....6

რეორგანიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები.....8

არჩევნების ადმინისტრაციული და სამართლებრივი საკითხების ორგანიზება..... 14

არჩევნების ფინანსური ორგანიზება.....21

ტრენინგები და სახელმძღვანელო მასალები 26

არჩევნებში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა 34

ამომრჩეველთა ინფორმირება და საგრანტო პროგრამები 37

ამომრჩეველთა სია 42

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების ჩართულობა არჩევნებში..... 44

არჩევნების დღე 51

არჩევნების შემდეგომი პერიოდი 53

სამომავლო გეგმები.....55

შესავალი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე. ცესკომ დიდწილად გაითვალისწინა ავტორიტეტული საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მომზადებული რეკომენდაციები.

ცესკო ამ პერიოდის განმავლობაში ასევე ხელმძღვანელობდა კომისიის მიერ 2012 წელს დამტკიცებული 2012-2015 წლების სტრატეგიული გეგმით. სტრატეგიული გეგმის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის სამი მნიშვნელოვანი სტარტეგიული მიზნის განხორციელებას გეგმავდა: საარჩევნო ადმინისტრაციის მოდერნიზაცია, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა და ინფორმირებული ამომრჩეველი. ამ მიმართულებებით 2013 წლის 27 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე განხორციელდა არაერთი რეფორმა ადმინისტრაციის ყველა დონეზე და შედეგად კომისია მომზადებული შეხვდა საპრეზიდენტო არჩევნებს.

საანგარიშო პერიოდში ცესკო აქტიურად თანამშრომლობდა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან, რითაც ხელს უწყობდა პროცესის გამჭვირვალობას და მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი ფორმატი, სადაც ცესკოს ეძლეოდა შესაძლებლობა ეწარმოებინა ეფექტური კომუნიკაცია არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე არჩევნებში ჩართულ ყველა ძირითად აქტორთან: პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიის, სხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, სხვა საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ამომრჩევლებთან და ეთამაშა წამყვანი როლი საარჩევნო პროცესში.

ცესკო მიერ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის გაწეული სამუშაო ერთმნიშვნელოვნად დადებითად იქნა შეფასებული როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE/PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ევროპარლამენტისა (EP) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის (NATO PA) ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის წინასწარ დასკვნაში ცესკოს მიერ გაწეული სამუშაო ცალსახად დადებითად არის შეფასებული: “ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობდა. მან საარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ამასთანავე, ყველა ჩართულმა მხარემ, ცესკო-ს მაღალი დონის ნდობა გამოუცხადა. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის ცესკო-ს სხდომები და შეხვედრები ღია იყო. არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ცესკო ატარებდა ღია დისკუსიებს ყველა ჩართულ მხარესა და პარტნიორებთან”.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნების” შეფასებით, “ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა იყო ღია და ხელს უწყობდა ადგილობრივ,

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასეცე პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლური გარემოს ჩამოყალიბებას. ცესკო აქტიურად იღებდა მონაწილეობას ამომრჩევლების ინფორმირების პროცესში”.

გაწეული მუშაობის შედეგია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ბოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა 2013 წლის ნოემბერში საზოგადოების მხრიდან ცესკოს ნდობის მანდატი გაზრდილია 16%-დან, რაც დაფისირდა 2013 წლის სექტემბერში, 37%-მდე. ეს ციფრი არის ცესკოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაც აქამდე დაფიქსირებულა საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგად.

საზოგადოების ნდობის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ცესკოს მიერ საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების გამოაქვეყნება უმოკლეს ვადებში. ცესკომ არჩევნების პირველადი შედეგები 440 უბნის მიხედვით (სულ 3,741 უბანი) უკვე არჩევნების დღეს, 27 ოქტომბრის 00:00 საათზე გააცნო მოსახლეობას. ხოლო, კენჭისყრის დასრულებიდან 24 საათში კომისიამ ყველა უბნის მიხედვით გამოაცხადა პრეზიდენტის არჩევნების წინასწარი შედეგები.

წინამდებარე ანგარიში ასახავს ცესკოს მიერ საანგარიშო პერიოდში (2013 წლის 1 ივლისი - 2013 წლის 13 ნოემბერი) გაწეულ სამუშაოს.

წინასაარჩევნო პერიოდი

საარჩევნო პროცესის ორგანიზება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის მომზადდა ცესკოს განკარგულების პროექტი საარჩევნო ოლქების საზღვრების, სახელწოდებებისა და ნომრების დადგენის შესახებ. შეიქმნა 73 საარჩევნო ოლქი და 3741 უბანი, მათ შორის გამონაკლის შემთხვევაში 34 და საზღვარგარეთ 52. 34 გამონაკლისი საარჩევნო უბნიდან 16 უბანი გაიხსნა თავდაცვის სამინისტროს ნაწილებში, 3 შინაგან საქმეთა სამინისტოს, 3 სახელწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფებში, 10 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და 2 უბანი კი სამკურნალო დაწესებულებაში. გარდა ამისა, თავდაცვისა და შს სამინისტროების და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 94 მცირე დანაყოფი მიემაგრა ახლომდებარე საარჩევნო უბანს.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ცესკოს განკარგულების პროექტი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების თაობაზე და მიღებული გრაფიკი აისახა საარჩევნო ოლქების მართვის პროგრამაში (PROJECT). ასევე შეგროვდა ინფორმაცია არჩევნების ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და დაფინანსების მოთხოვნის შესახებ. აღირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა, საოლქო საარჩევნო კომისიების ოფისების მდგომარეობა და არჩევნებისათვის მზადყოფნა. გაკეთდა შესაბამისი ანალიზი, განისაზღვრა დამატებითი შესაძენი ინვენტარისა და სავარაუდო დაფინანსების ოდენობა და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა ცესკოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს. საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად მიმდინარეობდა ინფორმაციის განახლება საუბნო საარჩევნო კომისიების დისლოკაციების ადგილების შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მოგროვდა ინფორმაცია იმ საარჩევნო უბნების შესახებ, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მოგროვდა ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ შენობების შესახებ, სადაც განთავსებულია საარჩევნო უბნები და რომლებშიც რეგისტრირებულია ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი. მიღებული ინფორმაცია გადაეცა ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტს. საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მოგროვდა ინფორმაცია ზოგირთი საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ფართის დაქირავების შესახებ და მიღებული ინფორმაცია გადაეცა ადმინისტრაციულ და დაგეგვმისა და ანალიზის დეპარტამენტებს შემდგომი რეაგირებისათვის. სულ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დასაქირავებელი გახდა 212 საარჩევნო უბნის ფართი.

საანგარიშო პერიოდში დამუშავდა და მომზადდა არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი საარჩევნო ფორმები, რომლების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დადგენილ ვადებში გადაეცა საოლქო საარჩევნო კომისიებს.

შეგროვდა ინფორმაცია იმ შენობა ნაგებობების შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გაკეთდა იმ შენობა ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც დასაშვებია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

გაკეთდა ამომრჩეველთა საინფორმაციო სტიკერის ფორმა და დასაბეჭდად გადაეცა სტამბას იმ საარჩევნო უბნების ჩამონათვალთან ერთად, რომელი უბნებისთვისაც განისაზღვრა სტიკერის დარიგება. სულ დაიბეჭდა 155 370 საინფორმაციო სტიკერი. საოლქო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით განისაზღვრა 2013 წლის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში დამხმარე და ტექნიკური პერსონალის რაოდენობები. ტექნიკური პერსონალის საერთო რაოდენობა განისაზღვრა 600 კაცით. საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიების ინფორმირება ცესკოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილებები ეგზავნებოდა საოლქო საარჩევნო კომისიებს.

ცესკოს საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოგროვდა ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიებში აყვანილი იურისტების შესახებ და დაიგეგმა მათი ტრენინგი ცესკოს იურიდიულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით. გაკეთდა ელექტორნული ბაზა ოლქების მიხედვით პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების შესახებ და სისტემატიურად მიმდინარეობდა განყოფილების კოორდინატორების და საოლქო საარჩევნო კომისიების ინფორმირება ცვლილებების შესახებ.

მომზადდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა განცხადების ფორმა. საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცა საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომებისათვის საჭირო დოკუმენტაცია: ამომრჩეველთა ერთიანი სია, გასაჩივრების წესი, საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი, ოქმის ნიმუში, განკარგულების პროექტი თავმჯდომარე, მოადგილე, მდივნის არჩევის შესახებ, განცხადებების ფორმები. საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის არჩევის შესახებ გასაჩივრების პროცედურების ინსტრუქცია, რაიონული/საქალაქო სასამართლოების ჩამონათვალი და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრთათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ ინსტრუქცია. სულ საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული/არჩეული იყო 48256 წევრი, მათ შორის 31467 ქალი (65%).

მომზადდა სტატისტიკური ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების შესახებ პარტიების მიხედვით, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პირველ სხდომებზე დასწრება პარტიების მიხედვით და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში არსებული ეთნიკური უმცირესობები[1]. გაკეთდა ელექტრონული ბაზა საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიის/პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლების დანიშვნის თაობაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთად განხორციელდა ბიულეტენების საბოლოო სახით შემუშავება და გადამოწმება, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნებისათვის ბიულეტენების ბეჭდვის მონიტორინგი. სისტემატიურად მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული

[1] იხილეთ დანართი (1)

სისტემაში საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრების და მიღებული გადაწყვეტილებების ატვირთვის მონიტორინგი. საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ ჯეოსელის სატელეფონო ბარათები, რომლითაც არჩევნების დღეს განხორციელდა ამომრჩეველთა აქტივობის მიღება.

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერთიფიკაციო გამოცდის ორგანიზება. სასერტიფიკაციო გამოცდისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება, რომელიც წინასწარი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე. საგამოცდო ტესტი მოიცავდა შემდეგ თემებს: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, და ზოგადი უნარები. სასერთიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობას აკვირდებოდა მიზნით 7 არასამთავრობო ორგანიზაცია.

რეორგანიზაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები

საანგარიშო პერიოდში ცესკოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობდა საარჩევნო პროცესის ხელშემწყობი პროგრამების შექმნა-განახლების, კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებებით. ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

<u>ტექნიკური ინოვაციები</u>

- ვირტუალური მანქანების კლონირება: არსებული სისტემებისა და აპლიკაციების შეუფერხებელი მუშაობისათვის გაკეთებული იქნა ყველა მნიშვნელოვანი სისტემის კლონირება სხვა ფიზიკურ სერვერზე.
- ახალი NS-სერვერების გამართვა: გაიმართა ორი ახალი NS-სერვერი, პირველადი- ns1.cec.gov.ge – შეერთებით “კაუკასუს ონლაინთან” და მეორადი - ns2.cec.gov.ge - შეერთებით „სილქნეტთან“. დეპარტამენტმა აწარმოა მოლაპარაკება ინტერნეტ-პროვაიდერებთან და .GE ზონის ადმინისტრატორთან. შედეგად, რეესტრში ჩასწორებული იქნა ჩანაწერები ცესკოს 4-ვე დომეინისათვის და 4-ივე დომეინისათვის პირველადი სერვერი გახდა ns1.cec.gov.ge, მეორადი სერვერი კი - ns2.cec.gov.ge. გარდა ამისა, „სილქნეტსა“ და „კაუკასუს ონლაინში“ აგრეთვე გაწერილი იქნა მეორადი სერვერები. ყოველივე ამის შედეგად, ერთი რომელიმე NS-სერვერის, ან რომელიმე პროვაიდერთან შეერთების ჩავარდნის შემთხვევაშიც კი ცესკოს ელექტრონული რესურსები მომხმარებლებისათვის იყო ხელმისაწვდომი.
- ახალი საფოსტო სერვერი - MS Exchange Server: საარჩევნო ადმინისტრაციის ელექტრონული მიმოწერის გაუმჯობესების მიზნით, არსებული სამოქმედო გეგმის თანახმად ახალ საფოსტო სერვერზე გადასასვლელად ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:
    - ახალი საფოსტო სისტემისათვის გამართულ ახალ დომეინ კონტროლერზე შეიქმნა ცესკოს თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიების

მომხმარებლები, რომელთაც წინასწარ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით განესაზღვრათ მისაღები და გასაგზავნი წერილების, აგრეთვე თითოეული საფოსტო ყუთის ზომები.

- ყველა ეს მომხმარებელი გადატანილი იქნა საფოსტო სერვერზე და შეიქმნა მისამართების წიგნი.
- საოლქო საარჩევნო კომისიებს წერილები დაეგზავნათ ახალი საფოსტო სერვერის სატესტო რეჟიმში გაშვებასთან დაკავშირებით, სადაც აღწერილი იქნა საფოსტო სერვერზე შესვლისა და მასთან მუშაობის დეტალები.
- არსებული საფოსტო სერვერიდან გადმოწერილი იქნა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის გაგზავნილი და მიღებული წერილი და გამზადდა ახალ საფოსტო სერვერზე ასატვირთად. ძველ საფოსტო სერვერზე, ყველა მომხმარებლისათვის გაკეთდა ახალ საფოსტო სერვერზე გადამისამართება. გარდა ამისა, ახალ სერვერზე გადაწერილი იქნა აგრეთვე ცესკოს აპარატის თანამშრომელთა წერილები.

- ინვენტარის შეძენა: არჩევნების შეუფერხებლად ჩატარებისათვის მომზადდა ცესკოსათვის შესაძენი ტექნიკური ინვენტარის ნუსხა. აღნიშნული ნივთები მოძიებულ იქნა სხვადასხვა კომპიუტერულ ფირმებში და განხორციელდა მათი შესყიდვა.
- ინტერნეტის მოხმარების ეფექტურობა: გაიმართა მოლაპარაკებები საარჩევნო ადმინისტრაციისათვის ინტერნეტის მომწოდებელ პროვაიდერებთან და შედეგად არჩევნებისათვის გაიზარდა ინტერნეტის მოწოდების სიჩქარე როგორც ”სილქნეტის”, ასევე ”კაუკასუს ონლაინისაგან”. არჩევნების შედეგების ვებ-გვერდის გამართული და შეუფერხებელი მუშაობისათვის ორივე ინტერნეტ-პროვაიდერისაგან დამატებით იქნა აღებული 16-16 ცალი IP მისამართი.
  - ”სილქნეტთან” ურთიერთობა: 65 საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო პერიოდისათვის მაქსიმალურად იქნა გაზრდილი DSL-ინტერნეტის სიჩქარე. 8 საოლქო კომისიაში, სადაც ინტერნეტი სატელიტური შეერთებითაა, აღებული იქნა მაქსიმალური პაკეტი გახარჯული ინტერნეტის მაქსიმალური ლიმიტით. ყოველივე ამის შესახებ, „სილქნეტისგან“ ყოველდღიურად ვიღებდით ანგარიშს. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი და რეზერვირებული იქნა IP მისამართები. ამ IP მისამართების მიხედვით გაეხსნათ წვდომა საოლქო კომისიებს ”საარჩევნო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაზე”.
  - ”მიკრონეტთან” ურთიერთობა: მესტიის საოლქო საარჩევნო კომისიის თხოვნით, მოძიებული იქნა კომპანია „მიკრონეტი“. მასთან მოლაპარაკების შედეგად მესტიაში, „სილქნეტის“ სატელიტური ინტერნეტის გარდა, დამატებით დაყენებული იქნა „მიკრონეტის“ სატელიტური ინტერნეტი.

- კომპიუტერული ტექნიკის გამართვა:
  - უბნებში დასარიგებელი პორტატული კომპიუტერების (ლეპტოპების, პლანშეტების) გამართვა: დეპარტამენტში აყვანილ ოპერატორებთან ერთად

განხორციელდა არჩევნების დღისათვის უბნებზე დასარიგებელი პორტატული კომპიუტერების (Toshiba, LG, პლანშეტი) სამუშაოდ მომზადება: ჩაიტვირთა ახალი სისტემა და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი თითოეულ მათგანში ჩაიტვირთა ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ვერსია, ასევე ლეპტოპებზე ჩაიწერა არჩევნების დღესთან დაკავშირებული ვიდეო მასალა. სულ გაიმართა 2000-მდე ერთეული.

- ცესკოში და ოლქებში არსებული ტექნიკა: გაიმართა ცესკოს თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ცესკოში შესაკეთებლად მოტანილი კომპიუტერები - დაახლოებით 100 ერთეული.
- მონაცემთა დამუშავების ცენტრი: გაიმართა და შემოწმდა შედეგების დამუშავების დარბაზის კომპიუტერები. შემოწმდა დარბაზთან დამაკავშირებელი ოპტიკური არხი. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან აეწყო VPN კავშირი, როგორც საჭიროების შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებიდან სკანირებული შემაჯამებელი ოქმების მიღების ალტერნატიული სარეზერვო საშუალება. აღნიშნული დარბაზი სხვა ოპტიკური არხით შეერთდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქსელთან.
- ბრიფინგების დარბაზი: ბრიფინგების განახლებულ დარბაზში პროექტორისათვის გაყვანილი იქნა ახალი, მაღალი ხარისხის ვიდეო ინფორმაციის გამტარი HDMI კაბელი. ახალი HDMI კაბელი იქნა გაყვანილი აგრეთვე შედეგების დამუშვების დარბაზიდან ბრიფინგების დარბაზის ერთ-ერთ ეკრანამდე, რითაც შესაძლებელი გახდა საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული სკანირებული შემაჯამებელი ოქმების ეკრანზე ჩვენება. უშუალოდ არჩევნების დღისათვის შემოწმდა ბრიფინგების ოთახში არსებული პროექტორის, ტელევიზორების, კომპიუტერული ქსელის, აუდიო სისტემების მუშაობა.
- მედია ცენტრის გამართვა: ჟურნალისტებისათვის მოეწყო სპეციალური ოთახი – მედია-ცენტრი, სადაც შეყვანილი იქნა „სილქნეტის“ ტელევიზია – SilkTV, დაიდგა და გაიმართა კომპიუტერები და პრინტერები.
- მედია მონიტორინგისათვის ოთახი: მედია მონიტორინგისათვის მეოთხე სართულზე მოეწყო ოთახი, სადაც გამართული იქნა ლეპტოპები და პრინტერები.
- ცესკოს სტამბა: ცესკოს სტამბაში დაემატა ახალი კომპიუტერი და ახალი პრინტერი. ამასთან დაკავშირებით, საჯარო სამართლის იურდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან ჩამოყვანილი იქნა ერთი დამატებითი არხი. გადამოწმდა თითოეული პრინტერის და თითოეული კომპიუტერის მუშაობა.

➢ მედია საშუალებებისათვის არჩევნების შედეგების რეალურ დროში მიწოდება:

- არჩევნების წინასწარ შედეგებზე წვდომა: არჩევნების შედეგების რეალურ დროში მათთვის სასურველ ფორმატში მისაღებად, სხვადასხვა მედია საშუალებას მიეცა წვდომა სპეციალურად მათთვის გამოყოფილ სერვერზე.

აღნიშნულ მედია საშუალებებთან შედგა რამდენიმე შეხვედრა და მათ მიეცათ შესაბამისი ინსტრუქცია, სადაც ახსნილი იყო თუ რა სახის მონაცემებზე ექნებოდათ მათ წვდომა და როგორ შეეძლოთ მათ აღნიშნული მონაცემების დამუშავება.

- ვიდეო-ჩართვებისათვის ცესკოს ოპტიკური შეერთების გამოყენება: რამდენიმე მედია საშუალებას - „პირველი არხი“, „რუსთავი-2“ და „იმედი“, შენობაში არსებული ოპტიკური შეერთებებიდან („სილქნეტი“, „კაუკასუს ონლაინი“) ცესკოს მიერ გამოეყო ინდივიდუალური არხი, რომლის საშუალებითაც საარჩვენო პერიოდის განმავლობაში ისინი გადასცემდნენ სიგნალს პირდაპირ ეთერში.

- ცესკოს მთავარი ვებ-გვერდის **http://cesko.ge-ს** მოდერნიზება: აღნიშნული ვებ-გვერდის გამართული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შემუშვებული იქნა ვებ-გვერდის მოდერნიზების (როგორც ძრავის განახლების, ასევე ვებ-გვერდის შემადგენელი კომპონენტების განლაგების) გეგმა. კომპანია „ITDC“-ის დაევალა აღნიშნული გეგმის მიხედვით სამუშაოების შესრულება. „ITDC“-სთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად განახლდა ვებ-გვერდის ძრავი, მართვის პანელი და ვებ-გვერდი გადავიდა ე.წ. „კეშირების“ პრინციპზე. დაიგეგმა და განხორციელდა სერვერული ნაწილის გარდაქმნაც. მიღებული იქნა უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

- ვებ-გვერდის სარკისებური ანალოგის აწყობა**:** არჩევნების შედეგების ვებ-გვერდის შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად მიღებული იქნა ზომები ვებ-გვერდის სარკისებური ანალოგის, ე.წ. ”მირორის”-ის მსოფლიოს რამდენიმე წერტილში განთავსებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა საარჩევნო პროცესის უფრო ეფექტურად მართვისათვის განკუთვნილი პროგრამული საშუალებების შექმნა, დახვეწა და განახლება. ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- **”**საარჩევნო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა”: სისტემას რამდენიმე ახალი მოდული დაემატა, ხოლო არსებულ მოდულებს მრავალი ახალი ფუნქცია.

- “საარჩევნო კალენდარში“ განთავსდა მიმდინარე არჩევნებისთვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით ოლქებისათვის შესასრულებელი ღონისძიებათა ნუსხა.

- ”საჩივრები”-ს გვერდზე ეტაპობრივად დაიწყო განთავსება ოლქსა და უბანში შესულმა ყველა საჩივარმა, სისტემაში აიტვირთა საწყისი და საბოლოო დოკუმენ-ტები.

- საოლქო საარჩევნო კომისიების ნაწილში სისტემას გაუფართოვდა ფუნქციები, პროგრამას დაემატა პუნქტები:
  - ”კონკურსანტები” – საარჩევნო ოლქებს მიეცათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტურ ადგილებზე შემოტანილი ”კონკურსანტე-ბის” მონაცემების პროგრამაში შეტანის და შემდგომ აღნიშნული ”კონკურ-

სანტებიდან” საუბნო კომისიის წევრებად დანიშვნის შესაძლებლობა. ამავე დროს ცესკოს შესაბამისი ოლქებიდან ინფორმაციის სრულად და მცირე დროში მიღების შესაძლებლობა მიეცა.

- ”დამკვირვებელი/წარმომადგენელი” – აღნიშნულმა პუნქტმა მოგვცა ოლქში დარეგისტრირებული წარმომადგენლების და დამკვირვებლების შესახებ მონაცემების ელექტრონულ ფორმატში ასახვის და მოწმობების პროგრამიდან ბეჭდვის შესაძლებლობა, აღნიშნული პუნქტი შეიქმნა, როგორც ოლქებისათვის, ასევე ცესკოსთვის.
- “ამომრჩეველთა სია” - საარჩევნო ოლქებს ამომრჩეველთა საბოლოო სიაზე პროგრამიდან წვდომის შესაძლებლობა მიეცათ.

- ამომრჩეველთა აქტივობის დასაფიქსირებელი მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სისტემა:
  - გადაიხედა და შემოწმდა მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიღებისა და გაგზავნის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის გამართული ელექტრონული სისტემა „KANNEL“-ის კონფიგურაცია. შედგა მოლაპარაკება კომპანია „ჯეოსელთან“ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. „ჯეოსელისგან“ შეძენილ იქნა 3900 სიმ-ბარათი, რომლებიც გადაეცათ საარჩევნო ოლქებს შესაბამისი საუბნო კომისიებისათვის მისაცემად. დაიწერა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიღება-გადაცემის ახალი ინსტრუქცია.
  - ”საარჩევნო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში” განახლდა მოკლე ტექსტური შეტყობინებებისთვის საჭირო ცხრილები, დაემატა ტელეფონების ნომრების ატვირთვის, უბნის გახსნის და აქტივობის შეხსენების ღილაკები.
  - არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ორჯერ ჩატარდა საარჩევნო უბნების ტესტირება-ტრეინინგი.

- პროგრამული უზრუნველყოფა: შეიქმნა ან განახლდა ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის პროგრამა. მომზადდა შესაბამისი მონაცემთა ბაზები და მოდიფიცირება ჩაუტარდა შედეგების შეტანის პროგრამას. ასევე, შეიქმნა ამომრჩეველთა სიების ერთიანი და სამაგიდე ვერსიების ავტომატურ რეჟიმში PDF ფორმატში გადაყვანის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.
- საარჩევნო ბიულეტენები და შემაჯამებელი ოქმები:
  - მომზადდა საარჩევნო ბიულეტენების განაწილების სქემა და გადაეცა სტამბებს; მომზადდა საარჩევნო ბიულეტენების ფორმები (ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი ოლქებისა და უბნებისათვის მომზადდა ამომრჩეველთა ორენოვანი ბიულეტენების დედნები – ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური) და დასაბეჭდად გადაეცა

სტამბებს; მომზადდა საოლქო და საუბნო შემაჯამებელი ოქმების დასაბეჭდი ვერსიები, რომლებიც სტამბას გადაეცა.

უსინათლოთათვის ხმის მიცემის გამარტივების მიზნით ჩატარებული სამუშაო:

- კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტთან ერთად მომზადდა და გაანალიზდა ბიულეტენის ჩარჩო-ფორმის დასამზადებლად აუცილებელი ხარჯთაღრიცხვის ორი ვარიანტი (ცესკო-ს მიერ დამზადება, სტამბური წესით დამზადება). არჩევანი გაკეთდა სტამბური წესით დამზადებაზე.
- ფირმა "Printexpress"-თან კონსულტაციის შედეგად შეირჩა და შესყიდულ იქნა ბიულეტენის ჩარჩო-ფორმის დასამზადებლად საჭირო მასალა. ჩარჩო-ფორმებისათვის ორი ყალიბის მაკეტი მომზადდა: I – ქართულენოვანი და ორენოვანი ბიულეტენიებისათვის და II – სამენოვანი ბიულეტენისათვის. ფირმა "Ergi+"-თან მოლაპარაკების შემდეგ მაკეტისაგან დამზადდა ყალიბები, რომელთა მეშვეობითაც სტამბაში დამზადდა 6000 ცალი ბიულეტენის ჩარჩო-ფორმა.
- შედეგების შეტანის გაუმჯობესების მიზნით: შედეგების მონაცემთა ბაზაში შეტანის დაჩქარების მიზნით დაკომპლექტდა ოპერატორთა 3 ცვლა, რომლებსაც არჩევნებამდე რამოდენიმეჯერ ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები. უმეტესობა ოპერატორებისა იყვნენ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრები.

არჩევნების შედეგების ვებ-გვერდისათვის გამოიყო და მომზადდა ორი ერთნაირი სერვერი. სერვერებზე განთავსდა არჩევნებისთვის შექმნილი ახალი ვებ-გვერდი (results2013p.cec.gov.ge), რომელზეც მოეწყო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ვიზუალიზაცია.

<u>ცესკოს კონტაქტ-ცენტი</u>

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის, ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების გაუმჯობესების მიზნით, ცესკოს ცხელ ხაზს დაემატა ახალი ფუქციები და ჩამოყალიბდა ცესკოს კონტაქტ-ცენტრი, რაც მოიცავდა შემდეგ მომსახურებებს:

კომუნიკატორი:

- ინტერნეტ ტელეფონი - CRM;
- ხმოვანი ავტომატური საინფორმაციო მომსახურება;
- მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნის პროგრამა.

ვებ-გვერდი:

- ონლაინ ჩათი;
- ონლაინ ოპერატორი.

ინტერნეტ ტელეფონი CRM ფუნქციები:

- შემოსული ზარების მომსახურება;

- მონაცემთა ბაზებთან ინტეგრირება;
- გამავალი ზარების განხორციელება ერთიანი ნომრით;
- მიმდინარე/დასრულებული ზარების მონიტორინგი;
- ზარის დაყოვნება;
- შიდა ზარების გადართვა;
- ზარების თანაბარი გადანაწილება;
- შემოსული ზარების ჩაწერა;
- გადართვა ავტომოპასუხეზე;
- დაინტერესებულ პირთა რეგისტრაცია მიმდინარე ღონისძიებების და ვაკანსიის კატეგორიებზე;
- ჩანაწერების შენახვა თარიღების მიხედვით;
- ჩანაწერების მოსმენა.

კონტაქტ-ცენტრში მოეწყო ავტომატური ხმოვანი საინფორმაციო სამსახური, რაც გულისხმობს დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის ხმოვან, ავტომატურ რეჟიმში მიწოდებას შესაბამისი ღილაკის მეშვეობით.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, ცესკოს კონტაქტ-ცენტრისთვის, შეიქმნა სპეციალური საძიებო სისტემა, სადაც განთავსდა ყველა საჭირო ინფორმაცია. ოპერატორებს შეეძლოთ საკვანძო სიტყვის აკრეფით სასურველი ინფორმაციის დროულად მოძიება.

დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა ცესკოს კონტაქტ-ცენტრის 22 ოპერატორი, (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 3 ოპერატორი), რომელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით. პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორებს ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგები საარჩევნო საკითხებზე.

არჩევნების ადმინისტრაციული და სამართლებრივი ორგანიზება

ადმინისტრაციული საკითხები

<u>პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია</u>

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ იქნა 54 განცხადება, მათ შორის 44 - ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის, ხოლო 11 - პოლიტიკური გაერთიანების მოთხოვნა მათ მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ.

წარდგენილი დოკუმენტაციის საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 98-ე მუხლის შესაბამისობასთან დადგენის შემდგომ საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადდა 101 დასკვნა, მათ შორის:

- 36 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის შესახებ;
- 29 ამომრჩეველთა სინიციატივო ჯგუფისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ;

- 9 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისა და მათ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;
- 23 პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ;
- 31 პრეზიდენტობის კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 4 ივლისის №162/2013 განკარგულების შესაბამისად, საინიციატივო ჯგუფებისათვის ხარვეზის შესწორების მიზნით გაგზავნილ იქნა 36 წერილობითი შეტყობინება დადგენილი ხარვეზების დეტალური მითითებით.

პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარების მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და პოლიტიკური გართიანებების მიერ სულ წარმოდგენილი იყო 27 მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიების შემოწმების შედეგად მხარდამჭერთა სიის გაბათილებული ნაწილი ხარვეზის შესავსებად დაბრუნებულ იქნა საინიციატივო ჯგუფის/პოლიტიკური გაერთიანების 10 წარმომადგენელისთვის. კანონით დადგენილ 2 დღის ვადაში შესწორებული სიები წარმოადგინა 8 წარმომადგენელმა. შესაბამისად, პირველადი და მეორადი შემოწმების შედეგად მომზადდა 27 სიების შემოწმების აქტი, 10 წერილობითი შეტყობინება ამომრჩეველთა სიებში არსებული ხარვეზების შესწორების თობაზე და 25 დასკვნის პროექტი და დასკვნა პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის საკითხის თაობაზე, მათ შორის:
23 - პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ იქნა 23 პრეზიდენტობის კანდიდატი:

1 – თამაზ ბიბილური (საინიციატივო ჯგუფი);
2 – გიორგი ლილუაშვილი (საინიციატივოჯგუფი);
3 – სერგო ჯავახიძე (მოძრაობა,,სამართლიანი საქართველოსთვის);
4 – კობა დავითაშვილი (პ/გ,,ხალხის პარტია");
5 – დავით ბაქრაძე (პ/გ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა");
6 – აკაკი ასათიანი (პ/გ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი");
7 – ნინო ჭანიშვილი (საინიციატივო ჯგუფი);
8 – თეიმურაზ ბობოხიძე (საინიციატივო ჯგუფი);
9 – შალვა ნათელაშვილი (პ/გ„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია");
10 – გიორგი თარგამაძე (პ/გ„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა");
11 – ლევან ჩაჩუა (საინიციატივო ჯგუფი);
12 – ნესტან კირთაძე (საინიციატივო ჯგუფი);
13 – გიორგი ჩიხლაძე (საინიციატივო ჯგუფი);
14 – ნინო ბურჯანაძე (პ/გ„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო");
15 – ზურაბ ხარატიშვილი (პ/გ„საქართველოს ევროპელი დემოკრატები");
16 – მიხეილ სალუაშვილი (საინიციატივო ჯგუფი);
17 – ქართლოს ღარიბაშვილი (საინიციატივო ჯგუფი);

18 – მამუკა ჭოხონელიძე (საინიციატივო ჯგუფი);
19 – ავთანდილ მარგიანი (საინიციატივო ჯგუფი);
20 – ნუგზარ ავალიანი (საინიციატივო ჯგუფი);
21 – მამუკა მელიქიშვილი (საინიციატივო ჯგუფი);
22 – თეიმურაზ მჟავია (პ/გ „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია”);
41 – გიორგი მარგველაშვილი (პ/გ„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო").

32 კანდიდატს უარი ეთქვათ საპრეზიდენტო კანდიდატებად რეგისტრაციაზე[2].

<u>საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები</u>

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ იქნა **69** საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადება დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თხოვნის თაობაზე. **65** საერთაშორისო ორგანიზაცია ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებული ცესკოს განკარგულების პროექტის საფუძველზე რეგისტრირებულ იქნა საერთაშორისო სადამკვირვებელ ორგანიზაციად ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში. საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებული ცესკოს მდივნის განკარგულებით სულ რეგისტრირებულ იქნა **65** სართაშორისო ორგანიზაციის **1241** საერთაშორისო დამკვირვებელი.

<u>ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები</u>

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ იქნა **65** ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადება დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თხოვნის თაობაზე. **60** ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებული ცესკოს განკარგულების პროექტის საფუძველზე რეგისტრირებულ იქნა ადგილობრივ სადამკვირვებელო ორგანიზაციად:

საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებული ცესკოს მდივნის განკარგულებით სულ რეგისტრირებულ იქნა **60** ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის **19746** ადგილობრივი დამკვირვებელი.

<u>მედია ორგანიზაციები</u>

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ იქნა 152 მედია ორგანიზაციის განცხადება აკრედიტაციის მოთხოვნის თაობაზე. საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის თაობაზე ცესკოს

[2] დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართში (2)

მდივნის განკარგულების საფუძველზე აკრედიტაცია გაიარა **152** მედია ორგანიზაციის **1381** წარმომადგენელმა.

საანგარიშო პერიოდში ცესკოს ადმინისტრაციული დეპარტამენტი პირადი საქმეების ფორმირების მიზნით, აწარმოებდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებას და პირად საქმეებში განთავსებას და ასევე ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში მიმდინარე საკადრო მიგრაციის შესაბამისად სისტემატურად აახლებდა საშტატო განრიგს, ახდენდა კადრების აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ მონაცემების განახლებას.

სრულყოფილ იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის საჯარო მოხელის 437 პირადი საქმე, საქართველოს კანონით ,,საჯარო სამსახურის შესახებ" და ცესკოს 2011 წლის 8 აპრილის №5/2011 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტაციისა და ვადის გათვალისწინებით. გარდა ამისა, დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის 70 საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩეული/დანიშნული 622 საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის პირადი საქმის ფორმირება და მათი კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ პერიოდში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის საქმიანობის ორგანიზებას წარმართავდა 72 საჯარო მოხელე და 152 შტატგარეშე მოსამსახურე.

დეპარტამენტმა უზრუნველყო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიზნით 330 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღება, დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, რეგისტრაცია და შესაბამისი ელექტრონული საინფორმაციო ბაზების შექმნა. საოლქო საარჩევნო კომისიების ძირითადი წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში შემოსულ იქნა 81 განაცხადი. საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრის დასაკავებლად 70 საოლქო საარჩევნო კომისიაში გამოცხადდა კონკურსი. სულ შემოვიდა 249 განაცხადი.

საარჩევნო პერიოდის მიმდინარეობისას ცესკოს მიერ არჩეული საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო გამოცხადდა 17 კონკურსი. კონკურსის სამდივნომ უზრუნველყო აღნიშნული კონკურსების ჩატარება კანონთან სრული შესაბამისობით.

ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყო შესარჩევი კონკურსის გამოცხადება საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს №251/2013 განკარგულების საფუძველზე შექმნილ საარჩევნო უბნებზე ა) №1 საზღვარგარეთის საარჩევნო უბანი - „ლეზერნიკი" და ბ) №2 საზღვარგარეთის საარჩევნო უბანი - „ერედვი" სპეციალური ჯგუფის წევრების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. კონკურსების შედეგად შერჩეულ იქნა თითოეულ უბანზე 4 კანდიდატი. გარდა ამისა, დეპარტამენტმა

უზრუნველყო აღნიშნულ საარჩევნო უბნებზე პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრთა დოკუმენტაციის ფორმირება. ინფორმაცია სპეციალური ჯგუფის შექმნისთანავე ოპერატიულად, კანონით დადგენილ ვადებში დაეგზავნა საგარეო და თავდაცვის სამინისტროებს.

ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი შეუფერხებელი მიმდინარეობა, ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №169/2013 განკარგულებით დადგენილი წესით. კონკურსი მიმდინარეობდა 53 საარჩევნო უბანზე. კონკურსების შედეგად დაკომპლექტდა 50 საარჩევნო უბანი. სულ არჩეულ იქნა 321 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი.

საარჩევნო პერიოდის მიმდინარეობის პარალელურად, დეპარტამენტი სისტემატურად თანამშრომლობდა საოლქო საარჩევნო კომისიებთან მათ შემადგენლობაში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების დაკისრების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მიზნით. შედეგად, შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე საოლქო და საუბნოს საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობების ზომების ელექტრონული ბაზა.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში გამოცხადდა ცესკოს სტრუქტურულ ერთეულებში სტაჟიორთა მისაღები კონკურსი. თითოეული სტაჟიორისათვის გაფორმდა ინდივიდუალური ხელშეკრულება და სტაჟირების ვადებიც ინდივიდუალურად განისაზღვრა. სტაჟირების ვადის ამოწურვის შემდეგ დამზადდა და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

დეპარტამენტში ხორციელდებოდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლების დარიცხვა და უწყისების მომზადება, მივლინებების გაანგარიშება, გადარიცხვა, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის წარმოება და სხვა ფინანსური ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ ამავე განყოფილებამ უზრუნველყო 74 ელექტრონული და არაელექტრონული მოწმობისა და 35 ავტომანქანის საშვის დამზადება/გაცემა.

საანგარიშო პერიოდში ცესკოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა არჩევნებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები. საარჩევნო ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარისა და სხვა საგნების შესყიდვის მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში გამოცხადდა 43 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულ იქნა 340 ხელშეკრულება.

სამართლებრივი საკითხები

საანგარიშო პერიოდში ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ცესკოში შემოსული 43 განცხადება/საჩივრის შესწავლა, დასკვნებისა და შესაბამისი განკარგულებების

პროექტების მომზადება[3]. ასევე, საანგარიშო პერიოდში იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცესკოს სახელით მონაწილეობა მიიღეს 14 სასამართლო პროცესში[4], რომელთან დაკავშირებითაც მომზადებულ იქნა შესაბამისი შესაგებლები და სასამართლოსათვის გადასაცემი საქმის მასალები. ამასთანავე, ამავე იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდა ანგარიში საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსული განცხადება/საჩივრების, სასამართლო პროცესებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შესახებ.[5]

იურიდიულმა დეპარტამენტმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა ცესკოს შემდეგი დადგენილებები:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე, საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
- ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტებში ცვლილებების თაობაზე, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დადგენის შესახებ (უმისამართო ამომრჩევლებისათვის შექმნილ საარჩევნო უბნებში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურის არჩატარების შესახებ);
- ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დადგენის შესახებ (გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდგომ პროცედურების განსაზღვრის შესახებ);
- ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების პირველი სხდომების მოწვევის ახალი ვადების დადგენისა და ზოგიერთი საარჩევნო უბნის გაუქმების შესახებ;
- ადმინისტრაციულ პატიმრობაში და დროებითი მოთავსების (დროებითი დაკავების) იზოლატორებში მყოფი ამომრჩევლებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში ხმის მიცემის საყოველთაო უფლების რეალიზებისათვის საარჩევნო პროცედურებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ;

[3] იხილეთ დანართი (3)
[4] იხილეთ დანართი (4)
[5] იხილეთ დანართი (5,6 და 7).

- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამატებითი პროცედურის განსაზღვრის შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებში ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობის წესის განსაზღვრის შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის მორიგი არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურებისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ;
- ,,საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებში ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის №20/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ,,საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის №18/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ", ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ასამოქმედებელი ნორმების შესაბამისად, პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ ასევე მომზადდა ცესკოს შემდეგი განკარგულებები:

- ,,საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი

საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, საარჩევნო უბნების, სპეციალური ჯგუფების შექმნის, მათი შემადგენლობის, კენჭისყრის ვადების და კენჭისყრის შედეგების შეჯამების წესის განსაზღვრის შესახებ";

- ,,ამომრჩეველთა მონაცემთა ბარათების ფორმისა და ტექსტის დამტკიცების თაობაზე", „პატიმრობის /თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 13 ივლისის №75/2012 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ" და განხორციელდა კოდიფიცირება;
- ,,საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში საჯარო რეესტრის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №21/2012 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

საანგარიშო პერიოდში ცესკოს იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად უწევდა იურიდიულ კონსულტაციას ცესკოს აპარატისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს. ასევე, კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება გაეწიათ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს განცხადება/საჩივრებთან და სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით.

არჩევნების ფინანსური ორგანიზება

საპრეზიდენტო არჩევნების 1 ივლისს გამოცხადების გამო, ცესკოს დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებისთვის დამატებით საჭირო თანხების გაანგარიშება, რაც განპირობებულ იქნა საარჩევნო პერიოდის გახანგრძლივებით. მოთხოვნა დამატებითი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომლის შუამდგომლობითაც, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №998 განკარგულების საფუძველზე, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოეყო 3 798 957[6] ლარი.

მომზადდა საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვა[7] (ცხრილი №1), რის საფუძველზეც მიღებულ იქნა ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნების გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ. დადგენილებით დამტკიცდა როგორც უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნების

[6] აღნიშნული თანხიდან 1 598 957 ლარი წარმოადგენდა შუალედური არჩევნების საკასო ხარჯების კომპენსაციას, რაც დაფინანსდა საპრეზიდენტო არჩევნების ბიუჯეტიდან.

[7] საპრეზიდენტო არჩევნების საკასო ხარჯების შესახებ ცხრილი (დანართი 8)

ორგანიზებისთვის საჭირო პირდაპირი, ასევე, არჩევნების გამართვასთან დაკავშირებული ირიბი ხარჯები.

ცხრილი №1

პროგრამული კოდი	ხარჯთაღრიცხვა	თანხა (ლარი)
სულ	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**34,466,703**
	ხარჯები	34,026,703
	შრომის ანაზღაურება	19,809,457
	საქონელი და მომსახურება	7,387,456
	სხვა ხარჯები	6,829,790
	არაფინანსური აქტივების ზრდა	440,000
06 02 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**29,104,640**
	ხარჯები	28,664,640
	შრომის ანაზღაურება	19,656,577
	საქონელი და მომსახურება	6,692,913
	სხვა ხარჯები	2,315,150
	არაფინანსური აქტივების ზრდა	440,000
06 02 02	**არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება**	**847,423**
	ხარჯები	847,423
	შრომის ანაზღაურება	152,880
	საქონელი და მომსახურება	694,543
06 04 03	**საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები**	**1,200,000**
	ხარჯები	1,200,000
	სხვა ხარჯები	1,200,000
06 04 04	**საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება**	**3,314,640**
	ხარჯები	3,314,640
	სხვა ხარჯები	3,314,640

მომზადდა საოლქო კომისიების ხარჯთაღრიცხვები, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა ცესკოს 2013 წლის 16 ივლისის №28 დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ.

აღნიშნული დადგენილებით საოლქო საარჩევნო კომისიებს გამოეყოთ თანხები საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ხარჯების დასაფინანსებლად, როგორიცაა: საარჩევნო ოლქისა და უბნების საკანცელარიო ინვენტარის, კავშირგაბმულობის, საარჩევნო ინვენტარის ტრანსპორტირების, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების, საუბნო კომისიის ფართის დაქირავების ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, თითოეულ საარჩევნო უბანზე დაფინანსება გაიზარდა 40 ლარით და შეადგინა 290 ლარი[8], რამაც საოლქო საარჩევნო კომისიებს მისცა შესაძლებლობა სრულყოფილად დაეფინანსებინათ საარჩევნო უბნის მოწყობა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ზემოაღნიშნული ხარჯების გასაწევად, სულ 73 საოლქო საარჩევნო კომისიას ანგარიშებზე გადაერიცხა 2 300 475 ლარი.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მომზადდა სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად პოლიტიკური პარტიებისათვის განკუთვნილი თანხების ოდენობის განსაზღვრისა და გადარიცხვის წესი[9], რაც დამტკიცდა ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №23 დადგენილებით. სულ სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად პოლიტიკური პარტიებისთვის გამოიყო 1 200 000 ლარი[10] (ცხრილი №2).

ცხრილი №2

№	**პოლიტიკური გაერთიანება**	**ხმათა რაოდენობა**	**გაანგარიშება**	**თანხა** (ლარი)
	საარჩევნო ბლოკი "ქართული ოცნება"	1 181 862	= 1 181 862 * 3 / 6 = 590 931 * 6 = = 3 545 586 > 600 000	
1	*პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"*		= 600 000 / 6	100 000
2	*საქართველოს კონსერვატიული პარტია*		= 600 000 / 6	100 000
3	*"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"*		= 600 000 / 6	100 000
4	*საქართველოს რესპუბლიკური პარტია*		= 600 000 / 6	100 000
5	*პ/გ "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები"*		= 600 000 / 6	100 000
6	*პ/გ ეროვნული ფორუმი*		= 600 000 / 6	100 000
7	პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	867 432	= 867 432 * 3 / 1 = 2 602 296 > 600 000	600 000
	სულ			**1 200 000**

დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ზემოაღნიშნული თანხების სატელევიზიო რეკლამის მიმწოდებელთან ჩარიცხვის მოთხოვნის უფლება გააჩნდა იმ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც ცესკოში დაარეგისტრირებდა პრეზიდენტობის კანიდიდატს. შესაბამისად, ცესკოს მიმართა ორმა საარჩევნო სუბიექტმა: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომელთა მიერაც სრულად იქნა ათვისებული კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო

[8] 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბნის დაფინანსების ოდენობა შეადგენდა 250 ლარს.

[9] დაფინანსების გამოყოფის საფუძველია "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

[10] 2013 წლის საბიუჯეტო კანონში და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილებაში აღნიშნული თანხები დამტკიცებული იყო 06 04 03 პროგრამული კოდით და წარმოადგენდა არჩევნებთან დაკავშირებულ ირიბ ხარჯს.

დაფინანსება. ხსენებული ორი საარჩევნო სუბიექტის მოთხოვნით, სატელევიზო რეკლამის მიმწოდებლებს ჯამში გადაერიცხათ 699 771 ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 43-ე მუხლის საფუძველზე, "საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილებით განისაზღვრა დაფინანსება 14 კვალიფიციური პოლიტიკური გაერთიანებებისთვის საარჩევნო ოლქებსა და უბნებში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების უზრუნველყოფისათვის. სულ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსებისთვის გამოიყო 3 314 640 ლარი[11] (ცხრილი №3).

ცხრილი №3

#	**კვალიფიციური პოლიტიკური პარტია**	**დანამატი თითო უბანზე**	**დანამატი თითო ოლქზე**	**დაფინანსება სულ 3800 საარჩევნო უბნისა და 73 საარჩევნო ოლქის შემთხვევაში (ლარი)**
1	პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"	60	120	**236,760**
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	60	120	**236,760**
3	პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	60	120	**236,760**
4	„საქართველოს რესპუბლიკური პარტია"	60	120	**236,760**
5	პ/გ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები"	60	120	**236,760**
6	პ/გ „ეროვნული ფორუმი"	60	120	**236,760**
7	მპგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	60	120	**236,760**
8	ახალი მემარჯვენეები	60	120	**236,760**
9	საქართველოს გზა	60	120	**236,760**
10	პგ "ხალხის პარტია"	60	120	**236,760**
11	მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის	60	120	**236,760**
12	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"	60	120	**236,760**
13	მპგ "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"	60	120	**236,760**
14	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"	60	120	**236,760**
	სულ			**3,314,640**

[11] 2013 წლის საბიუჯეტო კანონში და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილებაში აღნიშნული თანხები დამტკიცებული იყო 06 04 04 პროგრამული კოდით და წარმოადგენდა არჩევნებთან დაკავშირებულ ირიბ ხარჯს.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება და შეადგინა ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარი, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე - 150 ლარი[12].

განისაზღვრა დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიებისათვის არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საჭირო თანხები. 14 კვალიფიციური პარტიიდან საპრეზიდენტო არჩევნებზე რეგისტრირებული იყო (წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატი) 7 პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსების უფლება წარმოეშვა 7 პოლიტიკურ გაერთიანებას. გადარიცხულმა თანხამ ჯამში შეადგინა 2 613 650 ლარი[13] (ცხრილი №4).

ცხრილი №4

#	კვალიფიციური პოლიტიკური პარტია	გადარიცხული თანხა	ბიუჯეტში დაბრუნებული გაუხარჯავი ნაშთი
1	მპგ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	385,050	7,800
2	მპგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	385,050	33,900
3	მპგ "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"	379,850	22,485
4	მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის	378,200	61,125
5	პგ "ხალხის პარტია"	315,400	36,000
6	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"	385,050	900
7	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"	385,050	9,100
	სულ	**2,613,650**	**171,310**

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის კონტროლის მიზნით, განხორციელდა არჩევნების ორგანიზებისთვის აუცილებელი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის, შტატგარეშე მოსამსახურეთა დაქირავების შესახებ ხელშეკრულებათა ვიზირება.

---

[12] ამ ცვლილების გამო ცესკოს მიერ მოთხოვნა დამატებით დაფინანსებაზე არ გაკეთებულა, ვინაიდან "საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილებით საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთათვის დამტკიცებული თანხები გაანგარიშებული იყო დანამატის ძველი ოდენობებით (60 ლარი უბანზე, 120 ლარი ოლქზე) 14 პოლიტიკურ პარტიაზე, რაც საკმარისი აღმოჩნდა საარჩევნო კოდექსით დადგენილი გაზრდილი ოდენობებისთვის (100 ლარი უბანზე, 150 ლარი ოქლზე) 7 პოლიტიკურ პარტიაზე.

[13] თანხების ოდენობები, რაც მოცემულია ცხრილში დაზუსტდა პოლიტიკური პარტიებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე.

დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტმა განხორციელა მოლაპარაკებები საბანკო სექტორთან საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა სახელფასო პროექტის ორგანიზების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, დაგეგმვისა და ანალიზის დეპარტამენტი კონსულატაციას უწევდა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ტრენინგები და სახელმძღვანელო მასალები

საარჩევნო ადმინისტრაცია

ცესკოს ეგიდით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (შემდეგში "სწავლების ცენტრი") შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა შემდეგი სასწავლო მასალა: სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები", დამხმარე სახელმძღვანელო ტრენერებისთვის, კენჭისყრის პროცედურის ამსახველი მასალები, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედმახვედველი კომისიის წევრის, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია. ასევე დამზადდა საინფორმაციო პოსტერები თემაზე: ეთიკის კოდექსი საუბნო და საოლქო კომისიის წევრებისთვის და ფოტო-ვიდეო გადაღება საარჩევნო უბანზე.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეირჩა 112 ტრენერი. ტრენერებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი, რომლის ჩატარებაც უზრუნველყოფილ იქნა სწავლების ცენტრის მიერ UNDP-ის პროექტთან პარტნიორობით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. სწავლების კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისათვის შემდეგ თემებზე: საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია, საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია, საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვის პროცედურები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

ოქმი, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლების კურსი განხორციელდა სამ ეტაპად. სწავლების ცენტრმა აგრეთვე უზრუნველყო სპეციალური სწავლების კურსის ჩატარება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, მათ შორის, ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2013 წლის ოქტომბრის მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის სწავლების ცენტრმა ცესკოს იურიდიულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით უზრუნველყო ცესკოში მოქმედი ცხელი ხაზის თანამშრომლებისათვის სპეციალური სასწავლო კურსის ჩატარება. სწავლების მოდული მოიცავდა შემდეგ თემებს: საქართველის პრეზიდენტის არჩევნების ზოგადი მიმოხილვა, არჩევნების მონიტორინგი და მედია, ამომრჩეველთა სიები, გასაჩივრების ვადა და წესი, კენჭისყრის დღის პროცედურები და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შეჯამება.
ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: მედიასთან ურთიერთობები საგანგებო და კრიტიკულ ვითარებებში. პროგრამა განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სწავლების ცენტრსა და საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრს (ICPS) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ფსიქოლოგიური კვლევის საველე სამუშაოები. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა.

არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები

<u>პოლიტიკური პარტიები</u>

საანგარიშო პერიოდში, ცესკოს იურიდიულმა დეპარტამენტმა ტრენინგები ჩაუტარა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (სულ 278 მონაწილე) საარჩევნო დავებსა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ტრენინგებისათვის მომზადდა შესაბამისი მასალა. ტრენინგი ჩატარდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 117 წარმომადგენელმა, მათ შორის: 33 - საინიციატივო ჯგუფებიდან, 84 - პოლიტიკური პარტიებიდან. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის როლი და უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში, კენჭისყრის დღის პროცედურები და კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან "სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობა" პარტნიორობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყო BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგის (TTF) ჩატარება საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. BRIDGE სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შედეგად, მონაწილეებს მიენიჭათ BRIDGE-ის ნახევრად აკრედიტებული ფასილიტატორის სერტიფიკატი.

<u>არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია</u>

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა, საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა - ნაგებობების გადაცემის წესი, ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა, საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა, თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა, პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის. ტრენინგი ჩაუტარდა 112 დამკვირვებელს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ 22 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან.

სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, უზრუნველყოფილ იქნა BRIDGE-ის სასწავლო კურსის ჩატარება თემაზე „გენდერი და არჩევნები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა.

ცესკოს და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ორგანიზებით 2013 წლის ივლისში ჩატარდა სემინარი ჟურნალისტებისთვის თემაზე: მედიის როლი საარჩევნო პროცესებში, წინასაარჩევნო კამპანია, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა და კენჭისყრის დღის

პროცედურები. იგივე თემაზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის და მედიამონიტორინგის ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი რეგიონალური მედიის წარმომადგენლებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 65-მა ჟურნალისტმა.

სასამართლო ხელისუფლება

ასევე საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობით ტრენინგები ჩაუტარდათ რაიონული/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებს, რომელთაც გაეცნოთ საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვები და საარჩევნო დავების განხილვის პრაქტიკა საარჩევნო ადმინისტრაციაში. სპეციალურად აღნიშნული ტრენინგისათვის მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო და საინფორმაციო დოკუმენტები.

ადგილობრივი თვითმმართველობა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის. ტრენინგი მოიცავდა თვითმმართველობებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის: ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა, საარჩევნო კომისიებისთვის არჩევნებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების გადაცემის წესი, საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა.

სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს

სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყო სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის ტრენინგის ჩატარება. ტრენინგის მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არჩევნების მიმოხილვა, საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი უფლებამოსილება, კენჭისყრის დღის პროცედურები, კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრთან ერთად განახორციელა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებისათვის.

პროექტი განხორციელდა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე მოხდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადება (ტრენერთა ტრენინგი). პროექტის მეორე ეტაპზე ტრენერებმა განახორციელეს სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვა თანამშრომლებისათვის. მესამე ეტაპზე მოხდა ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

პატიმრების მიერ საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზებასთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელო მასალები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაცია

საანგარიშო პერიოდში ცესკოს იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადა სახელმძღვანელოები, რომელთა ელექტრონული ვერსიები განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

- საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ;
- საარჩევნო დავების სახელმძღვანელო ინსტრუქცია (საუბნო, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის პროცედურების შესახებ);

- დამხმარე სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის;
- ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტი "საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების/წევრთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას საოლქო საარჩევნო კომისიებში ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების პროცედურებისა და სახდელის შეფარდების შესახებ";
- მომზადდა საპრეზენტაციო დოკუმენტები თვითმმართველობის ორგანოების იურისტთა ტრენინგებისათვის; მედიის წარმომადგენელთა ტრენინგისათვის წინასაარჩევნო კამპანიასა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით; საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების ტრენინგისათვის; საარჩევნო კოდექსის სიახლეების მიმოხილვასთან დაკავშირებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- მომზადდა საარჩევნო კოდექსიდან ამონარიდი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე (საარჩევნო კოდექსის მოკლე ვერსია);
- მომზადდა საპრეზენტაციო დოკუმენტი საქართველოში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით (ინგლისურ ენაზე);
- მომზადდა საარჩევნო კოდექსის სიახლეების მიმოხილვა, ძველი და ახალი ნორმების შედარებითი დოკუმენტი;
- მომზადდა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სამახსოვრო.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საარჩევნო რეგულაციებთან დაკავშირებული საინფორმაციო დოკუმენტი;
- საინფორმაციო დოკუმენტი უფასო საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებით;
- მომზადდა შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ძველი და ახალი ნორმების შედარების დოკუმენტი.

ასევე, საანგარიშო პერიოდში ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდა შემდეგი დოკუმენტები:

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში გასაგზავნი წერილის პროექტი, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების კომისიის სხდომებზე დაშვებასთან დაკავშირებით;
- წერილების პროექტები ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის სახელზე, საარჩევნო კოდექსის ნორმების განმარტებებთან დაკავშირებით;
- პასუხი იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის წერილთან დაკავშირებით;

- პასუხები ცესკოს fecebook-ის ოფიციალურ გვერდზე შემოსულ სამართლებრივი შინაარსის კითხვებზე;
- ცესკოს განცხადება საოლქო საარჩევნო კომისიის პარტიების მიერ დანიშნულ და ცესკოს მიერ არჩეულ დროებითი წევრის სამსახურეობრივ შეუთავსებლობასთან დაკავშირებით;
- მემორანდუმის პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიმართვის სარუძველზე მომზადდა სამართლებრივი დასკვნები არჩევნების მეორე ტურის გამართვის რეგულაციებთან, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან და საარჩევნო პროცესის გამოძიების საკითხებთან დაკავშირებით;
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტი პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის, მისი შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები[14], გადაგზავნილ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში მომავალში მათში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისა და გათვალისწინების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულმა დეპარტამენტმა სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარა არაერთ დოკუმენტს, მათ შორის:

- სასწავლო ცენტრის მიერ გადმოგზავნილ შემდეგ დოკუმენტაციას: მედიის დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქციას, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციას, ამომრჩევლის სამახსოვროს, საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეო გადაღების ინსტრუქციას, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის ფუნქციის გამოვლენის მიზნით ჩასატარებელი წილისყრის დეტალური ინსტრუქციას, სასჯელაღსრულების დაწესებულების წარმომადგენლებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციას, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნიდან დოკუმენტაციის გადაცემასთან დაკავშირებულ ინსტრუქციას. ასევე სამართლებრივი ექპსერტიზა ჩაუტარდა საქმისწარმოების განყოფილების მიერ მომზადებულ განკარგულების პროექტებს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგისტრაციაში გატარების შესახებ და დასკვნებს საინიციატივო ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების თაობაზე;
- საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმის პროექტს, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

[14] იხილეთ დანართი (9)

- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს ადგილობრივი დამკვირვებლების, საერთაშორისო დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების რეგისტრაციის წესებისა და უფლებების შესახებ;
- ცესკოს სარეკლამო ვიდეო-რგოლებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ მომზადებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელოს;
- ცესკოსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგას შორის გასაფორმებელ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;
- ცესკოს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასა და სსიპ "საქართველოს ეროვნულ არქივს შორის" გასაფორმებელ მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ;
- საქართველოსა და კორეის საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის გასაფორმებელ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;
- სხვადასხვა დეპარტამენტების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების (დადგენილებები/განკარგულებები) სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება;
- ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სახელმწიფო შესყიდვებისა და შრომითი ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება.

იურიდიულმა დეპარტამენტმა ასევე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- საარჩევნო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ცესკოს სამართლებრივი აქტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- საარჩევნო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო ინსტრუქციები;
- განხორციელდა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის კოდიფიცირება;
- განხორციელდა ინგლისურენოვანი საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის კოდიფიცირება და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს მიეწოდა განახლებული ნორმატიული მასალა ვებგვერდზე ასატვირთად;
- მოხდა საქართველოს კანონის "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესწავლა/ანალიზი;
- განხორციელდა სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნედან" გამოგზავნილი ინგლისურენოვანი საარჩევნო ტერმინოლოგიის დამუშავება და მათთვის მიწოდება;

- შემოწმდა ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების შესაბამისობა, სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში.

არჩევნებში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა

არჩევნების პერიოდში ცესკო აქცენტს აკეთებდა არჩევნებში მონაწილე მხარეების აქტიურ ჩართულობაზე პროცესში. ამ მიზნით განხორციელდა არაერთი ღონისძიება. წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების და მედია ორგანიზაციების მონაცემთა ბაზების განახლება. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში იმართებოდა შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, სადაც ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა და ჩართული მხარეების ინფორმირება ცესკოს საქმიანობის შესახებ. ცესკოს ინიციატივით და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ორგანიზებით რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ასევე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ტარდებოდა შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებთან. ცესკოს ინიციატივით, იგივე საარჩევნო თემებზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებზე მუმუშავე ჯგუფებთან.

საარჩევნო პერიოდში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით შეიქმნა მონიტორინგის ორი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ცესკოს წევრებით, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებით. ეს ჯგუფები 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აკვირდებოდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სააგიტაციო მასალების განთავსებას.

საარჩევნო სისტემების სერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 7 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის არჩევნების წინ გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ[15].

ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (Technical Working Group TWG) ფორმატით, ცესკოში წინასაარჩევნო პერიოდში გაიმართა ხუთი შეხვედრა. ჯგუფი ცესკოს, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული. TWG-ის შეხვედრებზე განიხილებოდა ცესკოს და დამსწრე ორგანიზაციების მიმდინარე საქმიანობები, ასევე მუშავდებოდა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები და იგეგმებოდა მომავალი აქტივობები. TWG-ის ფორმატში არჩევნებში ჩართული მხარეების შეხვედრები იმართება 2007 წლიდან ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

[15] იხილეთ დანართი (10)

წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებულ ამბასადორიალში (Ambassadorial Working Group), სადაც საქართველოში აკრედიტირებული საზღვარგარეთის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისის შესახებ. ამას გარდა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში ცესკოში გაიმართა ორი დამატებითი შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ცესკოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და ასევე ელჩებს მიეცათ საშუალება დაესვათ შეკითხვები არჩევნებთან დაკავშირებულ თემებზე.

ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაგეგმა და შეიმუშავა სპეციალური პროგრამა საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვეული საზღვარგარეთის 17 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის.

ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა ახალი ბანერი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებით საერთაშორისო საზოგადოებისთვის. აღნიშნული ბანერი მოიცავს ინფორმაციას 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული ყველა არჩევნების შესახებ. ბანერზე, Foreign Eye on Georgian Elections, განთავსებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

წინასაარჩევნო პერიოდში მომზადდა ხუთი ანგარიში საერთაშორისო ორგანიზაციების და საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის ინგლისურ და რუსულ ენებზე. ასევე, ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საელჩოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს რეგულარულად უგზავნიდა საინფორმაციო ბარათებს ცესკოს გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ცესკო საარჩევნო პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებთან. მათ ყველა საჭირო მასალა/ინფორმაცია დროულად მიეწოდათ და ასევე დაურიგდათ იურიდიული დეპარტამენტისა და ტრენინგების ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების ინგლისურენოვანი ვერსიები და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის განკუთვნილი საარჩევნო კოდექსის ამონარიდი ინგლისურ ენაზე.

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30^1 მუხლის საფუძველზე განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა 2013 წლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი №5.

ცხრილი №5

პოლიტიკური პარტიის დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	სულ 2013 წ.
პოლიტიკური გაერთიანება ”ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო”	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია საქართველოს რესპუბლიკური პარტია	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია საქართველოს კონსერვატიული პარტია	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია მოქ. პოლ. გაერთ. "ჩვენი საქ.-თავისუფალი დემოკრატები"	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური პარტია მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ფორუმი"	12190.09	12190.09	12190.09	24549.49	61119.76
პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" (ახლები)	18285.14	18285.14	18285.14	36824.22	91679.64
ა(ა)იპ, პარტია ,,საქართველოს გზა“	18285.14	18285.14	18285.14	36824.22	91679.64
პოლიტიკური პარტია მოქ. პოლ. გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	73140.57	73140.57	73140.57	147296.89	366718.60
პოლიტიკური გაერთიანება "ხალხის პარტია"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
პოლიტიკური მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს ევროპელი დემოკრატები”	24380.19	24380.19	24380.19	49098.96	122239.53
ჯამი	**304,752.34**	**304,752.34**	**304,752.34**	**613,737.07**	**1,527,994.09**

ამომრჩეველთა ინფორმირება და საგრანტო პროგრამები

ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა საარჩევნო პერიოდისთვის განსაზღვრა საინფორმაციო კამპანიის შემდეგი მიმართულებები:

- საინფორმაციო და სარეკლამო ხასიათის სატელევიზიო და რადიო კლიპების დამზადება;
- საინფორმაციო და სარეკლამო ხასიათის რეკლამა ბეჭდვით მედიაში;
- გარე რეკლამა საქართველოს მასშტაბით;
- სხვადასხვა სარეკლამო მასალის დამზადება, როგორიცაა ბრენდირებული პროდუქცია (საარჩევნო კალენდარი, კალმისტრები, ბლოკნოტები)
- რეკლამა ინტერნეტ სივრცეში.

მოსახლეების ინფორმირების მიზნით ცესკო რეგულარულად ატარებდა საინფორმაციო ბრიფინგებს, საიდანაც მოსახლეობას მიეწოდებოდა დეტალური ინფორმაცია ცესკოს საქმიანობის შესახებ. სულ საანგარიშო პერიოდში ცესკოში ჩატარდა 19 ბრიფინგი, აქედან წინასაარჩევნო პერიოდში - 7, არჩევნების დღეს - 8 და არჩევნების დღის შემდგომ პერიოდში 4.

შემუშავდა გეგმა სატელევიზიო და რადიო რეკლამების დამზადების შესახებ და განისაზღვრა საგაზეთო საინფორმაციო რეკლამების დიზაინის შემუშავების და განთავსების პროექტიც. ასევე შემუშავდა გარე რეკლამის კონცეფცია (ქუჩის ბანერები) საქართველოს მასშტაბით. შეიქმნა ცესკოს სლოგანები: “პრეცედენტები ქმნის ტრადიციას”, “თანაბარი პირობები დემოკრატიული არჩევნებისთვის” და “დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია”.

2013 წლის აგვისტოდან დაიწყო საინფორმაციო კლიპების (სულ 12 კლიპი) განთავსება ცენტრალურ და რეგიონული ტელეარხების ეთერში. ყველა რეკლამა ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე, მომზადდა კლიპების სურდო თარგმანიც.

ასევე, ეთნიკური უმცირესობის ორივე ენაზე ითარგმნა და მეორე არხის ეთერში განთავსდა საპრეზიდენტო არჩევნების დებატები, რომელიც პირდაპირ ეთერში გავიდა სურდო თარგმანის თანხლებით. დამატებით, დებატები გადაეგზავნა 6 რეგიონულ ტელევიზიას.

ცესკოს მიერ მომზადდა საინფორმაციო კლიპები, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა საარჩევნო თემატიკას: ხმის მიცემის პროცედურები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლები, ამომრჩევლის ბარათი და ხმის მიცემის ფარულობა ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა. ანალოგიური თემატიკის აუდიო რეკლამები გადიოდა ცენტრალური და რეგიონულ რადიოსადგურების ეთერში.

დამზადდა 4 საინფორმაციო საგაზეთო რეკლამა, რომლებიც განთავსდა გაზეთებში: „24 საათი“, „ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „ვერსია“, ”ყველა სიახლე”. ასევე, ცესკოს სარეკლამო ბანერები წინასაარჩევნო პერიოდში განთავსდა 20 ვებ-გვერდზე.

საზოგადოების და არჩევნები მონაწილე მხარეების მეტი ინფორმირებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აქტიურად იყენებდა ცესკოს და კომისიის თავმჯდომარის "facebook"-ის ოფიციალურ გვერდებს, სადაც თავსდება ცესკოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი სიახლე და სოციალური ქსელების მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ დაუკავშირდნენ კომისიის თავმჯდომარეს.

კომისიის აქტივობების შესახებ სიახლეები, ოპერატიულად თავსდებოდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ქართული და ინგლისურენოვანი) და ეგზავნებოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს. ცესკოს ვებ-გვერდის აფხაზურენოვან ვერსიაზე ასევე თავსდებოდა ინფორმაცია კომისიაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან აქტივობაზე.

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ამზადებდა ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც ეგზავნებოდა არჩევნებში ჩართულ აქტორებს.

ცესკოს ცნობადობის გაზრდის მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში განთავსდა სარეკლამო ბანერები. ასევე, მეტროსადგურებში განთავსებულ ეკრანებზე რეკლამო გადიოდა ცესკოს ვიდეო რგოლები.

დამზადდა სხვადასხვა სახის ბრენდირებული პროდუქცია ცესკოს ლოგოთი, მათ შორის: წინასაარჩევნო კალენდარი, კალმისტრები და ბლოკნოტები. ბრენდირებული პროდუქცია და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სახლემძღვანელოები დაეგზავნა არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს.

მარკეტინგული ცენტრი "ტერამედიას" საინფორმაციო ბანკის მიხედვით ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი სიხშირით შუქდებოდა მედიის საშუალებით: ტელევიზია (2646), ბეჭდური მედია (676), ინტერნეტი (1473) და რადიო (859).

დამატებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკვეთით, კომპანია Applied Research Company-მ (ARC) ჩაატარა ხარისხობრივი კვლევა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით განხორციელებული აქტივობების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულებების შესახებ. კვლევა ჩატარდა 3 ეტაპად და მოიცავდა როგორც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდებს. კვლევის დადგინდა რომ საზოგადოება ადექვატურად აღიქვამს და ესმის ცეკოს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანია და ამომრჩევლამდე სწორედ არის მიტანილი ძირითადი მესიჯები. კვლევამ ასევე აჩვენა რომ საარჩევნო ადმინისტრაცია კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს შემდეგი სამი მიმართულებით: ამომრჩევლის განათლება, ცესკოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ცესკოს მიმართ ამომრჩეველთა ნდობის მშენებლობა.

<u>პროექტი - "არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა"</u>

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა, გაეროს

განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა”. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა (მათ შორის, ეთნიკური უნცირესობების წარმომადგენელთა) სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და ახალგაზრდების იმ ნაწილის გააქტიურებას, რომელიც პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმომწერ 14 უნივერსიტეტში, მათ შორის 5 რეგიონალურ და 9 თბილისში მდებარე უნივერსიტეტში. პროექტში მონაწილეობა მიიღო 1333 ახალგაზრდამ. მათ შორის 49 წარმოადგენდა ეროვნულ უმცირესობას.

<u>პროექტი - ”მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის ამაღლება”</u>

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესებში ჩართულობისა და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) თანამშრომლობით, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სწავლების ცენტრმა განახორციელა ერთობლივი პროექტი ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისათვის. პროექტის ფარგლებში ცესკოს ესტუმრა ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდაში მცხოვრები დამამთავრებელი კლასის 25 მოსწავლე.

მოსწავლეები გაეცნენ ცესკოს მუშაობის პრინციპებს, მონაწილეობა მიიღეს სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ დისკუსია/სემინარში თემაზე: ”არჩევნები და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა”. სემინარის ფარგლებში მოსწავლეებისათვის მოეწყო იმიტირებული არჩევნები და რეფერენდუმი.

ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები და პოსტერები: ამომრჩევლის სამახსოვრო და პოსტერი ”კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის”.

<u>პროექტი - “ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი”</u>

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი “ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი”. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზებას, მათი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას არჩევნების მნიშვნელობისა და მათი როლის შესახებ, ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე.

პროექტი - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა”

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტის - ”არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა” მეორე ეტაპი. პროექტი განხორციელდა თბილისში მდებარე 3 უნივერსიტეტში და 5 რეგიონალურ უნივერსიტეტში. პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ელექტრონული სწავლებისა და ტესტირების პროგრამა არჩევნებში ჩართული სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის

სწავლების ცენტრმა არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა სასწავლო ხასიათის ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო სრულფასოვანი ინფორმაცია კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საუბნო საარჩევნო კომისის მუშაობის წესის შესახებ და მიღებული ცოდნა თავად გადაემოწმებინა ტესტირების პროგრამის საშუალებით. სასწავლო პროგრამასთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა მისი განთავსება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე.

დამატებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, სწავლების ცენტრი ახორციელებდა საგანმანათლებლო პროგრამას „საარჩევნო სამართლის დარგში“ მემორანდუმის ხელმომწერ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. აღნიშნული სასწავლო კურსი ასევე ხორციელდება საარჩევნო ადმინისტრაციის ბაზაზე არსებულ „იურიდიულ კლინიკაში“.

ცესკოს მედიაცენტრი

ჟურნალისტების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ცესკოში მომზადდა ბრიფინგების დარბაზი და მედია ცენტრი, სადაც რეგულარულად იმართებოდა საინფორმაციო ბრიფინგები და პრესკონფერენციები. უშუალოდ არჩევნების დღისთვის კი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყო მედია ცენტრის 24 საათიან რეჟიმში შეუფერხებელი მუშაობა. შედეგად უამრავ ჟურნალისტს, დამკვირვებელს თუ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცა ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიეღო ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ფოტო-ვიდეო გამოფენა „არჩევნები - ერის შემოქმედი“

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და ეროვნული არქივის მხარდაჭერით ფოტო-ვიდეო გამოფენა სახელწოდებით - „არჩევნები - ერის შემოქმედი“ გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს საარჩევნო ისტორიის უნიკალური მასალა, რომელიც 1918-2008 წლების პერიოდს მოიცავს. ღონისძიებაზე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ცენტრალურ სარჩევნო კომისიას, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ეროვნულ არქივს შორის.

მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსების ჩატარება.

I საგრანტო თემატიკა: არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად. საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საზოგადოების საარჩევნო განათლების სრულყოფასა და ამ მიმართულებით ინტენსიური, სისტემური ხასიათის პროექტების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. დაფინანსდა 8 არასამთავრობო ორგანიზაცია.[16]

II საგრანტო თემატიკა: საარჩევნო გარემოს რეგიონული კვლევა. საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა აპლიკანტთა შეხედულებისამებრ შერჩეული საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის საარჩევნო გარემოს სიტუაციური ანალიზისათვის (ოლქების მიხედვით) კვლევის პროექტების შერჩევა-დაფინანსება. დაფინანსდა 8 ორგანიზაცია.[17]

III. საგრანტო თემატიკა: საზოგადოების ინფორმირების კამპანია 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებისათვის. სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსი გამოაცხადა ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობითა და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით, რომლის მიზანი იყო იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო პროცესისადმი სოციალური განწყობის გაუმჯობესებას, მიმდინარე საარჩევნო წელს ელექტორატის აქტიურ მონაწილეობას, ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებასა და ამ მიმართულებით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო, საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზება/ჩატარებას. დაფინანსდა 8 ორგანიზაცია. [18]

---

[16] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 1)
[17] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 2)
[18] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 3).

<u>მიზნობრივი გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის</u>

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსების ჩატარება:

საგრანტო თემატიკა: არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების გაძლიერების ხელშეწყობა. საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა არჩევნებში სადამკვირვებლო მისიის განმახორციელებელი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებისა და მათი წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა. დაფინანსდა 4 ორგანიზაცია. [19]

II. საგრანტო თემატიკა: ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში. საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სწავლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელება. კონკურსის სამიზნე ჯგუფი მოიცავდა: ახალგაზრდა ამომრჩევლებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებს, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს და ქალებს. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 12 ორგანიზაცია. [20]

III. საგრანტო თემატიკა: საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი. საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კვლევების განხორცილებას შემდეგი მიმართულებებით: სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასება, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობების შესწავლა/ანალიზი და ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შესწავლა/ანალიზი. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 3 ორგანიზაცია. [21]

ამომრჩეველთა სია

ბოლო წლებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა სიებში უზუსტობების აღმოსაფხვრელად დიდი სამუშაო ჩაატარა იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითა-რების სააგენტოსთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან, სხვა შესაბამის უწყებებთან და საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად. შესრულებულმა სამუშაომ ხელი შეუწყო სიების არსებითად გაუმჯობესებას. ეს სამუშაო 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადების პროცესშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა.

[19] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 4).
[20] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 5).
[21] დაფინანსებული ორგანიზაციების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ დანართში (დანართი 11, ცხრილი 6).

ამომრჩეველთა სიის პირველადი ვერსიის შექმნა

დამუშავდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად შესაბამისი უწყებების მიერ გადმოცემული მონაცემთა ბაზები. საორგანიზაციო დეპარტამენტთან და საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად განხორციელდა ახალი და ე.წ. "პრობლემური" მისამართების (ეს ის მისამართებია, რომლებიც სხვადასხვა ტიპის შეცდომებს შეიცავენ, რის გამოც მათი საარჩევნო უბნებზე გადანაწილება ვერ ხერხდება) დამუშავება, ოლქების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საარჩევნო უბნების საზღვრებში ცვლილებების შეტანა და განახლებული სამისამართო ბადის მიხედვით ამომრჩეველთა საარჩევნო უბნებში განაწილება. მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა პირველი შეკრების დღისათვის საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადასაცემი კედლის სიები. გარდა ამისა, იმავე საუბნო კომისიებისათვის გადასაცემად ამომრჩეველთა სიის დაზუსტების მიზნით მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა "ამომრჩევლის მონაცემთა ბარათები".

იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს თხოვნით საარჩევნო უბნებზე გამოსაკრავად მომზადდა და დასაბეჭდათ გადაეცა სააგენტოს მიერ სპეციალურად ამ მიზნით მოწოდებული რეგისტრაციიდან სხვადასხვა მიზეზით მოხსნილი ამომრჩევლების სიები.

იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად ჩატარებული სამუშაოები

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საარჩევნო ოლქებში შემოსული მოქალაქეთა განცხადებები მათ მონაცემებში ცვლილების შეტანის თაობაზე, სულ 1022 მონაცემი თანდართული სკანირებული განცხადებებით. შედეგად – 668 მონაცემი გასწორდა, ნაწილი ინფორმაციის კორექტირება კი ვერ ხერხდება მოქალაქეთა სააგენტოში გამოცხადების გარეშე. გარდა ამისა, სააგენტომ სათანადო რეაგირება მოახდინა "ამომრჩევლის მონაცემთა ბარათების" მეშვეობით გამოვლენილ უზუსტობებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად ჩატარებული სამუშაოები

2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევებისას ოლქებში შემოსული მოქალაქეთა განცხადებებიდან 198 გაეგზავნა აღნიშნულ სამინისტროს მათ მონაცემებში ცვლილების შეტანის მიზნით.

საარჩევნო ოლქებთან ერთად ჩატარებული სამუშაოები

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიზნით საარჩევნო ოლქებს უბნებზე გადასამოწმებლად გადაეცათ ხანდაზმულ ამომრჩეველთა და ერთ მისამართზე ერთი და იგივე სახელისა და

გვარის მქონე პიროვნებების მონაცემები. გარდა ამისა, ოლქებს დაევალათ ახლადგაჩენილ "პრომლემურ" მისამართებზე რეგისტრირებული მოქალაქეთა მონაცემების გადამოწმება და სააგენტოსთან ერთად მათი გასწორება.

ამომრჩეველთა სიის საბოლოო ვერსიის შექმნა

საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული სხვადასხვა უწყებებიდან, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ძალოვანი უწყებებიდან გადმოცემული ფაილების გაერთიანების, ერთ ფორმატზე დაყვანის და მონაცემების დაზუსტების შემდგომ კვლავ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლებს მიეწერათ შესაბამისი სტატუსები და მოხდა საარჩევნო სიის საბოლოო ფორმირება. განისაზღვრა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3537719. მომზადდა როგორც ერთიანი, ასევე სპეციალური სიების კედლის და სამაგიდო ვარიანტები, უზრუნველყოფილი იქნა სიების შესაბამის ფორმატში გადაყვანა და დასაბეჭდად გადაცემა. ასევე ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი ოლქებისა და უბნებისათვის მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა სტამბას ამომრჩეველთა ორენოვანი სიები ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე. ორ უბანზე კი მომზადდა სამენოვანი - ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური სიები.

ამომრჩეველთა მოსაწვევი ბარათები

უზრუნველყოფილ იქნა 73-ვე საარჩევნო ოლქისათვის ამომრჩეველთა მოსაწვევი ბარათების მომზადება, შესაბამის ფორმატში გადაყვანა და სტამბისთვის დასაბეჭდად გადაცემა.

ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე (voters.cec.gov.ge) განახლდა ამომრჩეველთა სიების ელექტრონული ვერსია. თითოეულ ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა გადაემოწმებინა ინფორმაცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ. ვებ-გვერზე მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია არა მხოლოდ ქართულ, არამედ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების ჩართულობა არჩევნებში

ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტმა თავისი საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის კუთხით წარმართა 2 ძირითადი მიმართულებით:

- ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველებისათვის საარჩევნო პროცესების გამარტივება და ხელშეწყობა;

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საარჩევნო პროცესების გამარტივება და ხელშეწყობა;

2012 წლის 14 მაისს, ცესკოში შეიქმნა ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფები. ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტმა სამუშაო ჯგუფებთან ერთად შეიმუშავა 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმა.

<u>ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა</u>

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობისა და მათთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა განათლება

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სასწავლო ცენტრი) საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, სასწავლო ცენტრმა საგრანტო კონკურსის საშუალებით, დააფინანსა 6 არასამთავრობო ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად განხორციელდა ბოშათა თემის ინფორმირების კამპანია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

ცესკოსთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, დააფინანსა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია.

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკოს 11 სარეკლამო რგოლი, რომელიც განთავსდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტელევიზიების ეთერში.

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) ბანერში ,,ეთნიკური უმცირესობები'', განთავსდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები. აღნიშნული ინფორმაცია, დამატებით განთავსდა სოციალურ ქსელში, ცესკოს ოფიციალურ Facebook გვერდზე.

ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge), ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები, ხელმისაწვდომი გახდა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს პირადი მონაცემების მიხედვით,

ორ ეტაპად დაურიგდა ამომრჩევლის მონაცემთა ბარათი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლის ინფორმირება კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის საარჩევნო ოლქისა და უბნის ადგილმდებარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლის მონაცემები იქნებოდა არაზუსტი ან არასწორი, დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორების დახმარებით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ამომრჩევლის მონაცემთა ბარათთან ერთად მე-2 ეტაპზე მოსახლეობას დაურიგდა ამომრჩევლის სამახსოვრო ფლაერი (სომხური და აზერბაიჯანული), რომელშიც აღწერილი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები.

- ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა 3655 საარჩევნო უბანი, მათ შორის 338 უბანი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში.

ეროვნული უმცირესობებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, კომისიის 1502 სომეხი და 996 აზერბაიჯანელი წევრისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა საარჩევნო დოკუმენტაცია.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია.

საარჩევნო დოკუმენტაცია ითარგმნა ცესკოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) თანამშრომლობით და დაიბეჭდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

- შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში: ქ. მარნეული (სოფ. სადახლო), წალკა (სოფ. აიაზმა),ბოლნისი (სოფ. ფარიზი, ცურტავი და ნახიდური), გარდაბანი (სოფ. ქესალო) და ქ. ახალციხე.

აზერბაიჯანელი და სომეხი წარმომავლობის ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკოს მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების საარჩევნო

პროცესებში ჩართვის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებებისა და განხორციელებული აქტივობების, ასევე, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.

ასევე, შეხვედრები გაიმართა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმონადგენელი ოსი, ჩეჩენი, ქისტი და ბოშა ამომრჩევლებისთვის.

საქართველოში მცხოვრები ბოშების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში გაიმართა საინფორმაციო სახის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბოშათა თემის მოტივაციის ამაღლება და საარჩევნო პროცესებში მათი გააქტიურება.

ჩეჩენი და ქისტი მოსახლეობისთვის სოფ. დუისში (პანკისის ხეობა) ჩატარდა საინფორმაციო კამპანია სადაც, შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კენჭისყრის დღისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ.

ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში, გაიმართა შეხვედრა ეთნიკურად ოსი და შერეული (ქართულ-ოსური) ოჯახების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას საარჩევნო გარემოს, არჩევნების, ხმის მიცემის წესებისა და პროცედურების შესახებ.

<u>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა</u>

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ იხელმძღვანელა 2012 წელს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიხედვით იდენტიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაცემთა ბაზებით. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, მოწოდებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე, განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების დადგენა, რომლის შესაბამისად გადამოწმებულ იქნა 8 523 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველი, მათ შორის: ეტლით მოსარგებლე - 1902, სმენადაქვეითებული - 1829, უსინათლო - 4792.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობისათვის დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- საარჩევნო უბნის ადაპტირება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლება/ინფორმირება;
- კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მობილური ჯგუფის საშუალებით გადაადგილება;
- სტატისტიკური მონაცემების მომზადება.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკოს კონტაქტ-ცენტრში ოპერატორად დასაქმებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 3 პირი. ცენტრალური საარჩევნო

კომისია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებას უზრუნველყოფს 2012 წლიდან.

საარჩევნო უბნის ადაპტირება

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირების მიზნით, განახორციელა შემდეგი პროექტები:

- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან და საოლქო საარჩევნო კომისიებიდან გამოითხოვა ინფორმაცია ადაპტირებული უბნების შესახებ. ინფორმაცია დამუშავდა საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი უბნების მიხედვით.

ქ. თბილისის მერიასა და მერიასთან არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, თბილისის 7 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ უბნებზე მოეწყო 10 მუდმივი პანდუსი.

არასამთავრობო ორგანიზაციამ კოალიცია ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" ცესკოსთან არსებული სასწავლო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში უზრუნველყო 4 პორტატული პანდუსის, ხოლო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით - 5 პორტატული პანდუსის დამზადება. ასევე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2012 წელს გადმოეცა 4 პორტატული პანდუსი.

დამზადდა 600 ხმის მიცემის სპეციალური კაბინა, ხოლო 2012 წელს - 200 კაბინა. 800 ხმის მიცესმის სპეციალური კაბინა გადანაწილდა თბილისსა და რეგიონებში იდენტიფიცირებულ საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

- სმენადაქვეითებული ამომრჩევლები

სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის 600 საარჩევნო უბანზე გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი ვიდეო-რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით. უბანზე მისულ სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს საჭიროების შემთხვევაში, საშუალება ჰქონდათ პორტატული კომპიუტერების გამოყენებით ენახათ აღნიშნული ვიდეო-რგოლი.

- უსინათლო ამომრჩევლები

უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობისთვის ცესკო უზრუნველყოფდა საარჩევნო ბიულეტენის ბრაილის შრიფტით ბეჭდვას. გამონაკლისი იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც უსინათლოთა კავშირის თხოვნით, ცესკომ არ დაბეჭდა ბიულეტენები ბრაილის შრიფტით, ვინაიდან მათი განცხადებით ირღვეოდა ხმის მიცემის ფარულობა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის ცესკომ უზრუნველყო ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლითაც უსინათლო ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალება მიეცა[22]. არჩევანის გაკეთება შეეძლოთ როგორც ბრაილის მცოდნე უსინათლო ამომრჩევლებს, ასევე იმ უსინათლო ამომრჩევლებსაც, რომლებიც ვერ კითხულობენ ბრაილს.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული დოკუმენტების საფუძველზე, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 160 უსინათლო ამომრჩეველმა, აქედან საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა გამოიყენა 52-მა უსინათლო ამომრჩეველმა.

<u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება და ინფორმირება</u>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების, ინფორმირებისა და არჩევნებში მათი სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, სასწავლო ცენტრის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაცია კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“.

პროექტის ,,თანაბარი საარჩევნო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის'' ფარგლებში, საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო/საგანმანათლებლო სემინარები და შეხვედრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებსა და სტუდენტებთან თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. დამზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და კენჭისყრის დღეს მობილური ჯგუფის სერვისით სარგებლობის შესახებ.

თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ფოთსა და ბათუმში არჩევნებამდე 2 დღით ადრე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით გავრცელდა საინფორმაციო ფლარები ,,მე მივდივარ არჩევნებზე'', რაც მიზნად ისახავდა მოქალაქეების გააქტიურებას.

მსგავსი პროექტი კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) დაფინანსებით, განახორციელა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, საჩხერე, ოზურგეთი, ჩოხატაური, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<u>www.cesko.ge</u>) განთავსდა ბანერი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები”. ბანერის საშუალებით

---

[22] ცესკოს 2013 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება №46/2013 და 2013 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება №469/2013.

ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ინფორმაციას ცესკოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დაგეგმილი აქტივობების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და სტატისტიკური მონაცემების შესახებ. ბანერი ასევე მოიცავს დაარქივებულ საჯარო დოკუმენტაციას - ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშებს 2008, 2010, 1012, 2013 წლების არჩევნებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორებმა ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებს ტელეფონის საშუალებით მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია მათი უფლებებისა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. უსინათლო ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის აღწერისა და გამოყენების შესახებ, ხოლო სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით მიეწოდა ინფორმაცია ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.cesko.ge) განთავსებული საარჩევნო პროცედურების ამსახველი ვიდეო-რგოლის შესახებ სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა) და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკით დადგენილი ვადების მიხედვით გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნის შესახებ.

სტუდენტების სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, ქ. თბილისის სამედიცინო, ქ. გორის, ქ. თელავის, ქ. ქუთაისისა და ქ. ბათუმის უნივერსიტეტებში გაიმართა სემინარები. სემინარის მიზანი იყო სტუდენტების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. სემინარზე მოეწყო იმიტირებული კენჭისყრა სტუდენტების მონაწილეობით, რომლებმაც განასახიერეს ეტლით მოსარგებლე და უსინათლო ამომრჩეველი.

საანგარიშო პერიოდში ცესკომ მონაწილეობა მიიღო სოლიდარობის აქციაში ,,დამოუკიდებელი პიროვნება - თავისუფალი არჩევანი“, რომლის მიზანი იყო საარჩევნო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობისთვის მოქალაქეთა გააქტიურება.

ცესკოს მიერ დამზადებული 11 საინფორმაციო/სარეკლამო რგოლი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის სურდოთარგმანის თანხლებით. ასევე, კვალიფიციურ სუბიექტებს შორის გამართული 2 სატელევიზო დებატი პირდაპირი ეთერში გადაიცა ჟესტურ ენაზე.

უსინათლო ამომრჩევლებისათვის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ, მომზადებული საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის გამოყენების საინფორმაციო აუდიო/ვიდეო რგოლი განთავსდა წამყვანი სატელევიზიო და რადიო არხების ეთერში ეთერში.

არჩევნების დღე

კენჭისყრის დღეს ცესკოს ცხელი ხაზი და მედია ცენტრი მუშაობდა 24 საათიან რეჟიმში. საზოგადოება რეგულარულად ღებულობდა ინფორმაციას ამომრჩეველთა აქტივობის და არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. არჩევნის დღეს ცესკოში ჩატარდა 8 საინფორმაციო ბრიფინგი[23]. არჩევნების დღეს გავრცელებული ყველა ინფორმაცია პარალელურ რეჟიმში მზადდებოდა ინგლისურ ენაზე.

არჩევნების დღეს სრული დატვირთვით იმუშავა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის უბნებიდან გადმოცემა-მიღების სისტემამ. პირველი ინფორმაცია ცესკოში შემოვიდა დილის 8 საათზე და იგი ეხებოდა უბნების გახსნას. დღის განმავლობაში კიდევ ხუთჯერ მიღებულ იქნა ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ (10, 12, 15, 17, 20 საათისათვის). ეს ინფორმაცია იტვირთებოდა საოლქო საარჩევნო კომისიებში "საარჩევნო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის" ბაზაში, ჯამდებოდა და გადიოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

არჩევნების დღეს, საღამოს 9 საათიდან დაიწყო საუბნო შემაჯამებელი ოქმების საოლქო საარჩევნო კომისიებში მიტანა და ოლქის მიერ საარჩევნო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. ცესკოში ოქმის შემოსვლისთანავე დაიწყო ოქმების ამობეჭდვა . ტრადიციულად ერთი ეგზემპლარი იკვრებოდა ბრიფინგების დარბაზში, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემოდა მონაცემთა შეტანის ცენტრს, სადაც ხდებოდა თითოეული ოქმის მონაცემების ორჯერ შეყვანა სისტემაში. პარალელურად მიმდინარეობდა შეტანილი მონაცემების ბეჭდვა და სიზუსტის გადამოწმება ოქმებთან. წინასწარი მონაცემების 98% შეტანილი იქნა დილის 8 საათისათვისკენ. კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, სულ რამდენიმე საათში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო შემაჯამებელი ოქმების ვებ-გვერდზე ატვირთვა. სპეციალური პროგრამის მეშვეობით ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ეტაპობრივად ედევნებინდა თვალყური შედეგების დათვლის პროცესისთვის (www.results.cec.gov.ge.).

ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველადი შედეგები 3,741 უბნიდან 440 უბნის მიხედვით უკვე 27 ოქტომბრის 00:00 საათზე გააცნო მოსახლეობას. ხოლო, კენჭისყრის დასრულებიდან 24 საათში კომისიამ ყველა უბნის მიხედვით გამოაცხადა პრეზიდენტის არჩევნების წინასწარი შედეგები.

განხორციელდა ინფორმაციის მიღება საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ, მიმდინარეობდა მონიტორინგი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ (ცხრილი №12 და №13)

[23] დანართში (12) შეგიძლიათ იხილოთ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგების განრიგი.

ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს მაშტაბით

ცხრილი №12

10:00 საათი		12:00 საათი		15:00 საათი		17:00 საათი		20:00 საათი	
მოსული	%	მოსული	%	მოსული	%	მოსული	%	მოსული	%
240732	6.8	606710	17.15	1133753	32.05	1382017	39.07	1648662	46.6

ამომრჩეველთა აქტივობა რეგიონების მიხედვით

ცხრილი №13

რეგიონი	ამომრჩეველი	10:00 საათი		12:00 საათი		15:00 საათი		17:00 საათი		20:00 საათი	
		მოსული	%	მოსული	%	მოსული	%	მოსული	%	მოსული	%
თბილისი	966901	63360	6.6	152677	15.8	307295	31.8	386475	40	466428	48.2
კახეთი	313283	20561	6.6	50827	16.2	98598	31.5	122401	39.1	147796	47.2
მცხეთა-მთიანეთი	88222	6813	7.7	16513	18.7	30267	34.3	36823	41.7	43991	49.9
ქვემო ქართლი	405815	22459	5.5	58593	14.4	105333	26	128359	31.6	152869	37.7
შიდა ქართლი	239402	15419	6.4	40478	16.9	74551	31.1	91596	38.3	110670	46.2
სამცხე-ჯავახეთი	149285	9460	6.3	25981	17.4	51047	34.2	61717	41.3	72877	48.8
რაჭა ლეჩხუმი	36428	4452	12.2	10556	29	17029	46.7	19076	52.4	21462	58.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	361175	25906	7.2	66019	18.3	113097	31.3	134450	37.2	157820	43.7
იმერეთი	558717	41163	7.4	103516	18.5	189645	33.9	227093	40.6	270935	48.5
გურია	113104	10887	9.6	27328	24.2	45170	39.9	52489	46.4	61435	54.3
აჭარა	305387	20252	6.6	54222	17.8	101721	33.3	121538	39.8	142379	46.6

კენჭისყრის დღეს, კოალიციამ ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის'' უზრუნველყო მობილური ჯგუფებისა და ადაპტირებული ტრასნპორტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო უბნამდე გადაადგილება. მობილური ჯგუფები შეიქმნა საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი და ბათუმი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა 2013 წლის 12 ნოემბერს. საბოლოო შედეგების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 1 660 976-მა ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (3 537 719) 46,95 %. საბოლოო შედეგების მიხედვით გიორგი მარგველაშვილმა ხმების 62,12% მოიპოვა, დავით ბაქრაძემ - 21, 72%, ნინო ბურჯანაძემ - 10,19%, შალვა ნათელაშვილმა - 2,88% და გიორგი თარგამაძემ - 1,06%. დანარჩენი პრეზიდენტობის კანდიდატების პროცენტულმა მაჩვენებელმა ვერ გადააჭარბა 1%-ს. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ცესკოს შემაჯამებელ ოქმში. [24]

არჩევნების შემდგომი პერიოდი

არჩევნების შემდგომ გაიმართა სამუშაო შეხვედრა იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებთან მონაცემებში დარჩენილი უზუსტობების (მათ შორის, "პრობლემურ მისამართების") აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ელექტრონული დამუშავება და ანალიზი, მათ შორის, საარჩევნო უბნების, ოლქებისა და საქართველოს რეგიონების მიხედვით ამომრჩეველთა საერთო და კენჭიყრაში მონაწილეთა რაოდენობების, მათი აქტივობების, სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობების პროცენტული მაჩვენებლების დადგენა. ასევე, დამუშავდა სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით მომზადდა დოკუმენტური ფილმი საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის და აქტივობების შესახებ პრეზიდენტის არჩევნებისთვის მზადების პროცესში.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 56-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10% ან მეტი

[24] იხილეთ დანართი (13)

მიიღო სამმა საარჩევნო სუბიექტმა: ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - დავით ბაქრაძე, ”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო” - ნინო ბურჯანაძე, ”ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - გიორგი მარგველაშვილი.

ამ სუბიექტებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების საკომპენსაციოდ გადასარიცხი თანხების დაზუსტების მიზნით (არა უმეტეს 1 მილიონი ლარისა), საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მათ მიერ საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების ჯამური ოდენობების შესახებ (ცხრილი №14)

ცხრილი №14

#	**საარჩევნო სუბიექტი**	**საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების ჯამური ოდენობა (ლარი)**
1	”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - დავით ბაქრაძე	2 431 015
2	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო” - ნინო ბურჯანაძე	2 069 265
3	”ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - გიორგი მარგველაშვილი	2 680 608

ვინაიდან, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ხარჯების ჯამური ოდენობები აღემატებოდა 1 მლნ. ლარს, თითოეულმა სუბიექტმა საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო[25] 1 მილიონი ლარი (ცხრილი №15)

ცხრილი №15

#	**საარჩევნო სუბიექტი**	**თანხა**
1	”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - დავით ბაქრაძე	1 000 000
2	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო” - ნინო ბურჯანაძე	1 000 000
3	”ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” - გიორგი მარგველაშვილი	1 000 000
	სულ	**3 000 000**

[25] ”საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონით და საპრეზიდენტო არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2013 წლის 8 ივლისის №22 დადგენილებით საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსება გათვალისწინებული არ ყოფილა, რადგან ამ თანხების გამოყოფა იგეგმებოდა დამატებით არჩევნების შედეგების დაფიქსირების შემდგომ. ცესკოს მიერ შემაჯამებელი ოქმის მიღების შემდეგ, ბიუჯეტიდან ერთჯერადად გასაცემი თანხების გადარიცხვა უზრუნველყოფილი იქნა ცესკოს სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამულ კოდებზე წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე.

საოლქო კომისიებს დაევალათ საუბნო საარჩევნო კომისიების შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ჯამური თანხების ოდენობის ცესკოში წარმოდგენა. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის შემოწმების შემდგომ მომზადდა ბრძანების პროექტი, რომლის მიხედვითაც შრომის ანაზღაურების ჯამური თანხები ჩაერიცხათ საოლქო საარჩევნო კომისიებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დარიცხული ხელფასის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 11 740 103 ლარი. მათ შორის საშემოსავლო გადასახადია 2 317 609 ლარი, საბარათე ანგარიშებზე ჩაირიცხა 9 422 494 ლარი.

სამომავლო გეგმები

ცესკომ უკვე აქტიურად დაიწო მზადება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის. შესაბამისად საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 30 დეკემბერს დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმა, რაც დიდწილად განსაზღვრავს ცესკოს მომავალი მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმირების პროცესს და ასევე ცესკოს ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. 2014 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით: "საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიზნად ისახავს, გამჭვირვალობის, საჯაროობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით, ჩაატაროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც იქნება გამორჩეული დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება და სრული ნდობა შედეგების მიმართ". ცესკოს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებად 2014 წელს კვლავ დარჩება, საკანონმდებლო ბაზის გაუჯებესება, ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო სისტემის მოდერნიზაცია.

ამ პროცესში ცესკო გეგმავს აქტიურად იმუშაოს არჩევნებში ჩართულ მხარეებთან რათა უზრუნველყოს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს მხარეების ჩართულობას. ცესკო რეგულარულად გამართავს შეხვედრებს პოლიტიკურ პარტიებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იმ უწყებათაშორის და ინტერფრაქციულ ჯგუფებთან, რომლებიც მუშაობენ არჩევნების თემაზე.

დანართი 1

საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები პარტიების მიხედვით

პარტია	თავმჯდომარე	მოადგილე	მდივანი
ოლქის მიერ არჩეული	2827	2701	2821
პ/გ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	74	81	111
საქართველოს კონსერვატიული პარტია	64	85	98
პ/გ ეროვნული ფორუმი	99	84	98
რესპუბლიკური პარტია	95	126	118
ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები	97	100	92
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	461	458	236
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	24	106	167
	3741	**3741**	**3741**

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პირველ სხდომებზე დასწრება პარტიების მიხედვით

პარტია	არ ესწრებოდა
ოლქის მიერ არჩეული	2132
პ/გ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	917
საქართველოს კონსერვატიული პარტია	817
პ/გ ეროვნული ფორუმი	883
რესპუბლიკური პარტია	830
ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები	813
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	531
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1212
	8135

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში არსებული ეთნიკური უმცირესობები

აზერბაიჯანელი	1001
სომეხი	1509
ოსი	16
რუსი	15
ავარიელი	11
უკრაინელი	1
სუდ	**2553**

დანართი 2

წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატები, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე

წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატები, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები					
№	სახელი/გვარი	წარმდგენი	განკ.№	უარი/საფუძვლი	მიზეზი
1	ზურაბ ცხოვრებაშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №3172013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
2	გურამ მარხულია	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
3	იოსებ ბიბილეიშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №3172013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
4	შალვა ცერცვაძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
5	დავით ჩხეიძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
6	დავით კაკაბაძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები

7	უშანგი დონჯაშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
8	ბესიკ ადამია	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
9	გია ჩხიკვაძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
10	მერაბ გორგაძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
11	ნიკოლოზ გორგიჯანიძე	საინიციატივო ჯგუფი	№99/2013 №317/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
12	ვახტანგ ჟორდანია	საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	№104/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატები, რომელთაც განცხადებით უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე					
1	თამაზ თავაძე	საინიციატივო ჯგუფი	№312/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	განცხადების საფუძველზე
2	ვაჟა ჩხაიძე	საინიციატივო ჯგუფი	№91/2013 №311/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა”	განცხადების საფუძველზე

3	კახა სუხიშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№90/2013 №310/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	განცხადების საფუძველზე
4	როლანდ ლომინაძე	საინიციატივო ჯგუფი	№298/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	განცხადების საფუძველზე
5	თენგიზ გაბიძაშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№285/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	განცხადების საფუძველზე
6	ნუგზარ ჩხაიძე	საინიციატივო ჯგუფი	№257/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	განცხადების საფუძველზე
წარდგენილი კანდიდატები, რომელთაც ხარვეზის დადგენის შემდგომ არ წარმოდგენიათ შეწორებული დოკუმენტაცია					
1	ვლადიმერ გეგეჭკორი	საინიციატივო ჯგუფი	№73/2013	მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ შესწორებული განცხადება
წარდგენილი კანდიდატები, რომელთაც ხარვეზის დადგენის შემდგომ არ წარმოუდგენიათ შეწორებული მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები					
1	ასმათ მაჭავარიანი	საინიციატივო ჯგუფი	№332/2013 №111/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ შესწორებული მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
2	თამაზ ღუღუნიშვილი	პ/გ „ჩვენი ქვეყანა”	№110/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტი	არ წარმოუდგენიათ შესწორებული მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები
წარდგენილი კანდიდატები, რომელთაც ხარვეზის დადგენის შემდგომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კვლავ დადუდგინდათ ხარვეზი					
1	რევაზ ფახურიძე	საინიციატივო ჯგუფი	№85/2013	მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	ვერ გამოასწორეს ხარვეზი

2	ნერსე ბაცაში	საინიციატივო ჯგუფი	№87/2013	მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი	ვერ გამოასწორეს ხარვეზი
წარდგენილი კანდიდატები, რომელთაც მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიების შემოწმების შემდგომ ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა დარჩა დადგენილ ოდენობაზე ნაკლები					
1	თორნიკე იზორია	საინიციატივო ჯგუფი	№117/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტი	მხარდამჭერთა სიების რაოდენობა დარჩა დადგენილ ოდენობაზე ნაკლები
2	გიორგი ჩიხლაძე	საინიციატივო ჯგუფი	№63/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტი	მხარდამჭერთა სიების რაოდენობა დარჩა დადგენილ ოდენობაზე ნაკლები
წარდგენილი კანდიდატები, რომელებიც ერთზე მეტი საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო წარდგენილი					
1	ავთანდილ ფილაური	საინიციატივო ჯგუფი	№34/2013 №82/2013	ცესკოს №19/2013 დადგენილება	წარდგენილი იყო ორი საინიციატივო ჯგუფის მიერ და ორივეს ახლდა პრეზიდენტობის კანდიდატის თანხმობა.
ორმაგი /უცხო ქვეყნის მოქალაქეობის სტატუსის მქონე წარდგენილი კანდიდატები					
1	ტარიელ ხვედელიძე	საინიციატივო ჯგუფი	№17/2013 №66/2013	საქართველოს კონსტიტუციის 29 მუხლის 1 პრიმა პუნქტი	
2	გიორგი გახოკია	საინიციატივო ჯგუფი	№16/2013 №77/2013		
3	სალომე ზურაბიშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№64/2013		
4	ზურაბ წიწუაშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№79/2013		
5	მერაბ სულიაშვილი	საინიციატივო ჯგუფი	№80/2013		
6	ავთანდილ იოსელიანი	საინიციატივო ჯგუფი	№81/2013	„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 96-ე მუხლი	

დანართი 3

ანგარიში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსულ განცხადება/საჩივრებზე რეაგირებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ

(2013 წლის 4 ივლისიდან - 2013 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით)

საარჩევნო კომისიის წევრთა და პარტიათა წარმომადგენლების განცხადება/საჩივრები

1. №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის 2013 წლის 11 ოქტომბრის საჩივარი - №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ განცხადების კანონდარღვევით განხილვის შესახებ;
2. პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის - კარლო ცქიტიშვილის მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;
3. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქეთევან მიქელაძის მოხსენებითი ბარათი - №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №33, 97, 99 და 106 საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ პირთა არჩევის დროს მომხდარი დარღვევების შესახებ;
4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება ლენტეხში გამართული ღონისძიების შესახებ;
5. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საჩივარი №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 15 ოქტომბრის განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ;
6. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 16 ოქტომბრის საჩივარი დმანისში სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ;
7. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 16 ოქტომბრის განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და ამავე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფელ ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის-რწმუნებულის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;
8. პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება ქალაქ ზუგდიდში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით დასწრების შესახებ;
9. პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 15 ოქტომბრის განცხადება გურჯაანში სააგიტაციო მასალის კანონის დარღვევით განთავსების შესახებ;
10. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" მიერ საჯარო მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;

11. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება სიღნაღში მომხდარი ფაქტის შესახებ;
12. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება მცხეთაში მომხდარი ფაქტის შესახებ;
13. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება დმანისის მუნიციპალიტეტში საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და ჩამოხევის ფაქტის შესახებ;
14. №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ზვიად კოლხიდაშვილის 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადების შესახებ;
15. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და დაფარვის ფაქტის შესახებ;
16. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება ჩოხატაურში მომხდარი ფაქტის შესახებ;
17. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2013 წლის 24 ოქტომბრის განცხადება ქ. რუსთავში სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ.
18. პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება დავით საგანელიძის ბრიფინგის შესახებ;
19. პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება პრემიერ-მინისტრის მიერ ინტერვიუში თავისი არჩევანის ღიად დააფიქსირების შესახებ;
20. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 2013 წლის 26 ოქტომბრის განცხადება №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, საუბნო საარჩევნო კომისიის აბრის გვერდით, აღმართულ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”-ს დროშების შესახებ;
21. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 26 ოქტომბრის №1322/01 განცხადება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსისა და ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;
22. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 2013 წლის 28 ოქტომბრის განცხადება გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლების შეყვანის შესახებ;
23. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” განცხადება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ქ. მარნეულში სააგიტაციო მასალის დემონტაჟის შესახებ;
24. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” განცხადება სადამკვირვებლო ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა” დამკვირვებლის ქმედების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის წევრის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის წევრის მალხაზ წერეთელის განცხადება №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ;

სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადება/საჩივრები

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 2 აგვისტოს ქ. გორში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ნესტან კირთაძის ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრის შესახებ;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 4 აგვისტოს გურიის რეგიონში გამართული საქველმოქმედო აქციის შესახებ;
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 1 სექტემბერს ქ. თელავში ე.წ. "დრიფტ-შოუს" გამართვის შესახებ;
4. არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" 2013 წლის 18 სექტემბრის განცხადება - ზუგდიდში, კასპსა და ჩოხატაურში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ;
5. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" განცხადებები 2013 წლის 29 აგვისტოს ქ. რუსთავში გამართულ წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში საჯარო მოხელეების კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;
6. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება - ზუგდიდში, ფოთში, კასპში, ჩოხატაურსა და ქუთისში მომხდარ კანონდარღვევებთან დაკავშირებით;
7. არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარის 2013 წლის 15 ოქტომბრის საჩივარი №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ჯემალ დეკანაძის დანიშვნის შესახებ;
8. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" 2013 წლის 9 ოქტომბრისა და 12 ოქტომბრის განცხადებები ბეჭვდით სააგიტაციო მასალის შესახებ;
9. სადამკვირვებლო ორგანიზაციის ,,სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნები'' 2013 წლის 11 ოქტომბრის განცხადების შესახებ;
10. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" 2013 წლის 23 ოქტომბრის საჩივარის შესახებ;
11. არასამთავრობო ორგანიზაციის "თავისუფალი ზონა" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება შესახებ.
12. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადების შესახებ;
13. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" თავმჯდომარის მიხეილ დევდარიანის განცხადებების შესახებ;
14. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ჯემალ შარაძის დაკავებული თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენების შესახებ;
15. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების განცხადება სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ.

მოქალაქის განცხადება

1. მოქალაქე ზურაბ კაკალაძის 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ.

ზემოხსენებული განცხადება/საჩივრების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: http://project.cec.gov.ge/admin/index.php?action=sachivrebi&s=1&archevnebi=6

საარჩევნო კომისიის წევრთა და პარტიათა წარმომადგენლების განცხადება/საჩივრები

1. №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის 2013 წლის 11 ოქტომბრის საჩივარი - №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ განცხადების კანონდარღვევით განხილვის შესახებ;

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2308) შემოვიდა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის საჩივარი, სადაც აღნიშნული იყო, რომ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ იქნა უკანონო და დაუსაბუთებელი განკარგულება, რის საფუძველზეც დაირღვა კანონი. მომჩივნის განმარტებით, დარღვევა გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 28 სექტემბერს პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი კახაბერ ოქრაძე არიგებდა სააგიტაციო მასალას დავით ბაქრაძის მხარდასაჭერად, რა დროსაც №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის №13 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დარეჯან კვერცხიშვილმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მოუწოდა, თავი დაენებებინა ბუკლეტების დარიგებისათვის. მომჩივნის აზრით, №13 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დარეჯან კვერცხიშვილმა დაარღვია საარჩევნო კოდექსი, ვინაიდან იგი არის ოლქის მიერ არჩეული კომისიის წევრი და არ შეიძლება ემხრობოდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და ამასთან აშკარად გამოხატავდეს პოლიტიკურ მოსაზრებას, გარდა ამისა, დარეჯან კვერცხიშვილმა ხელი შეუშალა მოქალაქეს წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელებაში, რის საფუძველზეც დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლის მოთხოვნები.

მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირებისთვის მიმართა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა დარეჯან კვერცხიშვილისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნა არ განხილულა კომისიის სხდომაზე და განკარგულება მიღებულ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად, რის საფუძველზეც დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები. ამასთან, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბაკურ მგელაძე აღნიშნავდა, რომ განკარგულების პირველი მუხლით მას უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლის ნაწილში იმის გამო, რომ იგი არ განეკუთვნებოდა საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას, მაშინ, როდესაც მოთხოვნას წარმოადგენდა დარეჯან კვერცხიშვილისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და არა მე-80 მუხლის საფუძველზე მისი დაჯარიმება. გარდა ამისა, განკარგულებით პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს ასევე უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე მტკიცებულებების არარსებობის გამო. მომჩივანს მიაჩნია, რომ დმანისის საოლქო საარჩევნო

კომისიას არ შეუმოწმებია მტკიცებულების სახით წარდგენილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტის კახაბერ ოქრაძის ახსნა-განმარტება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და არც დაუბარებია მხარეები საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით.

მომჩივანი ითხოვდა დარეჯან კვერცხიშვილისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტას და ასევე №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 3 ოქტომბერს პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბაკურ მგელაძემ განცხადებით მიმართა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა №24 დმანისის საარჩევნო ოლქის №13 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დარეჯან კვერცხიშვილის, როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

№24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილ 2013 წლის 10 ოქტომბრის №1 სხდომის ოქმში აღნიშნული იყო, რომ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა განცხადება, თუმცა ოქმში არ არის მითითებული ინფორმაცია კომისიის წევრთა დასწრებისა და სახელობით კენჭისყრაში მათი მონაწილეობის შესახებ. ოქმს ხელს აწერს როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი. ოქმის შესწავლის შედეგად ცალსახად დადგინდა, რომ პ/გ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბაკურ მგელაძის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადება №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას არ განუხილავს. განცხადება ერთპიროვნულად განიხილა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლ. ყულიაშვილმა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა „განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ" №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №029/2013 განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეუწყდეს ზემდგომი საარჩევნო კომისიის განკარგულებით, ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს უფლებამოსილი საარჩევნო კომისია. გადაწყვეტილება მიიღება იმავე წესით, როგორითაც მოხდა მათი არჩევა. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განცხადების საფუძველზე ამ კანონით საარჩევნო დავების განხილვისათვის დადგენილი წესით შეამოწმოს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით ცნოს ბათილად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები."

აღნიშნული სამართლის ნორმების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ცესკომ მიიჩნია, რომ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №029/2013 განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან მითითებული სამართლის ნორმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებს საოლქო საარჩევნო კომისიას, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტოს იმავე წესით, როგორითაც მოხდა მისი არჩევა. ამ

კონკრეტულ შემთხვევაში, №24 დმანისის საარჩევნო ოლქის №13 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დარეჯან კვერცხიშვილის, როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი უნდა განეხილა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას. ამდენად, №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი, განეხილა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბაკურ მგელაძის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადება და ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო „განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ" №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №029/2013 განკარგულება და დაავალა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში ბაკურ მგელაძის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, ასევე დაევალა ცესკოს იურიდიულ და საორგანიზაციო დეპარტამენტებს №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა.

დისციპლინური პასუხიმგებლობის მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის შესახებ

№24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თამჯდომარემ ლ. ყულიაშვილმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის განცხადებაზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას და არა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ერთპიროვნულად. შესაბამისად, ლ. ყულიაშვილის ქმედება შეფასდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილი იყო მითითებული დისციპლინური გადაცდომისათვის ლ. ყულიაშვილის მიმართ გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 16 ოქტომბერს სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლ. ყულიაშვილის, როგორც კომისიის წევრის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა - შენიშვნა.

2. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის - კარლო ცქიტიშვილის მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში/აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;

2013 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება(რეგისტრაც. №1/1826).

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 19 სექტემბერს, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში (ხუთშაბათ დღეს, სამუშაო საათების დროს), ქ. თბილისში, სპორტის სასახლეში მპგ „ქართული

ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდა მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსი კარლო ცქიტიშვილი, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს საჯარო მოხელეს.

განმცხადებლის მოსაზრებით, საჯარო მოხელეზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის აკრძალვები. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით და შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენას ზემოაღნიშნულ დარღვევის ფაქტზე.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსს კარლო ცქიტიშვილს მიეცა საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში, ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის პროტოკოლის სამსახურის უფროსის კარლო ცქიტიშვილის მიერ წარმოდგენილი №30966, 26.09.2013წ. წერილიდან როგორც გამოირკვა, იგი ინფორმირებული იყო საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” საჯარო მოხელეებისათვის დადგენილი წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შეზღუდვების თაობაზე. აღნიშნული წერილით კარლო ცქიტიშვილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იგი 2013 წლის 19 სექტემბერს ნამდვილად ესწრებოდა სპორტის სასახლეში „ქართული ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრას, თუმცა აქვე განმარტავს, რომ 2013 წლის 19 სექტემბერს ის იმყოფებოდა შვებულებაში, რაც დასტურდება შვებულების შესახებ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2013 წლის 13 სექტემბრის №508 ბრძანებით. „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ბ” პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელის შვებულების დრო იწვევს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებას და მისი აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტი, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი, არ მომხდარა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს ან სამუშაო საათებში.

ამდენად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის კარლო ცქიტიშვილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის „თ”

ქვეპუნქტის დარღვევით, შესაბამისად, არ არსებობს მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცესკომ დაადგინა, რომ განცხადების ავტორის მოთხოვნა - საქართველოს მთავრობის კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის - კარლო ცქიტიშვილის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე, არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

3. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქეთევან მიქელაძის მოხსენებითი ბარათი - №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №33, 97, 99 და 106 საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ პირთა არჩევის დროს მომხდარი დარღვევების შესახებ

2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადება (რეგისტ. №1/1908), სადაც მოთხოვნილი იყო №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №33, 97, 99 და 106 საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ პირთა არჩევის დროს მომხდარ დარღვევებზე რეაგირება.

№106 საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევასთან დაკავშირებით

2013 წლის 24 სექტემბრის №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საკითხი. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე 13 წევრიდან შვიდმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა, ხოლო კომისიის ექვსმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა. №33 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის დროს, დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი არჩეულ იქნა ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიდან. (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა პ/გ „ეროვნული ფორუმი-ის" მიერ დანიშნული წევრი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პარტია „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" მიერ დანიშნული წევრი). 2013 წლის 23 სექტემბერს გაიმართა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულების და „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საკითხი. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე 13 წევრიდან ექვსმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა, ხოლო კომისიის შვიდმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან რეაგირება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლა განცხადებაში მითითებული გარემოებები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2013 წლის 22 სექტემბერს გაიმართა №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც კომისიის 12 წევრთან ერთად ესწრებოდა ამავე ოლქის №102 საუბნო საარჩევნო კომისიაში საქართველოს კონსერვატიული პარტიის მიერ დანიშნული წევრი გიორგი ლომინაძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მ. გოგლიძის, თავმჯდომარის მოადგილის ს. ქართველიშვილის და კომისიის მდივნის ნ. ჩოჩუას არჩევის პროცესში. №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა მ. თამაზაშვილმა და მ. ფიფინაშვილმა კომისიის მდივნის თანამდებობაზე წარადგინეს ნ. ჩოჩუას კანდიდატურა. სახელობით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 12 წევრმა და გ. ლომინაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ნ. ჩოჩუას კომისიის მდივნად არჩევას. საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს კომისიის მდივნის სხვა კანდიდატურა არ დაუსახელებიათ, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის მდივნის თანამდებობაზე კენჭისყრაზე დააყენა ი. კვატაშიძის კანდიდატურა. სახელობით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 12 წევრმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ი. კვატაშიძის კომისიის მდივნად არჩევას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2013 წლის 22 სექტემბერის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ ბაბაკიშვილი. საქართველოს ორგანული კანონის „სქართველოს საარჩევნო კოდექსი” 21-ე მუხლის „ა” პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. ამდენად, თენგიზ ბაბაკიშვილი, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ვალდებული იყო ხელი შეეშალა №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე არსებული დარვევებისათვის. კერძოდ, არ დაეშვა №102 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გიორგი ლომინაძის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრება და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის არჩევის პროცესში მისი მონაწილეობა. აგრეთვე არ დაეშვა №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით არჩევა. თუმცა, თენგიზ ბაბაკიშვილს 2013 წლის 22 სექტემბრის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე არსებულ კანონდარღვევებზე რეაგირება არ მოუხდენია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 25-ე მუხლის პირველი პუნქტით „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ამავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები”.

მითითებული ნორმის შინაარსიდან ცალსახაა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს პირველივე სხდომაზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია, ხოლო კომისიის მდივნის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში №106 საუბნო საუბნო

საარჩევნო კომისიის არც ერთ წევრს კომისიის მდივნად ი. კვატაშიძის კანდიდატურა არ დაუსახელებია, მიუხედავად ამისა, კომისიის თავმჯდომარემ მ. გოგლიძემ კენჭისყრაზე დააყენა ი. კვატაშიძის კანდიდატურა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თორმეტმა წევრმა მხარი დაუჭირა ი. კვატაშიძის კომისიის მდივნად არჩევას. №106 საუბნო საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 22 სექტემბრს მიიღო №3/2013 განკარგულება ი. კვატაშიძის საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად არჩევის შესახებ. №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის დროს დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, რაც წარმოადგენს „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე ირკვევა, რომ „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულებას და საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. გოგლიძე და კომისიის მდივანი ი. კვატაშიძე, რომელიც კომისიის მდივნის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს. №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი შეადგინა და ხელი მოაწერა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევით არჩეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ი. კვატაშიძემ, რაც წარმოადგენს მითითებული სხდომის ოქმის ბათილად ცნობის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო: 1.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 2. „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 3. „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №106 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულება მისი

გამოცემის დღიდან და ასევე №106 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი მისი შედგენის დღიდან.

№33 საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევასთან დაკავშირებით

№33 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის დროს, დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი არჩეულ იქნა ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიდან. (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა პ/გ „ეროვნული ფორუმი-ის" მიერ დანიშნული წევრი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პარტია „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" მიერ დანიშნული წევრი). 2013 წლის 23 სექტემბერს გაიმართა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულების და „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საკითხი. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე 13 წევრიდან ექვსმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა, ხოლო კომისიის შვიდმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. განმცხადებელი ითხოვს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეაგირებას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლა განცხადებაში მითითებული გარემოებები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის ცხრა წევრი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, კომისიის ორმა წევრმა დარეჯან კობახიძემ და ინგა კურტანიძემ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელეს ინგა კურტანიძის კანდიდატურა. ინგა კურტანიძე არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე 9 ხმით. გივი ლაშხიამ და ინგა კურტანიძემ კომისიის მდივნის თანამდებობაზე დაასახელეს ქეთევან ხმალაძის კანდიდატურა. ქეთევან ხმალაძე არჩეულ იქნა კომისიის მდივნის თანამდებობაზე 9 ხმით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ამავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები". ამავე კოდექსის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ინგა კურტანიძე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია პ/გ „ეროვნული ფორუმი"-ს მიერ, ხოლო ქეთევან ხმალაძე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია პარტია „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები"-ს მიერ. პ/გ „ეროვნული ფორუმი" და პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები" არიან საარჩევნო სუბიექტის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" წევრები. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე ირკვევა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ი. კურტანიძე აირჩია, ხოლო შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ ხელმძღვანელ პირად - კომისიის მდივნად აირჩია ქ. ხმალაძე. ამდენად, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულებას და საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ქ. ხმალაძე, რომელიც კომისიის მდივნის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს. №33 საუბნო საარჩევნო კომისიის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი შეადგინა და ხელი მოაწერა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევით არჩეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ქ. ხმალაძემ, რაც წარმოადგენს მითითებული სხდომის ოქმის ბათილად ცნობის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო: 1.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 2.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 3. „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულება მისი

გამოცემის დღიდან და ასევე 4.№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №33 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი მისი შედგენის დღიდან.

№97 საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევასთან დაკავშირებით

№97 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის დროს, დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი არჩეულ იქნა ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიდან. (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა პ/გ „რესპუბლიკური პარტიის" მიერ დანიშნული წევრი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანად პ/გ „კონსერვატიული პარტიის" მიერ დანიშნული წევრი). 2013 წლის 23 სექტემბერს გაიმართა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა ამავე ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულების და „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საკითხი. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე 13 წევრიდან ექვსმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა, ხოლო კომისიის შვიდმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. განმცხადებელი ითხოვს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეაგირებას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლა განცხადებაში მითითებული გარემოებები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის რვა წევრი. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, კომისიის ორმა წევრმა ლეილა ტაბაღუამ და ეთერ აბულაძემ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელეს ნინო ნოღაშვილის კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე 8 ხმით. ეთერ აბულაძემ და მარინა ხეცაძემ კომისიის მდივნის თანამდებობაზე დაასახელეს ანა გალოგრეს კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა კომისიის მდივნის თანამდებობაზე 8 ხმით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ამავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები." ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ნინო ნოღაშვილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია პ/გ „რესპუბლიკური პარტიის" მიერ, ხოლო ანა გალოგრე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია პ/გ „კონსერვატიული პარტიის" მიერ. პ/გ „რესპუბლიკური პარტია" და პ/გ „კონსერვატიული პარტია" არიან საარჩევნო სუბიექტის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" წევრები. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე ირკვევა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ნ. ნოღაშვილი აირჩია, ხოლო შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ ხელმძღვანელ პირად -კომისიის მდივნად ა. გალოგრე აირჩია. ამდენად, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს მათი ბათილად ცნობის საფუძველს.

„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულებას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ა. გალოგრე, რომელიც კომისიის მდივნის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს. №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი შეადგინა და ხელი მოაწერა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევით არჩეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ა. გალოგრემ, რაც წარმოადგენს მითითებული სხდომის ოქმის ბათილად ცნობის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო:1.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 2.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 3.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან და ასევე 4. №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №97 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი მისი შედგენის დღიდან.

№99 საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევასთან დაკავშირებით

№99 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის დროს დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი არჩეულ იქნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიდან. (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აირჩეს „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" მიერ დანიშნული წევრი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პარტია „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების" მიერ დანიშნული წევრი). 2013 წლის 23 სექტემბერს გაიმართა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც განხილულ იქნა „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულების და „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულების ბათილად ცნობის საკითხი. №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრე 13 წევრიდან ექვსმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა, ხოლო კომისიის შვიდმა წევრმა საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი არ დაუჭირა. შესაბამისად, №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ. განმცხადებელი ითხოვს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეაგირებას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლა განცხადებაში მითითებული გარემოებები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი და №6 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი მილორავა ჯუმბერი. საუბნო საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა მარინე აბუთიძემ და ვახტანგ მელიქიძემ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს მერი ჭარელიშვილის კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 11 ხმით. ნონა გლუნჩაძემ და მარინა დანელიანმა კომისიის მდივნის თანამდებობაზე დაასახელეს ლილი ბუჩაშვილის კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა კომისიის მდივნის თანამდებობაზე 11 ხმით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ამავდროულად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები". ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მერი ჭარელიშვილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" მიერ, ხოლო ლილი ბუჩაშვილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნულია პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები"-ს მიერ. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" და პ/გ „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები" არიან საარჩევნო სუბიექტის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" წევრები. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე ირკვევა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ მ. ჭრელიშვილი აირჩია, ხოლო შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიამ ხელმძღვანელ პირად -კომისიის მდივნად ლ. ბუჩაშვილი აირჩია. ამდენად, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულებას, „№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულებას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ლ. ბუჩაშვილი, რომელიც კომისიის მდივნის თანამდებობაზე არჩეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმს. №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი შეადგინა და ხელი მოაწერა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევით არჩეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ლ. ბუჩაშვილმა, რაც წარმოადგენს მითითებული სხდომის ოქმის ბათილად ცნობის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო: 1.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №3/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 2.„№6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის2013 წლის 22 სექტემბრის №2/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან, 3. №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ" №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის №1/2013 განკარგულება მისი გამოცემის დღიდან ასევე №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №99 საუბნო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 22 სექტემბრის სხდომის ოქმი მისი შედგენის დღიდან.

2013 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე ასევე განხილულ იქნა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, როგორც კომისიის წევრის პასუხისმგებლობის საკითხი

საქრთველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავალება მისცა თავმჯდომარის მოადგილეს, შესაბამისად №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქ. მიქელაძის დავალებით 2013 წლის 22 სექტემბერს, №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას ესწრებოდა №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თენგიზ ბაბაკიშვილი, რათა უზრუნველეყო აღნიშნული უბნის კომისიის სხდომის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 21-ე მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას. ამდენად, თენგიზ ბაბაკიშვილი, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ვალდებული იყო ხელი შეეშალა №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე არსებული დარვევებისათვის. კერძოდ, არ დაეშვა №102 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გიორგი ლომინაძის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრება და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის არჩევის პროცესში მისი მონაწილეობა. აგრეთვე არ დაეშვა №106 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით არჩევა. თუმცა, თენგიზ ბაბაკიშვილს 2013 წლის 22 სექტემბერის №106 საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე არსებულ კანონდარღვევებზე რეაგირება არ მოახდინა.

№6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თენგიზ ბაბაკიშვილის ქმედება წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თენგიზ ბაბაკიშვილს, როგორც კომისიის წევრის მიმართ გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა - შენიშვნა.

4. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება ლენტეხში გამართული ღონისძიების შესახებ

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (რეგისტრაციის №1/2311), სადაც აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით გამართულ ღონისძიებაზე - „ლენტეხობა-2013", ადგილი ჰქონდა მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხრიდან საარჩევნო მოწოდებების გაკეთებას საჯაროდ, მათ შორის სამომავლო დაპირებით საარჩევნო მოწოდებას.

განმცხადებელი მიუთითებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტზე და მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა ორგანიზატორის მიერ აგიტაციის გაწევას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით

ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რაც აღნიშნული ნორმის შესაბამისად ითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად. აქედან გამომდინარე, ითხოვდა ამავე კოდექსის 88-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, ხოლო მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის სამომავლო დაპირებით საარჩევნო მოწოდებას განმცხადებელი განიხილავდა ამომრჩევლის მოსყიდვად და შესაბამისად, მიუთითებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევაზე.

განმცხადებელი ითხოვდა ზემო აღნიშნულის განხილვა/გაანალიზებასა და კანონმდებლობით მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისათვის თავსებადი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „ჰ[1]” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 88-ე მუხლის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

ამ კანონის 88-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული 2013 წლის 15 ოქტომბრის №04-498 წერილიდან ირკვევა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 ოქტომბრის №84 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 10 ოქტომბერს ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ლენტეხობა-2013”, რომელიც დაფინანსდა კერძო შემოწირულობებით.

ზემოაღნიშნული წერილიდან გამოირკვა, რომ სახალხო დღესასწაული „ლენტეხობა-2013” ჩატარდა საკრებულოს თავმჯდომარის ორგანიზებით, კერძო შემომწირველების მიერ გაღებული ფინანსური რესურსებით, რაც ცესკომ მიიჩნია, რომ წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სახსრებს და აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორი არის საკრებულო მისი თავმჯდომარის სახით. გამომდინარე აქედან ცესკომ მიიჩნია, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად აკრძალულია: „საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა)", ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში".

განცხადებაში მითითებული ბმულის (http//www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2 თარიღი: 10.10.2013; დრო 18:34) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს გამართულ სახალხო დღესასწაულზე „ლენტეხობა-2013" საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხრიდან არ მომხდარა საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით დაინტერესება. შესაბამისად, მის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა არ გამოიკვეთა და შესაბამისად მასზე არ გავრცელდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია. განცხადებაში მითითებული ბმულის (http//www.myvideo.ge/?act=dvr&chan=rustavi2 თარიღი: 10.10.2013; დრო 18:34) შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს გამართულ სახალხო დღესასწაულზე „ლენტეხობა-2013" საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო დამსწრე საზოგადოებას. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ამომრჩევლისათვის წინასაარჩევნო პროგრამის გაცნობა არ წარმოადგენს ამომრჩევლის მოსყიდვას და არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მაკვალიფიცირებელ გარემოებას.

აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხრიდან ადგილი რომც ჰქონოდა შეხვედრაზე გამოთქმულ სამომავლო დაპირებებით წინასაარჩევნო მოწოდებების გაკეთებას, ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაითვლებოდა მხოლოდ ისეთი დაპირებები რომლის რეალურად შესრულების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს საქართველოს მომავალ პრეზიდენტს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს გამართულ სახალხო დღესასწაულზე „ლენტეხობა-2013" მონაწილეობა მიიღეს სააქართველოს იუსტიციის მინისტრმა თ. წულუკიანმა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ს. სუბარმა. საქართველოს მინისტრებს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ენიჭებათ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში, როგორც სამუშაო საათებში, ასევე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. ამდენად, თ. წულუკიანის და ს. სუბარის მხრიდან საქართველოს

ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” დადგენილი მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო ფაქტობრივი გარემოებებისათვის თავსებადი სამართლებრივი შედეგის დადგომა, გულისხმობს ცესკოს მიმართვას სასამართლოსადმი საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვა სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. ზემოაღნიშნული საკითხი იურიდიული პირისთვის რეალიზდება დისკრეციულ უფლებამოსილებაში, რომლის არსიც მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ” ქვეპუნტში, რომლის თანახმადაც, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო კომისიას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონმდებელმა საარჩევნო კომისია აღჭურვა დისკრეციული უფლებამოსილებით და არა ვალდებულებით, რომ მიმართოს სასამართლოს ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით, ამავე კოდექსის 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს პოლიტიკურ პარტიასაც. ამდენად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უფლებამოსილი პირია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს სარჩელით საარჩევნო სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, თუ თვლის, რომ საარჩევნო სუბიექტის მხრიდან ხორციელდება ამომრჩევლის მოსყიდვა და ცესკოს წინამდებარე განკარგულებით დადგენილი უარი ვერ გახდება დამაბრკოლებელი გარემოება პოლიტიკური პარტიისათვის, სურვილის შემთხვევაში დამოუკიდებლად მიმართოს სარჩელით სასამართლოს ამომრჩევლის მოსყიდვის საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა - არ მიემართოს სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით უსაფუძვლობის გამო, ასევე მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2013 წლის 11 ოქტომბრის განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაეგზავნოს №46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

2013 წლის 22 ოქტომბერს №46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ვალოდია ქურასბედიანს.

2013 წლის 22 ოქტომბერს №46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და თანდართული მასალები გადაუგზავნა ცაგერის რაიონულ სასამართლოს განსახილველად.

ცაგერის რაიონულმა სასამართლომ არ დააჯარიმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვალოდია ქურასბედიანი.

5. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საჩივარი №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 15 ოქტომბრის განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ

2013 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკოში რეგისტაციის №1/2466) პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემოტანილ იქნა საჩივარი, სადაც აღნიშნული იყო, რომ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 15 ოქტომბერს გამოცემულ იქნა №17/2013 განკარგულება, რომლის თანახმადაც, №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 15 ოქტომბერს განუხილველად დატოვა პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის" განცხადება (03.10.2013წ. №189) არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი წარდგენის გამო. ასევე მომჩივანი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 21-ე მუხლის „ა" და „ე" პუნქტების გათვალისწინებით, №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებული იყო წარდგენილი განცხადება, არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენის შემთხვევაშიც, საკუთარი ინიციატივით შეემოწმებინა და ემსჯელა მისთვის ცნობილ კანონდარღვევაზე.

მომჩივანი ითხოვდა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 15 ოქტომბრის №17/2013 გაკარგულების ბათილად ცნობას, ასევე №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი განცხადების განმეორებით შესწავლას, მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიმართ სადისციპლინო საქმისწარმოების დაწყებას.

საჩივრის შესწავლის შედეგად, დადგენილ იქნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა №412/2013 განკარგულება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი „განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ" №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №029/2013 განკარგულება, ასევე №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ცესკომ ამავე განკარგულებით დაავალა იურიდიულ და საორგანიზაციო დეპარტამენტებს შეისწავლონ №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

ცესკოს 2013 წლის 12 ოქტომბრის №412/2013 განკარგულების შესრულების მიზნით, №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 15 ოქტომბერს განუხილველად დატოვა პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის" განცხადება (03.10.2013წ. №189) არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი წარდგენის გამო. ამასთანავე, ცესკომ, 2013 წლის 16 ოქტომბერს იურიდიული დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, №443/2013 განკარგულებით №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლ. ყულიაშვილის, როგორც კომისიის წევრის მიმართ გამოიყენა დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა - შენიშვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 78-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის წევრის ან საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს,

დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი ან ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება. ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში შეტანილი განცხადება/სარჩელი/საჩივარი განუხილველი რჩება. ზემოთ აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით ბაკურ მგელაძე არ წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს მიემართა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის განცხადება/საჩივრით კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეყვეტის მოთხოვნით, არამედ ამ საარჩევნო დავაზე უფლებამოსილი პირი საჩივრის/სარჩელის წარდგენისა როგორც საარჩევნო კომისიებში ასევე სასამართლოში, არის პარტია და არა მისი წარმომადგენელი რომელიმე საარჩევნო კომისიაში.

აღსანიშნავი იყო ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეისწავლოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესისა და ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი. აღნიშნული ნორმის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიას გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება და არა ვალდებულება განიხილოს განცხადება/საჩივარი საკუთარი ინიციატივით. შესაბამისად, ამ ნაწილშიც სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული განმცხადებლის პოზიცია, რომ აღნიშნული კომისიის ვალდებულება იყო და ამის გამო დარღვეულია კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.”

ვინაიდან, სადაო განკარგულება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და ამჯერად არც მისი მომზადებისა და გამოცემის წესი არ იყო დარღვეულა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 15 ოქტომბრის №17/2013 განკარგულება მიღებულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა ცესკოს მიერ მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” საჩივარში აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილდა სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობის გამო და ძალაში დარჩა №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის „№24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ბაკურ მგელაძის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი შემოტანის გამო“ 2013 წლის 15 ოქტომბრის №17/2013 განკარგულება.

6. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2013 წლის 16 ოქტომბრის საჩივარი დმანისში სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ

2013 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საჩივარი(რეგისტრაციის №1/2464), სადაც აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 9 ივლისს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა იმ ადგილების ნუსხა, სადაც აკრძალული იყო საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა. ამის მიუხედავად, პ/გ „ქართული ოცნების” მიერ უხეშად დაირღვა როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულება, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მოთხოვნა. კერძოდ: პ/გ „ქართული ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის პლაკატები გაკრული იყო სოფელ

ამამლოში №4-ე საარჩევნო უბნის შენობაზე, გამგეობას დაქვემდებარებულ კომუნალური განყოფილების გარე ფასადებზე და ქალაქ დმანისის საგზაო ნიშნებზე. გარდა ამისა, საღებავებით საგზაო ნიშნებზე მიწერილია ციფრი 41.

მომჩივანი განმარტავდა, რომ პ/გ „ქართული ოცნების" მიერ დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე და 48-ე მუხლების მოთხოვნები, შესაბამისად, განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ამავე კოდექსის 79-ე და 88-ე მუხლების საფუძველზე უნდა დაჯარიმებულიყო მპგ „ქართული ოცნება".

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-93-ე მუხლები განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებს და შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს. ამავე კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის, ხოლო 88-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება. საქართველოს ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლი იძლევა ტერმინთა განმარტებებს, რომლის მიხედვითაც, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას და ა.შ.", ხოლო სააგიტაციო მასალაში მოიაზრება პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონის დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებად ან/და ჩაითვალოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად, რადგან ამ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს სააგიტაციო მასალის განთავსების აკრძალვას სხვადასხვა შენობა ნაგებობებზე და მითითებული მუხლის დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. ამ მუხლის შესაბამისად, სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისათვის სანქცია

გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 16 ოქტომბრის საჩივარი შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

7. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 16 ოქტომბრის განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და ამავე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფელ ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის-რწმუნებულის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ

2013 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (რეგისტ. №1/2455), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 21 აგვისტოს, ოთხშაბათს, პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა წინასაარჩევნო კამპანიის მიზნით, გამართა შეხვედრები ამომრჩევლებთან სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. წნორში, სოფ. ვაქირსა და ქ. სიღნაღში. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლია ბეჟაშვილი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ. ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-რწმუნებული ილია ხატიაშვილი. შეხვედრა გაიმართა სამუშაო საათების განმავლობაში.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ხსენებული შეხვედრები გაშუქებულ იქნა სამაუწყებლო კომპანიების მიერ, მათ შორის სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 15 საათიან და მომდევნო საინფორმაციო გამოშვება - „მოამბე"-ს მეშვეობით. კერძოდ, პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ გამართული შეხვედრის ადგილიდან პირდაპირი ჩართვის დროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ლია ბეჟაშვილის სარჩევნო კამპანიის პროცესში მონაწილეობას ადასტურებს შეხვედრის ადგილიდან სააგიტაციო მასალების ფონზე მის მიერ ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუ, რომლის უკან ასევე ფიქსირდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ. ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-რწმუნებული ილია ხატიაშვილი. (განცხადებაში მითითებულია ინტერნეტ ვებ-გვერდის ამონარიდი ბმულიდან: http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=gpbhq თარიღი: 21.08.2013. დრო 16:14:20).

განცხადებელი ეყრდნობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” 42-ე მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს და მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ლია ბეჟაშვილი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ. ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-რწმუნებული ილია ხატიაშვილი არიან საჯარო მოხელეები.

განცხადებაში მოყვანილი იყო საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ” 61-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მოსამახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის და ასევე ციტირებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის $ჰ^1$ ქვეპუნქტი - „$ჰ^1$) წინასაარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა”.

განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მ/შ ლია ბეჟაშვილმა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ. ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელძღვანელმა, რწმუნებულმა ილია ხატიაშვილმა დაარღვიეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ დაჯარიმებას (2 000 ლარის ოდენობით).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „$ჰ^1$” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ იქნას სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში განცხადებებში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

განცხადებებზე თანდართული ბმულის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის მიზნით მიმდინარე წლის 21 აგვისტოს გამართული შეხვედრების დროს განცხადებაში მითითებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მ/შ-ის - ლია ბეჟაშვილის მიერ მიცემულ ინტერვიუში ნამდვილად არის წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი მოწოდებები, ვინაიდან იგი აღნიშნავდა, რომ არის პედაგოგი და ბატონი გიორგი მისი მინისტრი იყო და იგი რეალური კანდიდატია, ასევე გიორგი მარგველაშვილმა მოახერხა იმ მცირე მონაკვეთში, რაც მისი მინისტრი იყო დაემსახურებინა მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა. რაც შეეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ.

ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს, რწმუნებულს - ილია ხატიაშვილს, წარმოდგენილი ბმულის მიხედვით, აღნიშნული პირის მიერ შეხვედრაზე მხოლოდ დასწრება არ შეიძლება მივიჩნიოთ წინასაარჩევნო აგიტაციად, თუ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა რაიმე მოწოდებებს ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედებებს, რომელიც მიმართული იქნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევის ხელშეწყობისაკენ. ინტერვიუს დროს კადრში აღნიშნული პირების პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრაზე დასწრება გამოიხატა უმოქმედებაში, რაც არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მ/შ ლია ბეჟაშვილის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით, განცხადება გადაეგზავნა №13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, უარი ეთქვა პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამგეობის სოფ. ვაქირის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის-რწმუნებულის ილია ხატიაშვილის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე და ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მ/შ ლია ბეჟაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის მიზნით, განცხადება გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

№13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პ/გ "ერთიანი ნაცინალური მოძრაობის" 2013 წლის 16 ოქტომბრის განცხადებაში მოყვანილი ფაქტი მიჩნეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის "საქათველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

2013 წლის 19 ოქტომბერს №13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მ/შ ლია ბეჟაშვილის მიმართ. სამართალდარღვევის ოქმი და საქმის მასალები გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ არ დააჯარიმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი მ/შ ლია ბეჟაშვილი.

8. პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება ქალაქ ზუგდიდში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით დასწრების შესახებ

2013 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება (რეგისტ. №1/2454),

რომელშიც საუბარი იყო ქალაქ ზუგდიდში საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შემთხვევებზე. კერძოდ: განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში, პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელები - მირიან ქარდავა და დიმა ბარამია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი - გიორგი მამფორია, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეები - თენგიზ ქობალია და დავით კვაშილავა, ზუგდიდის საკრებულოს იურისტი - დავით ჭანტურია. განმცხადებლის მოსაზრებით, ზემოთ აღნიშნული პირების დასწრება წინასაარჩევნო შეკრებაზე აღიქმება, როგორც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა, რაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევაა და ითვალისწინებს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ დაირღვა 2013 წლის 30 სექტემბერს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის, ისინი, რომელიც უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ წინასაარჩევნო შეხვედრების დასწრებისას გარკვეული მოთხოვნების დაცვას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებული იყო, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან, როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება, ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ, ანუ აქციაზე დასწრება არ არის აქციის ჩატარებაში მონაწილეობა, თუ მას თან არ ახლავს პირის მიერ აქციაზე განხორციელებული კონკრეტული საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის კანდიდატის არჩევას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის

უფლება არა აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საჯარო მოხელეებს, ხოლო იმავე პუნქტის „თ" ქვეპუნქტი კი კრძალავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეების მონაწილეობას წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში სამუშაო საათების განმავლობაში ან/და მათ მიერ უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დამრღვევი პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელების - მირიან ქარდავასა და დიმა ბარამიას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის - გიორგი მამფორიას, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეების - თენგიზ ქობალიას, დავით კვაშილავასა და დავით ჭანტურიას სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, ასევე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ არა ნებისმიერ შეკრებაზე, არამედ მხოლოდ ისეთ შეხვედრებში მონაწილეობა, სადაც მიმდინარეობს შესაბამისი პირის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანია-აგიტაცია. შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 30 სექტემბრის №765 ბრძანებით მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის №713 ბრძანებაში „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" შეტანილ ცვლილებასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციაში (2013 წლის 30 სექტემბერი) პირდაპირ ჩაიწერა, რომ საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მიერ ორგანიზებული აგიტაციისა და კამპანიის (შეკრების) დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების

უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მოსამსახურე ვალდებულია ეცვას დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი, გარდა ამისა, შსს-ს ყველა მოსამსახურეს ეკრძალება შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე დასწრება, ასევე შეკრების ადგილზე მიახლოება 5 მეტრის მანძილზე, თუ აგიტაცია (შეკრება) იმართება შენობის გარეთ, ეკრძალებათ ასევე შენობებში შესვლა, სადაც იმართება ასეთი შეკრება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

განცხადებაში მითითებულ ბმულზე განთავსებული ინფორმაციიდან გამოირკვა, რომ სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელები - მირიან ქარდავა და დიმა ბარამია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი - გიორგი მამფორია, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეები - თენგიზ ქობალია, დავით კვაშილავა და დავით ჭანტურია დაფიქსირებულები არიან 2013 წლის 9 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელებს - მირიან ქარდავას და დიმა ბარამიას არ ეცვათ დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი, რაც აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მსგავს შეხვედრებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შსს-ს თანამშრომლის დასასწრებად. სხვა სახის ინფორმაციას საქმეში არსებული ფოტომასალები არ იძლევა, თუმცა სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელების - მირიან ქარდავასა და დიმა ბარამიას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის - გიორგი მამფორიას ქმედება შეიცავდა წინსაარჩევნო აგიტაციის ნიშნებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევით და წარმოადგენს უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების, ასევე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს შიდა რეგულაციების საწინააღმდეგო ქმედებებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

ამდენად, ცესკომ მიიჩნია, რომ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება და თანდართული მასალები სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელების - მირიან ქარდავასა და დიმა ბარამიას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის - გიორგი მამფორიას წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მიზნით, გადაეგზავნოს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - სამეგრელოს სამხარეო მთავარი სამმართველოს პოლიციელების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის მიერ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მინისტრის ბრძანების მოთხოვნათა და უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების დარღვევით დასწრების ფაქტის მოკვლევის ნაწილში.

რაც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეებს - თენგიზ ქობალიას, დავით კვაშილავასა და დავით ჭანტურიას, ვინაიდან განცხადების თანახმად, 2013 წლის 9 ოქტომბერს ზუგდიდში გამართული აქცია მიმდინარეობდა სამუშაო საათებში და მას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეები მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისათვის, გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო შეხვედრის დასწრების ფაქტის შესასწავლად.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 2013 წლის 12 ოქტომბრის განცხადება და თანდართული მასალები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მიზნით გადაეგზავნა №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2013 წლის 21 ოქტომბერს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეუდგინა მირიან ქარდავას და დიმიტრი ბარამიას.

2013 წლის 21 ოქტომბერს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და თანდართული მასალები გადაუგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განსახილველად.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ არ დააჯარიმა მირიან ქარდავა და დიმიტრი ბარამია.

9. <u>პ/გ ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 15 ოქტომბრის განცხადება გურჯაანში სააგიტაციო მასალის კანონის დარღვევით განთავსების შესახებ</u>

2013 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” განცხადება (რეგისტ.1/2465). განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში საგიტაციო მასალა განთავსებული იყო საქართველოს ორგანული კანონის ”საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მოთხოვნათა დარღვევით.

ცესკოს გადაწყვეტილებით განცხადება და თანდართული მასალები საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №12 მუკუზანის საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, რომელიც განთავსებული იყო სოფელ მუკუზანის საჯარო სკოლის შენობაში, კომისიის სათანადო აბრის ქვეშ გამოკრული იყო პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ამსახველი სააგიტაციო მასალა – პლაკატი. აღნიშნული ფაქტის მტკიცებულებად კომისიაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო აღნიშნული გარემოება.

განმცხადებლის აზრით დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რისთვისაც გათვალისწინებული იყო ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ასევე განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა არ მიიღეს სათანადო ზომა უკანონო ქმედების აღკვეთის მიზნით.

საჩივარში მოყვანილი ფაქტების გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაეცნო №12 მუკუზანის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მადლენა ბაწელაშვილის და წევრების – მზევინარ ხეჩოშვილის, მაია ილაშვილის, ელდერ იაკოფიშვილს, ხათუნა მელექსიშვილის, მზია ჯანაშვილის, ნანა ბერიაშვილის, ზვიად სოლოღაშვილის, ნინო ჯოხაძის, ქეთევან ბერიაშვილისა და ნანა გრძელიშვილის, აგრეთვე მოწმის – ალექსანდრე ჭაჭუკაშვილის წერილობით ახსნა-განმარტებებს, რის შედეგადაც, გამოირკვა, რომ მ\წლის 15 ოქტომბერს №12 მუკუზანის საუბნო საარჩევნო კომისიის აბრის ქვეშ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის სარეკლამო პლაკატი ნამდვილად იყო გაკრული. მისი განთავსება მოხდა დაახლოებით 11სთ. 30წთ-დან 12სთ.30წთ-მდე დროის შუალედში. აღნიშნულის

შესახებ კომისიის თავმჯდომარეს დროულად, დაახლოებით 12სთ.30წთ-დან 13 სთ-მდე დროის მონაკვეთში, მიაწოდა ინფორმაცია მოქალაქე ალექსანდრე ჭაჭუკაშვილმა, რომელიც მისივე ახსნა-განმარტების თანახმად, ამ დროს სკოლაში იმყოფებოდა შვილის წასაყვანად. კომისიის თავმჯდომარემ მადლენა ბაწელაშვილმა კომისიის ერთ-ერთ წევრთან მაია ილაშვილთან ერთად დაუყოვნებლივ ჩამოხსნა პლაკატი, რაც დადასტურდა მათი და ალექსანდრე ჭაჭუკაშვილის წერილობითი ახსნა-განმარტებებით. კომისიის წევრთა უმრავლესობის ახსნა-განმარტებების თანახმად კი, ისინი 15 ოქტომბერს იმყოფებოდნენ შენობაში, დაახლოებით 12 საათისთვის ხელს აწერდნენ ეთიკის კოდექსს, თუმცა მათ პლაკატი საერთოდ არ უნახავთ და მისი არსებობის შესახებ შეიტყვეს კომისიის თავმჯდომარისა და სხვა წევრებისგან.

№12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

10. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" მიერ საჯარო მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ

2013 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (რეგისტ.№1/2652), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერ წინასაარჩევნო სააგიტაციო შეხვედრაზე, შიდა ქართლის სხვადასხვა მუნიციპალილეტეტების სოფლებიდან ქ. გორში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" მიერ დაქირავებული ავტობუსებით და მიკროავტობუსებით უფასოდ გადაადგილდებოდნენ ამომრჩევლები, რაც კანონმდებლობით თავსებადია ამომრჩევლის მოსყიდვასთან. აღნიშნულის დასადასტურებლად მოყვანილი იყო შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის მიერ ინტერნეტ სივრცეში საჯაროდ გავრცელებული ბმული: http://qartli.ge/web/15041 და ასევე განცხადებას ერთვოდა CD დისკი, რომელზეც ჩაწერილი იყო ბმულზე განთავსებული ვიდეო მასალა.

განცმხადებელი აღნიშნავდა, რომ წარმოდგენილი ვიდეო მასალით ასევე დასტურდება შიდა ქართლის რეგიონის საჯარო სამსახურებში დასაქმებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო პერიოდში წინასაარჩევნო აგიტაციაში აკრძალული მონაწილეობა, ვინაიდან შეხვედრა გაიმართა 15:00 საათზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებული იყო, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების

ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში განცხადებებში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

განცხადებაში მითითებული ბმულისა და თანდართული ვიდეო მასალის შესწავლის შედეგად, საჯარო მოხელეების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ნაწილში დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ერთ-ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ, რომელიც განცხადებაში არ არის ნახსენები და შესაბამისად არ არის ცნობილი მისი სახელი და გვარი, წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ვინაობის დადგენის, მის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით შესაძლო მონაწილეობის საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისათვის, განცხადება გადაუგზავნა №30 კასპის, №32 გორის, №33 ქარელისა და №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს.

11. პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება სიღნაღში მომხდარი ფაქტის შესახებ

2013 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განცხადება(რეგისტრაციის №1/2655).

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 13 ოქტომბერს ქ. სიღნაღში გამართულ ქართული ღვინის ფესტივალზე, რომლის ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილი ჰქონდა მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერ წინასაარჩევნო აგიტაციას. კერძოდ, განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული საჯარო ღონისძიება წარიმართა გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო-სააგიტაციო ამსახველი პლაკატებით, მასზე საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის - „41" და საარჩევნო მოწოდების (ე.წ. „სლოგანის") მითითებით.

განმცხადებელი მიუთითებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტზე და მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რაც აღნიშნული ნორმის შესაბამისად ითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად. აქედან გამომდინარე, ითხოვდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების დაჯარიმებას ამავე კოდექსის 88-ე მუხლის დარღვევისათვის. გარდა ამისა, განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ამსახველი საარჩევნო-სააგიტაციო პლაკატის გასაკრავად თანდართულ ფოტომასალაში ასახული შენობა-ნაგებობის ფასადი არ წარმოადგენდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ იმ ადგილს, სადაც დასაშვებია სააგიტაციო მასალის განთავსება. შესაბამისად, სააგიტაციო მასალის აკრძალულ ადგილებში საჯარო განთავსება, მისი აზრით, წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჰ[1]" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ და კანონის საწინააღმდეგოდ განხორციელებულ წინასაარჩევნო აგიტაციას, რის გამოც ითხოვს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის დაჯარიმებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად.

ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 88-ე მუხლის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციიდან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ოფიციალური ვებ-გვერდიდან (www.signagi.com.ge) ირკვევა, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს ქ. სიღნაღში გაიმართა ქართული ღვინის VI ფესტივალი, რომლის ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა. ამ დღეს ქალაქმა უამრავ სტუმარს უმასპინძლა, მათ შორის საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს. აღნიშნული დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრები ახდენენ ღვინის დეგუსტაციას, შემოდგომის მოსავლის, კახური და მეგრული სამზარეულოს დაგემოვნებას. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და მის მიერ მითითებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ აღნიშნულ ღონისძიებას არ დაესწრო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, მის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელებას, კერძოდ, საჯარო მოწოდებების გაკეთებას ადგილი არ ჰქონდა არც აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორის - სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ და არც საქართველოს პარლამენტის წევრებისა თუ სხვა ჩამოსული სტუმრების მიერ. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა საჯარო-სახალხო დღესასწაულს, რომელიც სიღნაღში უკვე მეექვსე წელია იმართება და ტრადიციულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს ასევე არ გამართულა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრა მოსახლეობასთან, განსხვავებით 2013 წლის 10 ოქტომბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით გამართული ღონისძიებისა - „ლენტეხობა-2013“, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო დამსწრე საზოგადოებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მასალებით არ დადგინდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხრიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა, რაც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად, შესაბამისად, არ არსებობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მიმართ ამავე კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში. ამავე კოდექსის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. ამ

მუხლის შესაბამისად სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისათვის სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით, რომლის თანახმადაც სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა პოლიტიკური გაერთიანების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება სიღნაღის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მიმართ ამავე კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლობის გამო და გადაუგზავნა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება თანდართული მასალებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის სააგიტაციო მასალის განთავსების საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

12. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება მცხეთაში მომხდარი ფაქტის შესახებ

2013 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება(რეგისტ. №1/2654), რასაც თან ერთვოდა ფოტოსურათები და „CD" დისკი.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრისში მცხოვრები ალექსანდრე ლოხიშვილი ახორციელებდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ამსახველი საარჩევნო სააგიტაციო პლაკატების საჯაროდ ჩამოხევას, დაზიანებას, განადგურებას. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ალექსანდრე ლოხიშვილმა დავალება მიიღო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ქსოვრისის რწმუნებულის თემურ მოდებაძისა და მისი თანაშემწის დავით გულიაშვილსაგან. განმცხადებელი აღნიშნულ ქმედებას აგიტაციად მიიჩნევდა და მიუთითებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლზე, შესაბამისად ითხოვდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყებას, სამართალდამრღვევ პირთა გამოვლენას და შესაბამისი სახდელის დაკისრებას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ამ კანონის 79-ე, 81-ე და 86-ე–92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები)”, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ,,უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.”

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ნებისმიერი სახის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კოდექსის დარვევით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” ადგენს სხვა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს და ამ ნორმების დარღვევებისათვის ითვალისწინებს კონკრეტულ სანქციას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ამსახველი საარჩევნო სააგიტაციო პლაკატების საჯაროდ ჩამოხევა, რაც არ იძლეოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლის შემადგენლობას და არ შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია, რადგან ზემოაღნიშნულ ქმედებას მოიცავდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მე-80 მუხლის დეფინიცია. საარჩევნო პლაკატების გავრცელებაში ხელის შეშლა თუ ეს ხელის შეშლა, როგორც მოცემულ შემთხვევაში გამოხატული იყო მის უკანონო ჩამოხევაში, რომც მიჩნეულიყო წინასაარჩევნო აგიტაციად და მასზე გავრცელებულიყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლი ასეთ შემთხვევაში აზრს მოკლებული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-80 მუხლის და 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნორმების არსებობა კოდექსში.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 46-ე მუხლის მე-7^1 პუნქტის თანახმად „დაუშვებელია და ამ კანონით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.” მითითებული სამართლის ნორმის დარღვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონის დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებად, რადგან ამ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა დაცვით განთავსებული სააგიტაციო მასალის გავრცელების ხელის შეშლა, რაც გამოიხატება ამ მასალის ჩამოხსნის, ჩამოხევის ან დაზიანების აკრძალვაში, და მითითებული მუხლის დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც წინასაარჩევნო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლა უკანონოდ ჩამოხეული პლაკატების ნაწილში.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაუგზავნა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსოვრისში მცხოვრები ალექსანდრე ლოხიშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ამსახველი საარჩევნო სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევა, დაზიანება, განადგურების საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

13. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” 2013 წლის 21 ოქტომბრის №1216/01 განცხადება დმანისის მუნიციპალიტეტში საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და ჩამოხევის ფაქტის შესახებ

მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” განცხადება (რეგისტ. №1/2653), რომელშიც საუბარი იყო დმანისში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაზე. კერძოდ: განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და იმავდროულად პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს” დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ - ფირუზ ციხელაშვილმა, სოფელ ტნუსის მისასვლელ გზასთან არსებულ გაჩერებაზე ჩამოხია დავით ბაქრაძის პლაკატები, რითაც განმცხადებლის აზრით, აშკარად და დაუფარავად გამოხატა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის უპატივცემულობა და უხეშად დაარღვია საარჩევნო კოდექსის ნორმები, რასთან დაკავშირებითაც წარმოადგინა შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი ვიდეომასალა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ფირუზ ციხელაშვილი არ დასჯერდა ზემოაღნიშნულ ქმდებას და იმავე დღეს პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” დმანისის რაიონულ ორგანიზაციაში მივიდა ნასვამ მდგომარეობაში, იქ მყოფ პარტიის წევრებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაამტვრია პარტიის ოფისის მინები, რაზეც მიმდინარეობდა გამოძიება დმანისის პოლიციის სამმართველოში.

განმცხადებელი ითხოვდა, რომ საარჩევნო პლაკატების ჩამოხევისა და დაზიანების ფაქტის გამო ფირუზ ციხელაშვილს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-80 მუხლის საფუძველზე, დაკისრებოდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, რადგან იგი საჯარო მოხელე იყო და მისი ამგვარი ქმედებით დაირღვა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის კანონიერი უფლება. განმცხადებელი ფირუზ ციხელაშვილის ქმედებას განიხილავდა ასევე, როგორც წინასაარჩევნო აგიტაციას - საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის დარღვევას და დამატებით მოითხოვდა პასუხისმგებლობის დაკისრებას ამ მუხლის საფუძველზეც. განმცხადებელს მიაჩნდა, რომ ზემოთ აღნიშნული ქმედებები ზღუდავდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტუნარიან საარჩევნო აგიტაციის წარმართვაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „ჰ[1]” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებული იყო, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავდა წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან, როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება, ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში, ფირუზ ციხელაშვილის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 46-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე. იმავე მუხლის 7^1 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.

განცხადებაზე დართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განცხადებაში მითითებული პირი ნამდვილად აზიანებდა პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატებს.

რაც შეეხება განმცხადებლის მოსაზრებას, რომ ფირუზ ციხელაშვილს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა საარჩევნო კოდექსის 79-ე და მე-80 მუხლების საფუძველზე, წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობისა და სააგიტაციო მასალის გავრცელებისა და მიწოდებისათვის ხელის შეშლის გამო, სახეზე არ გვქონდა წინასაარჩევნო აგიტაციის ფაქტი. საარჩევნო პლაკატების დაზიანება არ ქმნის წინასაარჩევნო აგიტაციის შემადგენლობას, რადგან ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ ადგილი აქვს სააგიტაციო მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს

ცესკო/საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირები, ხოლო 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სააგიტაციო მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლის გამო, რაც გამოიხატება მათ უკანონოდ ჩამოხევასა და დაზიანებაში, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი უნდა შედგეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

ვინაიდან წარმოდგენილი მასალის შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ განცხადებაში აღნიშნულმა პირმა ნამდვილად ჩაიდინა საარჩევნო კოდექსის მე-80 და 93-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება და თანდართული მასალები, დმანისის საკრებულოს წევრისა და იმავდროულად პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის - ფირუზ ციხელაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და ჩამოხევის ფაქტის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.\

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაუგზავნა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 21 ოქტომბრის განცხადება და თანდართული მასალები, დმანისის საკრებულოს წევრისა და იმავდროულად პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის - ფირუზ ციხელაშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და ჩამოხევის ფაქტის შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

14. №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ზვიად კოლხიდაშვილის 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადების შესახებ

2013 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ზვიად კოლხიდაშვილის განცხადება (რეგისტ. №1/2746).

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარდნენ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია" დამკვირვებლები ნინო ხუციშვილი, რომელიც გამგებლის მოადგილედ მუშაობდა და ზურაბ ოტიაშვილი, რომელიც საკრებულოს წევრი იყო. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მაია ველთაურმა ზემოაღნიშნული სადამკვირვებლო ორგანიზაცია რეგისტრაციაში გაატარა კომისიის სახელით ისე, რომ კენჭისყრა არ ჩატარებულა, ასევე შეცვალა ორგანიზაციის დამკვირვებლები ადრე არარეგისტრირებული დამკვირვებლებით. მისი აზრით, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ადგილი აქვს საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტისა და საარჩევნო კოდექსის დარღვევას და ითხოვდა როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მაია ველთაურისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასა და მისი კომისიის წევრობიდან გამოწვევას, ასევე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციისათვის რეგისტრაციის გაუქმებას.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შესწავლის მიზნით, №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილ იქნა განცხადებასთან დაკავშირებული მასალები.

განცხადებისა და გამოთხოვილი მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა/წლის 16 ოქტომბერს №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიას №24 განცხადებით მიმართა ადგილობრივმა

დამკვირვებელმა ორგანიზაციამ „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია” მისი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარების მოთხოვნით. ორგანიზაციამ კომისიას წარუდგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სადამფუძნებლო წესდება. №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 18 ოქტომბრის №49/2013 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის დუშეთის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია”.

ზემოაღნიშნული დამკვირვებელი ორგანიზაციის პრეზიდენტის რეზიკო ოთარაშვილის მიმდინარე წლის 17 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე, №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის 2013 წლის 18 ოქტომბრის №6/2013 განკარგულებით (მუხლი 1.) ამავე კომისიაში დამკვირვებლებად რეგისტრაციაში გატარდნენ ზურაბ ოტიაშვილი და ნინო ხუციშვილი. როგორც შემდგომ გაირკვა, საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულთაგან ზურაბ ოტიაშვილი საკრებულოს წევრი იყო, ხოლო ნინო ხუციშვილი - გამგებლის მოადგილე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრისა და დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა. აღნიშნული ნორმის საფუძველზე №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის 2013 წლის 20 ოქტომბრის №7/2013 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე კომისიის მდივნის 2013 წლის 18 ოქტომბრის №6/2013 განკარგულების პირველი მუხლი ზურაბ ოტიაშვილისა და ნინო ხუციშვილის №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ინვალიდთა დახმარების ასოციაცია” დამკვირვებლებად რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 78-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრის ან საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო (ამ კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას) სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი ან ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, ხოლო ამავე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვთ: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ამ საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე რეგისტრირებულ ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, ასევე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ საჩივრის წარმდგენიც ცესკოში უნდა იყვნენ ამავე საარჩევნო დავებზე იგივე პირები, რომელთაც უფლება აქვთ შემდგომ მიმართონ სარჩელით სასამართლოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა

სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში/სასამართლოში შეტანილი განცხადება/სარჩელი/საჩივარი განუხილველი რჩება.

ცესკოს 2012 წლის 25 ივლისის №93/2012 განკარგულებით №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა მაია ველთაური, ხოლო განმცხადებელი დანიშნულია №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად კონსერვატიული პარტიიდან. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ზვიად კოლხიდაშვილი არაა უფლებამოსილი, მიმართოს ზემოაღნიშნულ საარჩევნო დავებზე (საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმება) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განუხილველი დატოვა №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ზვიად კოლხიდაშვილის 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი ცესკოში შეტანის გამო.

15. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა და დაფარვის ფაქტის შესახებ

2013 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება (რეგისტ. №1/2765), რომელშიც საუბარი იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაზე. კერძოდ: განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების ფარგლებში მინდინარე საარჩევნო კამპანიისას, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში ადგილი ჰქონდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის სააგიტაციო მასალების ჩამოხევა, განადგურება, დაზიანება, გადაღებვა, დაფარვას, რომლის უზრუნველყოფასაც, განმცხადებლის მოსაზრებით, ორგანიზებულად და ჯგუფურად ახორციელებენ პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტები: მალხაზ ნადირაშვილი, მიხეილ ქართლელიშვილი და გიორგი ბაწაშვილი. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებაში მითითებული იყო, რომ ხსენებული ფაქტები ხდება საჯაროდ, დღის საათებში და პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის ამსახველი სააგიტაციო მასალების ჩამოხევა-განდგურების პარალელურად იმავე პირების მიერ ხორციელდება პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო პლაკატების გაკვრა. განმცხადებელი თავის მოსაზებას ამყარებს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, რომელიც თან ერთვის საჩივარს. განმცხადებლის მოსაზრებით, ვინაიდან სუბიექტის საწინააღმდეგო მოქმედება განიხილება აგიტაციად, ხსენებულს უპირისპირდება საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილე პირთა დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით. განმცხადებელს მიაჩნდა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ზღუდავს პარტიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებას და წარმოდგენილი მასალები საკმარისი საფუძველი იყო, რათა ზემოთ ხსენებულ პირებს საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

განცხადებაზე დართული ფოტომასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ერთ-ერთი პირი ნამდვილად აზიანებდა პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატს, დანარჩენი პირების მიერ პლაკატების დაზიანების, გადაღებვის ან/და გადაფარვის ფაქტი

ფოტომასალიდან არ გამოიკვეთა. ამავე დროს, ფოტომასალა არ იძლეოდა განცხადებაში მითითებული პირების იდენტიფიცირების საშუალებას. რაც შეეხება განმცხადებლის მოსაზრებას, რომ მითითებულ პირებს - პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტებს: მალხაზ ნადირაშვილს, მიხეილ ქართლელიშვილსა და გიორგი ბაწაშვილს დაეკისროთ პასუხისმგებლობა საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის საფუძველზე, წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის მოთხოვნათა დარღვევით მონაწილეობისა და სააგიტაციო მასალის დაზიანების გამო, სახეზე არ იყო წინასაარჩევნო აგიტაციის ფაქტი. საარჩევნო პლაკატების დაზიანება არ ქმნიდა წინასაარჩევნო აგიტაციის შემადგენლობას, რადგან ამ ქმედებისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ ადგილი აქვს სააგიტაციო მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს ცესკო/საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირები, ხოლო 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სააგიტაციო მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლის გამო, რაც გამოიხატება მათ უკანონოდ ჩამოხევასა და დაზიანებაში, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი უნდა შედგეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაუგზავნა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება და თანდართული მასალები, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში პრეზიდენტობის კანდიდატის - დავით ბაქრაძის საარჩევნო პლაკატების დაზიანებისა/ჩამოხევის ფაქტის შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

16. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება ჩოხატაურში მომხდარი ფაქტის შესახებ

2013 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განცხადება (რეგისტ. №1/2766).

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლესუბანში ადგილი ჰქონდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის სააგიტაციო მასალების ჩამოხევას, განადგურებას, დაზიანებას, გადაღებვას, დაფარვას, რომლის უზრუნველყოფას ორგანიზებულად და ჯგუფურად ახორციელებენ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტები, რომელთაგან განმცხადებლისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ნოდარ სიხარულიძე. განმცხადებლის აზრით, ადგილი ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-7^1 პუნქტის დარღვევას, აღნიშნულ ქმედებას იგი მიიჩნევდა საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „$ჰ^1$" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ და კანონის საწინააღმდეგოდ განხორციელებულ წინასაარჩევნო აგიტაციად და მიუთითებდა ამავე კოდექსის 79-ე მუხლზე, შესაბამისად, ითხოვდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყებას სამართალდამრღვევ პირთა გამოვლენისა და შესაბამისი სახდელის დაკისრების მიზნით, ასევე მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსა" და მათ მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილისა და მასთან ერთად აკრძალული ქმედების უშუალოდ განმახორციელებელი პირების დაჯარიმებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ნებისმიერი სახის წინასაარჩევნო

აგიტაციაში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კოდექსის დარღვევით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ადგენს სხვა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებს და ამ ნორმების დარღვევებისათვის ითვალისწინებს კონკრეტულ სანქციას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ამსახველი სააგიტაციო პლაკატების დაფარვა, რაც არ იძლეოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლის შემადგენლობას და არ შეიძლება გამოყენებული იქნას ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია, რადგან ზემოაღნიშნულ ქმედებას მოიცავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-80 მუხლის დეფინიცია. საარჩევნო პლაკატების გავრცელებაში ხელის შეშლა, თუ ეს ხელის შეშლა, როგორც მოცემულ შემთხვევაში, გამოხატული იყო მის უკანონო დაფარვაში, რომც მივიჩნიოთ წინასაარჩევნო აგიტაციად და მასზე გავრცელდეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლი, ასეთ შემთხვევაში აზრს კარგავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლისა და 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნორმების არსებობა კოდექსში.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-7[1] პუნქტის თანახმად „დაუშვებელია და ამ კანონით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული". მითითებული სამართლის ნორმის დარღვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონის დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებად, რადგან ამ მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა დაცვით განთავსებული სააგიტაციო მასალის გავრცელების ხელის შეშლა, რაც გამოიხატება ამ მასალის ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების აკრძალვაში, და მითითებული მუხლის დარღვევა კვალიფიცირდება, როგორც წინასაარჩევნო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლა უკანონოდ დაფარული პლაკატების ნაწილში.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ამ კანონის 79-ე, 81-ე და 86-ე–92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები)", ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ,,უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები".

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაუგზავნა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება თანდართულ ფოტომასალებთან ერთად ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტების მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის ამსახველი სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევის, განადგურების, დაზიანების, გადაღებვის, დაფარვის საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

17. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 24 ოქტომბრის განცხადება ქ. რუსთავში სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ

2013 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (რეგისტ. №1/2810), სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიისას ქ. რუსთავში ადგილი ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი” დარღვევას. კერძოდ, პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ამსახველი სააგიტაციო მასალები გაკრულია იყო გარე განათების ბოძებზე, აღნიშნული ბოძები კანონმდებლობის მიხედვით არაა გათვალისწინებული სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის. სააგიტაციო მასალის გაკვრა მოხდა ლიანა ჯაბახაძისა და 2 მოქალაქის მიერ, რომლებმაც არ დაასახელეს თავიანთი ვინაობა. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” აქტივისტი იღებდა ოცნების კოორდინატორი ქალბატონების მიერ კანონით აკრძალულ ადგილას პლაკატების გაკვრის პროცესს, როდესაც პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” ოფისიდან მოსულმა 8 აქტივისტმა წინააღმდეგობა გაუწია ოპერატორს, ხოლო ზაზა ჯაიანმა ხელები გადაუგრიხა, კამერა წაართვა და მასზე ასახული ინფორმაცია წაშალა. მათი განცხადებით, კამერა წაართვეს იმის გამო, რომ იცოდნენ, თუ რას იღებდა ოპერატორი.

განცხადებას თან ერთვის CD დისკი, რომელზეც განთავსებულია ბოძებზე გაკრული სააგიტაციო მასალის ამსახველი ვიდეო მასალა და „საარჩევნოდ სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ” თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 29 ივნისის №669 განკარგულება.

განცხადებელი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლით გათვალისწინებულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებას ამავე კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ითვალისწინებს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-93-ე მუხლები განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებს და შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს. ამავე კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება. საქართველოს ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლი იძლევა ტერმინთა განმარტებებს, რომლის მიხედვითაც, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას და ა.შ., ხოლო სააგიტაციო მასალაში მოიაზრება პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. ამ მუხლის შესაბამისად, სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისათვის სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 24 ოქტომბრის განცხადება (რეგისტ. №1/2810) შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაუგზავნა თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს.

18. პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება დავით საგანელიძის ბრიფინგის შესახებ

2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის განცხადება (რეგისტ.№ 1/2879), სადაც აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს 10:14 საათზე სატელევიზიო არხზე გავიდა პ/გ „ქართული ოცნების" ცენტრალური საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის საინფორმაციო ბრიფინგი, სადაც დაფიქსირდა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის სააგიტაციო მასალა (ბილბორდი და ნომერი). განმცხადებელი განმარტავდა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კენჭისყრის დღეს იკრძალება აგიტაცია და ითხოვდა, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლოს საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, „კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია" ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, „კენჭისყრის დღეს აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში".

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს 10:00 საათზე გაიმართა დავით საგანელიძის ბრიფინგი, რომელიც გაშუქდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია ზემოაღნიშნული სამართლის ნორმების დარღვევას, რადგან პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ ბრიფინგის გამართვა და საინფორმაციო საშუალებების მიერ მისი გაშუქება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს, არც წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის ტელევიზიით გავრცელებას და არც კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში გამართულ წინასაარჩევნო აგიტაციას.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის განცხადება დავით საგანელიძის მიმართ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემდგომი რეაგირების ნაწილში არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

19. პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება პრემიერ-მინისტრის მიერ ინტერვიუში თავისი არჩევანის ღიად დააფიქსირების შესახებ

2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს” პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის განცხადება (რეგისტრაც: № 1/2881), სადაც აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს 11:13 საათზე სატელევიზიო არხზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მოხდა საარჩევნო უბანზე, საკუთარი არჩევანის ღიად დაფიქსირება და გასაჯაროება. აგრეთვე რამოდენიმე წუთში მან ინტერვიუში ღიად დააფიქსირა თავისი არჩევანი, რაც განმცხადებლის აზრით ითვლება აგიტაციად. განმცხადებელი განმარტავდა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კენჭისყრის დღეს იკრძალება აგიტაცია და ითხოვს, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეისწავლოს საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „ჰ[1]” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა გულისხმობს, როგორც საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, აგრეთვე კანონმდებელი მასში მოიაზრებს ისეთ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს. ამდენად, წინასაარჩევნო აგიტაციის შემადგენლობას არ იძლევა ისეთი ქმედება, რომელსაც თან არ ახლავს მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, რომელიც მიმართულია საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს 11:13 საათზე სატელევიზიო არხეზე გავიდა სიუჟეტი, საიდანაც ჩანდა, რომ საარჩევნო კაბინიდან გამოსული საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო ბიულეტენით ხელში საარჩევნო უბანში მყოფ პირებს გაესაუბრა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს კენჭისყრის შენობაში არ გაუსაჯაროებია საკუთარი არჩევანი, შესაბამისად არ გამხდარა ცნობილი თუ საქართველოს პრეზიდენტობის რომელი კანდიდატის რიგითი ნომერი შემოხაზა.

შესაბამისად საქართველოს პრემირ-მინისტრის ქმედება არ წარმოადგენდა კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღეს აკრძალულ წინასაარჩევნო აგიტაციას და ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ინტერვიუში ღიად დააფიქსირა თავისი არჩევანი, აღნიშნული ინტერვიუ ჩაიწერა კენჭისყრის შენობის გარეთ, რაც არ წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” დადგენილი მოთხოვნების დარღვევას, რადგან საქართველოს

პრემიერ-მინისტრს როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს კენჭისყრის დღეს, მხოლოდ კენჭისყრის შენობაში ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაცია, სხვა შემთხვევაში იგი უფლებამოსილია წინასაარჩევნო აგიტაციაში მიიღოს მონაწილეობა. ასევე მისი აღნიშნული ქმედება პირდაპირ ეთერში არ წარმოადგენს კანონდარღვევას, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 51-ე მუხლის 16-ე პუნქტის თანახმად, კენჭისყრის დღეს აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლის ირაკლი ჭყოიძის განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემდგომი რეაგირების ნაწილში არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

20. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 26 ოქტომბრის განცხადება №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, საუბნო საარჩევნო კომისიის აბრის გვერდით, აღმართულ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დროშების შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს (რეგისტრაციის №1/2875) შემოვიდა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განცხადება თანდართული ფოტომასალებით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, საუბნო საარჩევნო კომისიის აბრის გვერდით, აღმართულია მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დროშები. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული შენობა-ნაგებობა იმავდროულად წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ნანიანის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც ამავე თვითმმართველობის საკუთრებაშია.

ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაზე სააგიტაციო მასალების განთავსებასა და ხსენებული მოქმედების აღკვეთისათვის ხელმძღვანელი საჯარო მოხელის მხრიდან უმოქმედობას განმცხადებელი მიიჩნევს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ და კანონის საწინააღმდეგოდ განხორციელებულ წინასაარჩევნო აგიტაციად და მიუთითებს ამავე კოდექსის 79-ე და 88-ე მუხლებზე, შესაბამისად, ითხოვს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ნანიანის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის დაჯარიმებას საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის დარღვევისათვის, ხოლო №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-სა და მათ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის, ასევე მათთან ერთად საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი აკრძალული ქმედების უშუალოდ განმახორციელებელი სხვა პირების დაჯარიმებას საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[7]" პუნქტი იძლევა ტერმინის „სააგიტაციო მასალა" განმარტებას, რომლის თანახმადაც, სააგიტაციო მასალა არის პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი. ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულია სააგიტაციო მასალის

განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

განცხადებაზე თანდართული ფოტოსურათებიდან დგინდება, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ნანიანის ტერიტორიულ ორგანოს, საუბნო საარჩევნო კომისიის აბრის გვერდით, განთავსებულია სააგიტაციო მასალა, კერძოდ, პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" დროშები, რაც 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტით წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

ამავე კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც ამ მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას. საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლით წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შესწავლის, აგრეთვე ზემოაღნიშნული ნორმების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ნანიანის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის მხრიდან ადგილი აქვს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას, ანუ ისეთ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის არჩევას, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის აღნიშნული ქმედება იძლევა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 88-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის საფუძველს.

რაც შეეხება №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-სა და მათ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის, ასევე მათთან ერთად საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი აკრძალული ქმედების უშუალოდ განმახორციელებელი სხვა პირების საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის დაჯარიმების საკითხს, საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად არ დგინდება აღნიშნული პირების მხრიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაუგზავნა №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 26 ოქტომბრის განცხადება თანდართული მასალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ნანიანის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მიზნით და ასევე პოლიტიკური გაერთიანების ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 26 ოქტომბრის განცხადება №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №40 ნანიანის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-სა და მათ მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის, ასევე მათთან ერთად საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი აკრძალული ქმედების უშუალოდ განმახორციელებელი სხვა პირების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის შესახებ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

2013 წლის 2 ნოემბერს №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სოფ. ნანიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ბესიკ ზირაქაშვილის მიმართ. სამართალდარღვევის ოქმი და საქმის მასალები გადაეგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ არ დააჯარიმა სოფ. ნანიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბესიკ ზირაქაშვილი.

21. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 2013 წლის 26 ოქტომბრის №1322/01 განცხადება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსისა და ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (ცესკოში რეგისტრაციის №1/2876), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერს, საარჩევნო კამპანიის ბოლო კვირაში პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მიერ გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა: წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტმა - გოგა ქუჩულორიამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა - ნუგზარ კალანდიამ და ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა თამაზ ლუკავამ.

განცხადებას ერთვოდა CD დისკი, რომელზეც განთავსებული იყო ზემოთ აღნიშნულ შეხვედრაზე საჯარო მოხელეების ყოფნის ამსახველი ვიდეო მასალა.

განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტმა - გოგა ქუჩულორიამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის

საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსმა - ნუგზარ კალანდიამ და ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა თამაზ ლუკავამ დაარღვიეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტი, რაც წარმოდგენდა წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობას და ამავე კოდექსის 79-ე მუხლით ითვალისწინებდა დაჯარიმებას (2 000 ლარის ოდენობით).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „ჰ[1]” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. განმცხადებლის მიერ განცხადებაში არ არის მითეთებული აღნიშნული შეხვედრის გამართვის თარიღი და დრო.

„საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია, რომელიც იყოფა შემდგე სახეებად: სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივი თვითმმართველობაში. ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის სახეებია: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე და შტატგარეშე მოსამსახურე. მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, ხოლო მე-6 მუხლის შესაბამისად, მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტი - თამაზ ლუკავა არის საჯარო მოსამსახურე და არა საჯარო მოხელე, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტით საჯარო მოხელეთათვის დადგენილი შეზღუდვა.

განცხადებაზე თანდართული ვიდეო მასალის შესწავლის შედეგად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის №403 წერილის მიხედვით დადგინდა, რომ განცხადებაში მითითებული შეხვედრა გაიმართა 2013 წლის 8 ოქტომბერს 13:00-დან 14:00 საათამდე, შესვენების დროს. დამატებით, „გ. ქუჩულორიას შვებულების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 ოქტომბრის №2-711 ბრძანებით ირკვევა, რომ წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის მ/შ - გოგა ქუჩულორია მიმდინარე წლის 01 ოქტომბრიდან 01 ნოემბრამდე იმყოფება შვებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის მ/შ - გოგა ქუჩულორია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსი - ნუგზარ კალანდია, შეხვედრის გამართვის პერიოდში არ ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და შესაბამისად, მათი მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობას ადგილი არ ჰქონია.
საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" წალენჯიხის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის მ/შ-ს - გოგა ქუჩულორიას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალენჯიხის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის უფროსის - ნუგზარ კალანდიასა და ა.ა.ი.პ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტის თამაზ ლუკავას მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

22. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 28 ოქტომბრის განცხადება გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლების შეყვანის შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს შემოვიდა (რეგისტ. №1/2902) პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განცხადება.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლების შეყვანის შესახებ" №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარგულებით, საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შემავალ 21 საარჩევნო უბანზე - №1; №17; №22; №23; №29; №30; №31; №35; №36; №37; №38; №39; №40; №41; №46; №47; №48; №49; №50; №51; №51 - შეუსაბამოდ გაიზარდა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩევლები. განმცხადებლის აზრით, საოლქო საარჩევნო კომისიის ზემოხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებას საფუძვლად დაედო საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებული ნორმატიული საფუძვლების არასწორი გამოყენება. განცხადების ავტორი მიუთითებს საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის პირველ და მეოთხე პუნქტებზე და მიიჩნია, რომ №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიას 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარგულების მიღებისას არ გამოუკვლევია, რეალურად არსებობდა თუ არა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 33-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები, რეალური ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდნენ თუ არა ხსენებული ნორმებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შემადგენლობას. განმცხადებელს ასევე მიაჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ და მისმა ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა სათანადოდ ვერ განახორციელეს ჯეროვანი სამოხელეო უფლებამოსილება და ითხოვს საკითხის სრულყოფილი განხილვისა და გაანალიზების საფუძველზე კანონმდებლობით მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისათვის თავსებადი სამართლებრივი

შედეგის დადგომას, სადისციპლინო საქმისწარმოების დაწყებას დამრღვევ პირთა გამოვლენისა და შესაბამისი სახდელის დაკისრების მიზნით.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით, №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილ იქნა 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარგულების მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ: ა) ამომრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის ანდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ამომრჩევლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სხდომაზე დამსწრეთა ორი მესამედით.

№58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიირკვა, რომ 2013 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი №13) წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული განცხადებები გადასატანი ყუთის სიაში იმ ამომრჩევლების შეყვანის თაობაზე, რომლებიც თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდნენ საარჩევნო უბანზე მისვლას ხმის მისაცემად. სხდომას ესწრებოდა კომისიის 13-ვე წევრი, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი საარჩევნო უბნებზე 3%-ის ზევით შემოსული განცხადებების გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანის შესახებ და შესაბამისად მიღებულ იქნა განკარგულება „საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლების შეყვანის შესახებ". №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 29 ოქტომბრის №79 წერილიდან ასევე ირკვევა, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის შესახებ საჩივრები არც ერთ უბანზე არ დაწერილა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი ყველა ვადა საარჩევნო პერიოდში, მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით). სიტყვები „მოცემული დღიდან „N" დღეში, გულისხმობს დღეთა ათვლას მითითებული დღის მომდევნო დღიდან. წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის ზემოაღნიშნული განკარგულება მიღებულ იქნა მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს, აღნიშნული განკარგულების საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი გასაჩივრების ერთდღიანი ვადა აითვლება 26 ოქტომბრიდან და დასრულდება 26 ოქტომბერს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ამ მუხლით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" უფლება ჰქონდა №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 25 ოქტომბრის №16 განკარგულება მომდევნო დღეს, 26 ოქტომბერს გაესაჩივრებინა ცესკოში, რაც მის მიერ არ განხორციელებულა, შესაბამისად, ზემოაღნიშნული განკარგულება შესულია კანონიერ ძალაში, ამასთან, საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 25 ოქტომბრის №16 განკარგულება არ ეწინააღმდეგება კანონს და მისი მიღებისას არ დარღვეულა მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, საკითხის სრულყოფილი განხილვისა და გაანალიზების საფუძველზე კანონმდებლობით მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისათვის თავსებადი სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს აღნიშნული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება დამრღვევ პირთა გამოვლენისა და შესაბამისი სახდელის დაკისრების მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-8 მუხლის შესაბამისად კი, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 28 ოქტომბრის განცხადება №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 25 ოქტომბრის №16 განკარგულების კანონიერების შესწავლის ნაწილში განუხილველი დატოვა მისი შემოტანის ვადის დარღვევის გამო და ასევე არ დააკმაყოფილა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2013 წლის 28 ოქტომბრის განცხადება №58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებისა და შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ.

23. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ქ.მარნეულში სააგიტაციო მასალის დემონტაჟის შესახებ

2013 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება(რეგისტ.1/2714). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა გარე განათების ბოძებიდან მის მიერ სააგიტაციო მასალებად მიჩნეული ბანერების დემონრტაჟი. განმცხადებელი ითხოვდა შესაბამის რეაგირებას.

2013 წლის ცესკოს სხდომაზე პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

24. პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება სადამკვირვებლო ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" დამკვირვებლის ქმედების შესახებ

2013 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება (რეგისტ. №1/2913), რომელსაც თან ერთვოდა „CD" დისკი.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობისას №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის საარჩევნო უბანზე სადამკვირვებლო ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" სახელით დაკვირვებას ახორციელებდა ცესკოს მდივნის მიერ გაცემული ადგილობრივი დამკვირვებლის №12696 მოწმობით დამკვირვებლის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ნინო მიდელაშვილი, რომელმაც კენჭისყრის დღეს - 2013 წლის 27 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიაში დაკვირვების განხორციელებისას განაცხადა, რომ ის წარმოადგენდა პ/გ „ქართული ოცნება-

დემოკრატიული საქართველოს” პარტიულ კოორდინატორს, მას კოორდინირებაში ამომრჩევლებთან სააგიტაციოდ გადაცემული ჰქონდა 5 ზონა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა” სახელით დაკვირვების განხორციელება ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსით წარმოადგედა მის შეთავსებით საქმიანობას და ის მხარს უჭერდა პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს”, წარმოადგენდა მის აქტიურ მხარდამჭერს და სურდა მიმდინარე არჩევნებისას ამ პოლიტიკური პარტიის გამარჯვება.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ ხსენებული მოქმედებები მიმდინარეობდა უშუალოდ საუბნო საარჩევნო კომისიაში, კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის პარალელურად და მიიჩნევდა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” თანახმად აღნიშნული ქმედება განიხილება, როგორც წინასაარჩევნო აგიტაცია, რომლითაც დაირღვა ამავე კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობისას №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის პროცესის დასრულებისას, ხმის დათვლისა და შეჯამების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პარალელურად, უშუალოდ კენჭისყრის ოთახში ერთობლივი ორგანიზებული, ჯგუფური ხმამაღალი სიტყვიერი შეძახილებით, მქუხარე ოვაციების - ტაშის კოლექტიური თანხლებით აღნიშნეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებულად გამოვლენა მათ საარჩევნო უბანზე, ხოლო ცინიკური დამოკიდებულება გამოხატეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის თეიმურაზ მჟავიას მიმართ, მათ საარჩევნო უბანზე მიღებული 1 (ერთი) ხმის გამო.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ კომისიის წევრთა ხსენებული ქმედებები წარმოადგენდა აგიტაციას საჯარო ფორმით, რომლითაც დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა” ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

განმცხადებელი ითხოვდა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედით რეაგირებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყებას, აგრეთვე სადამკვირვებლო ორგანიზაცია „მწვანე დედამიწის” სახელით დამკვირვებლის განმახორციელებელი პირის ნინო მიდელაშვილისა და №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაჯარიმებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-2 მუხლის „ჰ[1]” პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა, ხოლო ამავე კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, დამკვირვებელს არ აქვს უფლება აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

განცხადებებზე თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცის „მწვანე დედამიწა” დამკვირვებელი ნინო მიდელაშვილი №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის №66 საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში ინტერვიუს აძლევდა ააიპ „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის” ჟურნალისტს, სადაც აღნიშნავდა, რომ არის პ/გ „ქართული ოცნების” ზონის კოორდინატორი.

სადამკვირვებლო ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" დამკვირვებელის ნინო მიდელაშვილის ქმედება წარმოადგენდა საჯარო მოქმედებას, რომელის მიზანი იყო 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენა და საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შეწყობა, ამდენად მისი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 92-ე მუხლით, როგორც დამკვირვებლის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

განცხადებებზე თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის №66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა საარჩევნო უბანზე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება ოვაციებით აღნიშნეს. ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო, როგორც წინასაარჩევნო აგიტაცია, რადგან საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ ემოციების გამოხატვა რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, რადგან მას თან არ ახლდა სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 31 ოქტომბერს შეადგინა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ამდენად, №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის №66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს უფლებამოსილება შეუწყდათ 2013 წლის 31 ოქტომბრიდან. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა მათ მიმართ, რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან მომართებაში.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" დამკვირვებლის ნინო მიდელაშვილისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მიზნით გადაუგზავნა №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

№32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" დამკვირვებლის ნინო მიდელაშვილის მიმართ. №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოქმი და თანდართული მასალები გადაუგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" დამკვირვებლი ნინო მიდელაშვილი არ დააჯარიმა.

საქართველოს პარლამენტის წევრის განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის წევრის მალხაზ წერეთელის განცხადება №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესახებ

2013 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა საქართველოს პარლამენტის წევრის მალხაზ წერეთელის განცხადება (ცესკოში რეგისტრაციის №1/1747), სადაც აღნიშნული იყო, რომ №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიაში წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა კანონის მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებას და ხდებოდა მისი იგნორირება. №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ყაველაშვილი და კომისიის წევრი ზურაბ ქოიავა დასაქმებულები იყვნენ სხვა სამსახურში და ეწეოდნენ საჯარო მოხელესთან შეუთავსებელ საქმიანობას, რითიც არღვევდნენ კანონს და დისკრედიტაციას უწევდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობას.

წერილში აგრეთვე მითითებული იყო, რომ №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, ზურაბ ქოიავას 2010 წლის 30 ივლისს საჩხერის რაიონული სასამართლოს განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით 4 წლით გამოსაცდელი ვადით. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2011 წლის 16 თებერვლის №61/2011 განკარგულებით ზურაბ ქოიავა არჩეულ იქნა №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად. წერილის ავტორმა მოითხოვა, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიას შეესწავლა განცხადებაში მითითებული ფაქტები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი ზურაბ ყაველაშვილის ახსნა-განმარტებიდან გამოირკვა, რომ იგი 2009 წლის დეკემბრიდან მუშაობს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, პარალელურად კი მუშაობს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ტექნიკური წყალსადენის ტუმბოს მემანქანედ, სადაც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებს ღამის საათებში და უმეტესად არასამუშაო დღეებში. ახსნა განმარტებაში აგრეთვე ირკვევა, რომ ზურაბ ყაველაშვილის ქმედების კანონთან შეუთავსებლობის შემთხვევაში იგი მზად არის შეწყვიტოს ხელშეკრულება შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატთან.

2013 წლის 23 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით (ცესკოში რეგისტრაციის №1/1838) მიმართა ზურაბ ყაველაშვილმა და მოითხოვა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს განიხილავს და წყვეტს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 5 დღის ვადაში. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ განცხადება 5 დღის ვადაში არ დაკმაყოფილდა, საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება ავტომატურად, ამ ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 24 სექტემბრის №337/2013 განკარგულებით №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ზურაბ ყაველაშვილს ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის განაჩენით ზურაბ ქოიავა ცნობილ იქნა სისხლის სამართლის დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის

2012 წლის 13 სექტემბრის №718/12 გადაწყვეტილებით ზურაბ ქოიავას გაუუქმდა პირობითი მსჯავრი და მოეხსნა ნასამართლეობა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ 2011 წლის 31 იანვარს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით მომართა ზურაბ ქოიავამ. განცხადებაში მიუთითა, რომ აკმაყოფილებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 18-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და მოითხოვა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2011 წლის 16 თებერვალის №64/2011 განკარგულებით ზურაბ ქოიავა არჩეულ იქნა №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი ზურაბ ქოიავას ახსნა-განმარტებიდან გამოირკვა, რომ იგი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს შპს „ჯორჯიან მანგანეზის" ჭიათურის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში მუშად, რაც მისი აზრით არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ ზურაბ ქოიავას სხვა სასჯელთან ერთად სანქციით შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. ზურაბ ქოიავა მიიჩნევს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-20 მუხლის მე-17 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლება აქვს იმუშაოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად და მასზე არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი არცერთი მოთხოვნა.

2011 წლის 16 თებერვალს მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 33-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის შერჩევა ხდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 18-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც ნასამართლევია დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა. ანალოგიურ ნორმებს ითვალისწინებს დღეს მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-20 მუხლის მე-17 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

მოცემული ნორმების შინაარსიდან ცალსახაა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც ნასამართლევია დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" კონკურსში მონაწილე პირებს ავალდებულებს, რომ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინონ სწორი მონაცემები. წარდგენილი მონაცემების სისწორეს კონკურსში მონაწილე პირები ხელმოწერით ადასტურებენ.

2011 წლის 31 იანვარს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ განცხადებაში ზურაბ ქოიავამ არასწორად მიუთითა ის ფაქტი, რომ აკმაყოფილებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 18-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ კი იმ მოთხოვნას, რომ არ იყო ნასამართლევი, რითაც შეცდომაში შეიყვანა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება „თუ გამოვლინდა, რომ არასწორია საკონკურსოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემები - ამ ფაქტის გამოვლენის დღიდან.” საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არასწორია ზურაბ ქოიავას მიერ 2011 წლის 31 იანვარს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ საკონკურსო განცხადებაში მითითებული მონაცემები. კერძოდ, არასწორია ის ფაქტი, რომ ზურაბ ქოიავა კონკურსში მონაწილეობის დროს არ იყო ნასამართლევი. მითითებული სამართლის ნორმის დარღვევა წარმოადგენს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ზურაბ ქოიავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცესკომ დაადგინა, რომ №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ზურაბ ქოიავას 2013 წლის 20 სექტემბრიდან ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება.

<u>სადამკვირვებლო ორგანიზაციების განცხადება/საჩივრების მიხედვით რეაგირება და სამართლებრივი შედეგები</u>

1. <u>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 2 აგვისტოს ქ. გორში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ნესტან კირთაძის ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრის შესახებ</u>

2013 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე 2013 წლის 2 აგვისტოს ქ. გორში შეხვდა ადგილობრივ მეწარმეებს, რომელთაც ქ. ბრიუსელში გამგზავრებასა და ევროპარლამენტის მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრის ორგანიზებას და ევროპელ პარტნიორებთან ბიზნეს გარიგებების გაფორმებას დაპირდა. განცხადებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ევროპაში ქართველი ბიზნესმენების დელეგაციის ვიზიტის შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბერში იმავე შინაარსიის შეხვედრებს ქ. მოსკოვშიც გამართავდა. ქ-ნ ნესტან კირთაძის, როგორც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ქმედება განმცხადებლის აზრით შეიცავდა ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს და ითხოვდა ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში შეესწავლა აღნიშნული საკითხი და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მიზნით, ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფს მიეცა საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ნესტან კირთაძის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ცესკოში ლიანა ბერიანიძის 2013 წლის 12 სექტემბრის წერილობითი პასუხიდან გაირკვა, რომ ა/წლის 02 სექტემბერს ქ-ნი ნესტან კირთაძე შეხვდა ქ. გორში ადგილობრივ მეწარმეებს, სადაც მან არა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, არამედ როგორც ,,საერთაშორისო ევროპული ინსტიტუციის” პრეზიდენტმა გააცნო მათ ევროკავშირის დახმარების გეგმები ქართველი ბიზნესმენებისადმი სოფლის მეურნეობის დარგში, ასევე მოისმინა მეწარმეთა პრობლემები და როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა, აღუთქვა დახმარება მათ ბიზნესის განვითარების სფეროში, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, რომლებთან შესახვედრადაც დაპირდა ბრიუსელში გამგზავრებას. ,,კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე რომ გავხდები და მაშინ მოგეხმარებით კი არა, უკვე მოქმედი პრეზიდენტი, მე თქვენ გთავაზობთ...” ნათქვამია ქ-ნ ნესტან კირთაძის საუბარში,

რაც ასევე მითითებული ჰქონდა ციტირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას განცხადებაში. ამ მიმართვიდან ნათლად ჩანდა, რომ ქ-ნი ნესტანი მეწარმეების დახმარებას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს კი არ უკავშირებდა, არამედ დახმარებას ჰპირდებოდა მათ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის უკვე მოქმედი პრეზიდენტი, რის უფლებასაც მას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაცია და არა მხოლოდ უფლებას ანიჭებს, არამედ ავალდებულებს კიდეც, როგორც ,,საერთაშორისო ევროპული ინსტიტუციის" პრეზიდენტს, დახმარება გაუწიოს მეწარმეებს სხვადასხვა დარგში, დააკავშიროს ევროპელ პარტნიორებთან, რაც ასევე გაწერილია ევროპული ორგანიზაციის წესდებაში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწევა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში. ამდენად, მითითებული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (სანქცია) ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევაზე მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მიმართ იქნა დადგენილი.

საქმის მასალებიდან გამოირკვა, რომ ქ-ნი ნესტან კირთაძე ქ. გორში ადგილობრივ მეწარმეებს შეხვდა 2013 წლის 02 აგვისტოს, ასევე დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატად ნესტან კირთაძე რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 05 სექტემბრის №70/2013 განკარგულებით. ამდენად, ქალბატონი ნესტან კირთაძის მხრიდან ადგილი რომც ჰქონოდა საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აკრძალულ ქმედებებს, მასზე ვერ გავრცელდებოდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია, რადგან 2013 წლის 2 აგვისტოსათვის ქ-ნი ნესტან კირთაძე იყო საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, ხოლო 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით საარჩევნო რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება საარჩევნო სუბიექტს. ამასთან, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის მეორე პუნქტში არ არის მითითება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სანქცია ვრცელდება საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე განხორციელებულ ქმედებებზე, ვერ მოხდება აღნიშნული სანქციის გამოყენება საარჩევნო სუბიექტზე იმ ქმედებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვთ: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტისა და ქალაქ თბილისის მერის არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ სარჩელი ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის, საქართველოს პრეზიდენტობის ან ქალაქ

თბილისის მერობის კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 19 ივლისის №196/2013 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდა და დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა ადილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას. ამდენად, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დამოუკიდებლად შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის სარჩელით საარჩევნო სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცესკომ დაადგინა, რომ არ არსებობდა აუცილებელი საფუძველი იმისათვის, რომ მიემართა სასამართლოსთვის ზემოაღნიშნული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

2. <u>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 4 აგვისტოს გურიის რეგიონში გამართული საქველმოქმედო აქციის შესახებ</u>

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2013 წლის 23 აგვისტოს შემოვიდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართულ ოცნებასთან" ერთად 2013 წლის 4 აგვისტოს გურიის რეგიონში გამართა საქველმოქმედო აქცია, რომლის დროსაც ოზურგეთში მცხოვრები პირებისათვის ეტლებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ბავშვთა საკვების გადაცემა უშუალოდ ,,ქართული ოცნების" ოზურგეთის რაიონული ოფისის წინ განხორციელდა. ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია. განცხადების ავტორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ აგიტაციის გაწევას, რაც პარტიასთან ერთად საქველმოქმედო აქციის ორგანიზებაში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან პარტიის ოფისში მისი მხარდამჭერი განცხადებების გაკეთებით გამოიხატა.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციას ,,საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", მიეცა საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა.

საერთაშორისო ასოციაციის ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარის მაია კვეზერელი-კოპაძის 2013 წლის 10 სექტემბრის №20 წერილიდან გამოირკვა, რომ ასოციაციამ ოზურგეთის სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ა/წლის 11 აპრილს ეტლებზე და მაისის თვეში რძის შემცვლელ პროდუქტებზე მიიღო თხოვნა, ბენეფიციართა სია და თანდართული დოკუმენტები. აღნიშნულ უნარშეზღუდულთაგან (სულ 48 ინვალიდი) ა/წლის 3 აგვისტოს ჩოხატაურსა და ოზურგეთში 12 ინვალიდ ბავშვს გადაეცა ეტლები, ხოლო ,,ჰუმანას" პროდუქციით 6 ბავშვი დაკმაყოფილდა. წერილში საუბარია იმის თაობაზე, რომ გურიაში საოფისე ფართის უქონლობის გამო ეტლებისა და ,,ჰუმანას" პროდუქციის დასაწყობებისა და ფართის მოძიებისათვის საერთაშორისო ასოციაციას დაეხმარა ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია, რომელიც ასოციაციის თავმჯდომარის სტუდენტობის მეგობარია. ამავე წერილიდან გამოირკვა, რომ ბენეფიციარებს ჩოხატაურის რაიონის სოფლებში

სახლებში გადაეცათ ეტლები, ხოლო ოზურგეთში ,,ქართული ოცნების" ოფისში განხორციელდა ბავშვებისათვის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება და ეტლებისა და რძის პროდუქტების გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. ,,საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის №04/07/01 განკარგულება მიღებულ იქნა 2013 წლის 4 ივლისს, რომელიც გამოქვეყნდა ამავე დღეს, ამ დროიდან, ანუ 2013 წლის 4 ივლისიდან, კანონის შესაბამისად, დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია).

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის ,,3[1] " პუნქტი იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციის დეფინიციას, რომლის თანახმადაც წინასაარჩევნო აგიტაციას წარმოადგენს ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

მითითებული ნორმა პირდაპირ და ცალსახად მიუთითებს, რომ წინასაარჩევნო აგიტაცია უნდა გამოიხატებოდეს აქტიურ, საჯარო მოქმედებაში, ანუ ისეთ საჯარო მოქმედებაში, რომელიც ხელს შეუწყობს ან ხელს შეუშლის საარჩევნო სუბიექტის ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის არჩევას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის ,,რ" პუნქტით, ამ კანონის მიზნებისათვის საარჩევნო სუბიექტს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: საარჩევნო სუბიექტი არის შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოს 2012 წლის 2 აგვისტოს №11/2012 განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" და მისი წარმომადგენელი. ამ პერიოდიდან იგი უკვე წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტს. საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.

ცესკომ მიიჩნია, რომ განცხადებაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მითითებულ სატელევიზიო სიუჟეტების ჩანაწერებში არსებულ ფაქტებს სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. აღნიშნულიდან იკვეთება, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ ოზურგეთის მოსახლეობისათვის დახმარების აქცია ჩატარდა მიმდინარე წლის 4 აგვისტოს, ამ დროისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" წარმოადგენდა ცესკოს მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტს, შესაბამისად აღნიშნულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ერთად აქციის დაგეგმვა და ჩატარება აღიქმება, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ ამ საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ აგიტაციის განხორციელება, მის სასარგებლოდ განცხადებების გაკეთება. ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, ასოციაციამ ეტლებზე თხოვნა, ბენეფიციართა სია და თანდართული დოკუმენტები ოზურგეთის სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიიღო. ასოციაციის თავმჯდომარის წერილზე თანდართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 08 აპრილის №725 წერილიდან ჩანს, რომ გამგეობის მიერ ასოციაციას გაეგზავნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთა სია, რომლებსაც ესაჭიროებოდათ ინვალიდის

ეტლები. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, ოზურგეთში მცხოვრები პირებისათვის ეტლებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ბავშვთა საკვების გადაცემა განხორციელებულიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაწილეობითა და ორგანიზებით და არა ,,ქართული ოცნების" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ორგანიზებით.

ის გარემოებები, რომ ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია, აქცია გაიმართა უშუალოდ პოლიტიკური გაერთიანების რაიონული ორგანიზაციის ოფისის წინ, ინფორმაცია დაგეგმილი საქველმოქმედო აქციის თაობაზე თავად აქციის ორგანიზატორებმა ,,ქართული ოცნების" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დავით დარჩიამ და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა მაია კვეზერელმა ჟურნალისტებს ,,ქართული ოცნების" ოზურგეთის ოფისში მიაწოდეს, ასევე მიუთითებს აღნიშნული პარტიის მიმართ ამ ორგანიზაციის მხრიდან მხარდაჭერაზე და ამდენად, იგი უნდა შეფასდეს, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა ... საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს. შესწავლილი დოკუმენტაციით გამოირკვა, რომ საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 1995 წლის 18 მაისს რეგისტრირებული საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" უფლებამონაცვლე, იგი წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაციას, საერთაშორისო ასოციაციას ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა 2006 წლის 22 მაისს, და განესაზღვრა შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომერი 203845009, აღნიშნული ორგანიზაცია შეიქმნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყნად მშვიდობის დამყარებასა და სამოქალაქო დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში წვლილის შეტანა, ფართო საქველმოქმედო საქმიანობა, საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები, საგამომცემლო საქმიანობა, შეხვედრები, დიალოგები პრობლემურ საკითხებზე.

ნორმათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საქველმოქმედო ორგანიზაციის მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესების დარღვევა, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-10 თავი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79 -ე მუხლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 93 -ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის 79-ე, 81-ე და 86-ე-92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები). №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 23 იანვრის №01/2012 განკარგულებით ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შემდგენ უფლებამოსილ პირად განისაზღვრა №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1]-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ადგილზე. მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ადგილია ოზურგეთი, ამდენად, ცესკომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განცხადება და ცესკოს მიერ მოკვლეული მასალები, საქმეზე ზეპირი მოსმენის გამართვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეგზავნოს №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

№60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2013 წლის 23 აგვისტოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტი მიჩნეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის "საქათველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

2013 წლის 22 სექტემბერს №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქველმოქმედო ორგანიზაციის "საერთაშორისო ასოციაცია ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარის მაია კვეზერელი-კოპაძის მიმართ. სამართალდარღვევის ოქმი და საქმის მასალები გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ 2013 წლის 24 სექტემბერს განიხილა წარდგენილი სამართალდარღვევის მასალები და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დაჯარიმების შესახებ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს დადგენილება ოზურგეთის საოლქო საარჩენო კომისიამ გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

3. <u>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2013 წლის 1 სექტემბერს ქ. თელავში ე.წ. "დრიფტ-შოუს" გამართვის შესახებ</u>

2013 წლის 16 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა (ცესკოში რეგისტრაც. №1/1671) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" რაიონული ოფისის წინ, ამავე პარტიის ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით 2013 წლის 1 სექტემბერს ქ. თელავში ერეკლე მეორის გამზირზე გაიმართა დრიფტ - შოუ, მანქანების რბოლა. შეხვედრაზე წარმოდგენილნი იყვნენ პარტიული აქტივისტები, შესაბამისი პარტიული ატრიბუტიკით (მაისურები, დროშები და ა.შ.) განცხადების თანახმად, აღნიშნული ღონისძიება მიჰყავდათ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერებს ლევან ოთიურიძეს და ანა ჩაკვეტაძეს. ღონისძიებაზე პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პირებისათვის დაწესებული იყო პრიზები: სპეციალური თასი და ფასიანი საჩუქრები. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ პარტიის მიერ ორგანიზებულ დრიფტ - შოუს ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები უჭერდნენ მხარს და აფინანსებდნენ. („ძველი თელავი", „კოკა-კოლა", „თელავის ნაყინი" და რესტორანი „შატო მერე".) ღონისძიების ორგანიზატორებმა გამარჯვებულებს გადასცეს ავტომანქანის საწვავი ჯამში 150 ლიტრის ოდენობით, ხოლო პირველ ადგილზე გასულს ბილაინის ანდროიდი ოქროს ნომრით. განმცხადებლის აზრით, „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით თელავში ჩატარებული დრიფტ - შოუ, შეიცავს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს, და შესაძლოა დრიფტ - შოუს მხარდამჭერი მეწარმეების მხრიდან ადგილი ჰქონდეს კანონით აკრძალული ქმედების განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელი ითხოვდა, ცესკომ კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული

ქმედების გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვთ: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 19 ივლისის №196/2013 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდა და დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მიზნით, ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, პოლიტიკურ გაერთიანებას მიეცა საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის შესაძლებლობა.

პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი 2013 წლის 23 სექტემბრის წერილში აღნიშნავდა, რომ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განცხადებაში მოყვანილი ფაქტები მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ქ. თელავში ჩატარებული ე.წ. დრიფტის ჩემპიონატი არ დაგეგმილა და არ დაფინანსებულა მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ. რაც შეეხება პარტიული აქტივისტების დასწრებას ღონისძიებაზე პარტიული ატრიბუტიკით, იმერლიშვილის განცხადებით ღონისძიებაზე დასწრება შეეძლო ნებისმიერ მსურველს, და ამასთან, მათი დასწრება არ გულისხმობს ღონისძიების ორგანიზებაში და ჩატარებაში მონაწილეობას. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ პარტიული ატრიბუტიკა შეეძლო მიეღო და გამოეყენებინა ნებისმიერ მსურველს, რადგან მიმდინარე წლის აგვისტოში გიორგი მარგველაშვილმა კახეთის რეგიონში გამართა შეხვედრა, რა დროსაც მოსახლეობაში დარიგდა სააგიტაციო მასალა. მ.პ.გ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" იურიდიული სამსახურის უფროსის თევდორე კობახიძის მიერ პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური საბჭოს მდივნის ირინე იმერლიშვილისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია, რომ ქ. თელავში გამართულ დრიფტ - შოუს მაყურებლის რანგში ნამდვილად ესწრებოდა პარტიის რამდენიმე აქტივისტი, თუმცა ღონისძიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობა არ მიუღია არც პარტიას და არც გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს. თევდორე კობახიძის წერილის თანახმად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში აღნიშნული ღონისძიების წამყვანების ლევან ოთიურიძის და ანა ჩაკვეტაძის პარტიის წევრებად მოხსენიება არ შეესაბამება სიმართლეს. შესაბამისად, ვიდეო ჩანაწერების ტიტრებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" შტაბის მითითება არ ყოფილა შეთანხმებული ან გადამოწმებული ტელევიზიების მიერ, ამდენად ეს ჟურნალისტთა მხრიდან დაშვებულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს. ანალოგიური ირკვევა პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ცენტრალური საარჩევნო შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და პიარ ჯგუფის ხელმძღვანელის შალვა რამიშვილისა და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ცენტრალური ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათებით.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" იურიდიული სამსახურის უფროსის თევდორე კობახიძის წერილის თანახმად, ასევე უარყოფილი იქნა პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო რაიონული შტაბის მიერ ღონისძიების დაფინანსება. ასევე მის მიერ უარყოფილი იქნა ღონისძიების დამფინანსებელ კომპანიებთან კანდიდატის რაიონული საარჩევნო შტაბის რაიმე კავშირი.

ი. იმერლიშვილის მიერ ცესკოში წარმოდგენილი მასალებიდან გამოირკვა, რომ ღონისძიების წამყვანები ლევან ოთიურიძე და ანა ჩაკვეტაძე არ ირიცხებიან პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრებად, არ არიან

გაწევრიანებული ახალგაზრდულ აქტივში და არც პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ცენტრალური (ან რაიონული) საარჩევნო შტაბების ახალგაზრდულ ორგანიზაციაში.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში. ამდენად, მითითებული მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (სანქცია) ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევაზე მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის მიმართ იქნა დადგენილი.

პარტიიდან გამოთხოვილი მასალებიდან და ცესკოში განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ 2013 წლის 1 სექტემბერს ქ. თელავში ერეკლე მეორის გამზირზე გაიმართა დრიფტ - შოუ, რომლის ორგანიზებაში მონაწილეობა არ მიუღია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს და ასევე არც პარტიის მიერ არ იყო ეს ღონისძიება ორგანიზებული. ამასთანავე, ზემოხსენებულ შოუს და გამარჯვებულებისთვის გადაცემულ პრიზებს თავისი თვისებით არავითარი სამართლებრივი ფასეულობა არ შეუძენია. აღნიშნული დრიფტ - შოუს ჩატარებით და პრიზების გადაცემით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარდგენილი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ვერ მოიპოვებს ვერანაირ უპირატესობას სხვა კანდიდატების მიმართ, რაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს, შესაბამისად, ვერ შესთავაზებს ამომრჩევლებს მატერიალური სიკეთის გამოყენებას, როგორც მისთვის ხმის მიცემის ერთ-ერთ წინაპირობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცესკომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის იმის ალბათობა, რომ სადავო ქმედება რაიმე სახის გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგებზე ერთი კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ, შესაბამისად მითითებული ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად.

ასევე დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 04 სექტემბრის №67/2013 განკარგულებით. ამდენად, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მხრიდან ადგილი რომც ჰქონოდა საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აკრძალულ ქმედებებს, მასზე ვერ გავრცელდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია, რადგან 2013 წლის 1 სექტემბრისთვის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი იყო საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი, ხოლო 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით

საარჩევნო რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება საარჩევნო სუბიექტს. ამასთან, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის მეორე პუნქტში არ არის მითითება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სანქცია ვრცელდება საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე განხორციელებულ ქმედებებზე, ვერ მოხდება აღნიშნული სანქციის გამოყენება საარჩევნო სუბიექტზე იმ ქმედებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, გულისხმობს ცესკოს მიმართვას სასამართლოსადმი საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვა სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. ზემოაღნიშნული საკითხი იურიდიული პირისთვის რეალიზდება დისკრეციულ უფლებამოსილებაში, რომლის არსიც მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნტში, რომლის თანახმადაც, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო კომისიას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და აღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონმდებელმა საარჩევნო კომისია აღჭურვა დისკრეციული უფლებამოსილებით, მიმართოს ან არ მიმართოს სასამართლოს ქმედების განხორციელების მოთხოვნით და არა ვალდებულებით, რომ ყველა შემთხვევაში მიემართოს სასამართლოს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციასაც. ამდენად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უფლებამოსილი პირია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს სარჩელით საარჩევნო სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, თუ თვლის, რომ საარჩევნო სუბიექტის მხრიდან ხორციელდება ამომრჩევლის მოსყიდვა და ცესკოს წინამდებარე განკარგულებით დადგენილი უარი ვერ გახდება დამაბრკოლებელი გარემოება სადამკვირვებლო ორგანიზაციისათვის, სურვილის შემთხვევაში დამოუკიდებლად მიმართოს სარჩელით სასამართლოს ამომრჩევლის მოსყიდვის საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცესკომ დაადგინა - არ მიემართოს სასამართლოს ზემოაღნიშნული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით.

4. <u>არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” 2013 წლის 18 სექტემბრის განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი შემოტანის გამო</u>

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” 2013 წლის 18 სექტემბრის განცხადება.

ზემოაღნიშნულ განცხადებას ხელს აწერდა არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” საარჩევნო პროექტის მენეჯერი ლევან ნატროშვილი. ხსენებული ორგანიზაციის წესდების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამგეობის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს გააჩნიათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთპიროვნული უფლება, წარმოადგენდნენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამავე წესდების მიხედვით გამგეობის თავმჯდომარეა მარკ მო მალენი, ხოლო აღმასრულებელი დირექტორი - ეკა გიგაური.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი. ცესკოს მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის სხდომაზე, (იხ. სხდომის ოქმი №67) ზემოაღნიშნული განცხადების განხილვისას, წარმოდგენილ იქნა მინდობილობა, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური ყველა დონის საარჩევნო კომისიაში ამ ორგანიზაციის ინტერესების წარმოსადგენად უფლებამოსილებას ანიჭებს ამავე ორგანიზაციის თანამშრომელს გივი ჩიხლაძეს, რომელმაც ცესკოს სხდომაზე დაადასტურა, რომ ლევან ნატროშვილი არ იყო უფლებამოსილი, ცესკოში შემოეტანა განცხადება და ასევე განაცხადა, რომ არც იგი წარმოადგენდა მხარეს აღნიშნული განცხადების განხილვისას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

განცხადებაზე ხელმომწერი პირი - ლევან ნატროშვილი არ იყო უფლებამოსილი, მიემართა ცესკოსათვის განცხადებით.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განუხილველად დაუტოვა არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” 2013 წლის 18 სექტემბრის განცხადება არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი შემოტანის გამო.

5. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია” განცხადებები 2013 წლის 29 აგვისტოს ქ. რუსთავში გამართულ წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში საჯარო მოხელეების კანონდარღვევით მონაწილეობის შესახებ;

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს (ცესკოში რეგისტრაციის №1/2056) და 8 ოქტომბერს (ცესკოში რეგისტრაციის №1/2150) შემოვიდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია” განცხადებები, რომლებსაც ერთვოდა მოქალაქე დავით მაზმიშვილის და ბახტარ ისაევის 2013 წლის 3 ოქტომბრის განცხადებები და „CD” დისკები.

2013 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პრეზიდენტობის კანდიდატი ბატონი დავით ბაქრაძე ქ.

რუსთავში, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებსა და მხარდამჭერებს შეხვდა. დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო სააგიტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ: გუბერნიის თანამშრომელი რამილია ალაჰიაროვა, ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციის უფროსი დავით ჯანიაშვილი, ქ. რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსი და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი მაია დოლიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წევრი ია გიუნაშვილი, რუსთავის მერიის ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური სამსახურის კურატორი სვეტა დგებუაძე, გუბერნიის რეგიონალური სამსახურის უფროსი და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი ნინო ბასილაშვილი, რუსთავის კორპუსის თავმჯდომარე კობა ლომიძე, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე გიორგი გოგოლაძე, ამავე მუნიციპალიტეტის თანამშრომელი გოჩა ქურდაძე.

ზემოაღნიშნული შეხვედრა პრეზიდენტობის კანდიდატთან შედგა ხუთშაბათ დღეს, სამუშაო საათებში, დაახლოებით 16 სთ. 20 წთ-დან 18 საათამდე. განმცხადებლების აზრით, ზემოაღნიშნულ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი აქვს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის დარღვევას, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

2013 წლის 7 ოქტომბრის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, დავით მაზმიშვილმა და ბახტარ ისაევმა განცხადებებით მიმართეს ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" და აცნობეს მათ სხვადასხვა კანონდარღვევების შესახებ, კერძოდ:

ა) დ. მაზმიშვილის 2013 წლის 7 ოქტომბერის განცხადებაში მითითებული იყო, რომ მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი დავით ბაქრაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვდა პარტიულ აქტივსა და მხარდამჭერებს, შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლის რწმუნებულის მოადგილე დავით ჯაფარიძე, რწმუნებულის რეგიონალური სამსახურის უფროსი ნინო ბასილაშვილი, რუსთავის ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი ხათუნა აბულაძე და რუსთავის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი ვახტანგ მუმლაძე.

ვინაიდან, ეს შეხვედრა მიმდინარეობდა სამუშაო საათებში, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, რაც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციას.

ბ) ბ. ისაევის 2013 წლის 7 ოქტომბრის განცხადებაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 29 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვდა პარტიულ აქტივს. შეხვედრა გაიმართა სამუშაო საათებში, რომელსაც ქ. რუსთავის ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ბახტარ ისაევიც ესწრებოდა. მისი განმარტებით, შეხვედრაზე იგი მისი უშუალო ზემდგომის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის გიორგი გოგოლაძის დავალებით იმყოფებოდა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ გიორგი გოგოლაძის მხრიდან დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების მოთხოვნები.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში განცხადებებში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

განცხადებებზე თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გუბერნიის თანამშრომელი რამილია ალაჰიაროვა და ქ. რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსი მაია დოლიძე დაფიქსირებულნი იყვნენ 2013 წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის მიერ ნაციონალური მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის შენობის გარეთ გამართულ შეხვედრაზე, ხოლო პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე დავით ჯაფარიძე, პრეზიდენტის რწმუნებულის რეგიონალური სამსახურის უფროსი ნინო ბასილაშვილი და რუსთავის ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი ხათუნა აბულაძე დაფიქსირებულნი იყვნენ 2013 წლის 2 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის მიერ ნაციონალური მოძრაობის რუსთავის ორგანიზაციის შენობის გარეთ გამართულ შეხვედრაზე. პრეზიდენტობის კანდიდატის შეხვედრაზე მხოლოდ დასწრება არ შეიძლება მივიჩნიოთ წინასაარჩევნო აგიტაციად, რადგან რამილია ალაჰიაროვას, მაია დოლიძის, დავით ჯაფარიძის და ხათუნა აბულაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე მოწოდებებს ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედებებს, რომელიც მიმართული იქნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევის ხელშეწყობისაკენ. მითითებული პირების პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრაზე დასწრება გამოიხატა უმოქმედებაში, რაც არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას.

განცხადებებში მითითებული საჯარო მოხელეების - ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციის უფროსის დავით ჯანიაშვილის, რუსთავის კორპუსის თავმჯდომარის კობა ლომიძის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის გიორგი გოგოლაძის და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლის ვახტანგ მუმლაძის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა წარმოდგენილი ვიდეომასალით არ დასტურდება. აღნიშნული ვიდეომასალა იძლევა ინფორმაციას კახა ცერცვაძის, შავლეგო მანდარიასა და ზაქრო ტაბატაძის წინასაარჩევნო აგიტაციაში შესაძლო მონაწილეობის შესახებ, თუმცა აღნიშნული პიროვნებები განცხადებაში მოხსენებულნი არ არიან. ამდენად, შესასწავლია, წარმოადგენდნენ თუ არა ეს პირები საჯარო მოხელეებს და შესაბამისად, ჰქონდა თუ არა ადგილი მათი მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას.

2013 წლის 7 ოქტომბრის განცხადების თანდართული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ ბახტარ ისაევი სამუშაო საათებში, საარჩევნო სუბიექტის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების" ოფისში წინასაარჩევნო აგიტაციას ეწეოდა პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ. ბახტარ ისაევი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლობაში ინტერვიუს აძლევდა ჟურნალისტებს და აღნიშნავდა, რომ რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, მას შემდეგ თავისუფლად სუნთქავს, ხოლო 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას აძლევს გიორგი მარგველაშვილს.

ზემოაღნიშნულ ინტერვიუში ბახტარ ისაევი აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის შეხვედრაზე დასასწრებად მან მოახდინა მოქალაქეთა მობილიზება, რადგან მასზე განხორციელდა სამსახურეობრივი ზეწოლა. იმ შემთხვევაში, თუ ბახტარ ისაევზე მართლაც განხორციელდა სამსახურეობრივი ზეწოლა, რათა მას მოეხდინა მოქალაქეთა მობილიზება პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის შეხვედრაზე დასასწრებად, იგი ვალდებული იყო აღნიშნული ფაქტი ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

ის ფაქტი, რომ ბახტარ ისაევმა პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძის შეხვედრაზე დასასწრებად მოახდინა მოქალაქეთა მობილიზება, შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც საჯარო მოხელის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სხვაგვარად დამოკიდებული პირების წინასაარჩევნო აგიტაციაში ჩაბმას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1] -ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე.

აქედან გამომდინარე, კ. ცერცვაძის, შ. მანდარიას და ზ. ტაბატაძის საჯარო მოხელეობის დადგენის მიზნით, აგრეთვე დ. ჯანიაშვილის, კ. ლომიძის, გ. გოგოლაძის, კ. ცერცვაძის, შ. მანდარიას,ზ.ტაბატაძის და ბახტარ ისაევის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით განცხადებები თანდართულ მასალებით გადაეგზავნა №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

რაც შეეხება განცხადებაში ჩამოთვლილ პირებს - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ია გიუნაშვილს, რუსთავის მერიის ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური სამსახურის კურატორს სვეტა დგებუაძეს, გუბერნიის რეგიონალური სამსახურის უფროსს ნინო ბასილაშვილსა და ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თანამშრომელს გოჩა ქურდაძეს, თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პირები ესწრებოდნენ პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის მიერ ნაციონალური მოძრაობის რუსთავის რაიონულ ორგანიზაციაში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრას. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობაში ატარებს წინასაარჩევნო აგიტაციას და მას მაგიდაზე უდევს სააგიტაციო მასალა.

ცესკომ მიიღო განკარგულება, რომლის თანახმად განცხადებები თანდართული მასალებით გადაეგზავნა №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის.

6. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება - ზუგდიდში, ფოთში, კასპში, ჩოხატაურსა და ქუთაისში მომხდარ კანონდარღვევებთან დაკავშირებით

გამომდინარე იქედან, რომ განცხადება ეხებოდა სხვადასხვა ტეროტორიულ ერთეულში მომხდარ ფაქტს. შესაბამისად მიღებულ იქნა თითოეულ ფაქტზე ცალ-ცალკე გადაწყვეტილება

ზუგდიდში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2271) შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება, რომელშიც საუბარი იყო ზუგდიდში საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შემთხვევებზე, კერძოდ: განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 11 სექტემბერს, ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას ესწრებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები, მათ შორის საკრებულოს აპარატის

უფროსი თემურ ბასილაია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი ბართლომე შელია, სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი ლევან მაქაცარია, იურიდიულ საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ანა წითლიძე. განმცხადებლის აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობის პირები წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს, შესაბამისად, მათ საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად ეკრძალებათ სამუშაო საათებში აგიტაციის გაწევა ან აგიტაციაში მონაწილეობა. გამომდინარე იქედან, რომ აქცია მიმდინარეობდა სამუშაო საათებში, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას, რაც ითვალისწინებს 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებას.

განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შესწავლის შედეგად ცესკომ დაადგინა, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ, ანუ აქციაზე დასწრება არ არის აქციის ჩატარებაში მონაწილეობა, თუ მას თან არ ახლავს პირის მიერ აქციაზე განხორციელებული კონკრეტული საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის კანდიდატის არჩევას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო,

ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში განცხადებაში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

განცხადებაში მითითებულ ბმულზე განთავსებული ინფორმაციიდან და ფოტოსურათებიდან გამოჩნდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი თემურ ბასილაია, საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი ბართლომე შელია, სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი ლევან მაქაცარია, იურიდიულ საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ანა წითლიძე დაფიქსირებულები იყვნენ 2013 წლის 11 სექტემბერს ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე, სხვა სახის ინფორმაციას საქმის მასალები არ იძლევა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს ეკრძალება არა ნებისმიერ შეკრებაზე, არამედ მხოლოდ ისეთ შეხვედრებში მონაწილეობა, სადაც მიმდინარეობს შესაბამისი პირის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანია-აგიტაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, ზემოაღნიშნული პირების მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა საქმის მასალების მიხედვით არ დადასტურდა, კერძოდ, მათი მხრიდან ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ადგილი არ ჰქონდა. განცხადებაზე დართული ფოტოსურათები არ შეიცავდა მათი მხრიდან აგიტაციის წარმოების ნიშნებს, მათ არ ჩაუდენიათ სამართალდარღვევა - წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის დარღვევით, შესაბამისად, არ არსებობს მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის სამართლებრივი საფუძვლები.

განცხადების თანახმად, 2013 წლის 11 სექტემბერს ზუგდიდში გამართული აქცია მიმდინარეობდა სამუშაო საათებში და მას ესწრებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეები, ამდენად, მიზანშეწონილია, არასამთავრობო ორგანიზაციის 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება მასში მოყვანილი გარემოებების შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისათვის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თემურ ბასილაიას, მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსის ბართლომე შელიას, სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის ლევან მაქაცარიას, იურიდიულ საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტის ანა წითლიძის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება და მოკვლეული მასალები მათში მოყვანილი გარემოებების შესწავლის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, გადაეგზავნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ფოთში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკოში რეგისტრაციის №1/2271) შემოვიდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" განცხადება, სადაც მითითებული იყო, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების შედეგად ქ. ფოთში გამოიკვეთა საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შემთხვევები. განმცხადებელი განმარტავდა, რომ 2013 წლის 7 ოქტომბერს ქ. ფოთში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერთა შეხვედრაზე იმყოფებოდა ფოთის მერის თანაშემწე ოთარ ხარჩილავა, რომელიც წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეს, რომელსაც ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. შეხვედრაზე აგრეთვე იმყოფებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომელსაც არასამუშაო საათებში აკრძალული აქვს აგიტაციაში მონაწილეობა. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას, რაც 2000 ლარის ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების

ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში, ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში განცხადებებში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიიდან შემოსული 2013 წლის 10 ოქტომბრის №599 წერილიდან დადგინდა, რომ 2013 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან ქ. ფოთში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მამუკა დოლიძე.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთან გამართულ შეხვედრაზე №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მამუკა დოლიძის დასწრება არ შეიძლება მივიჩნიოთ წინასაარჩევნო აგიტაციად, რადგან მისი მხრიდან მხრიდან ადგილი არ ჰქონდა რაიმე საჯარო მოქმედებებს, რომელიც მიმართული იქნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევის ხელშეწყობისაკენ. მამუკა დოლიძის შეხვედრაზე დასწრება გამოიხატა მხოლოდ უმოქმედებაში, რაც არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას.

ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" განცხადება თანდართული მასალებით საკითხის შესწავლის მიზნით გადაეგზავნოს №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას.

ქ. ფოთის მერის თანაშემწის ოთარ ხარჩილავას მიერ ცესკოს იურიდიულ დეპარტამენტში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან დადგინდა, რომ 2013 წლის 7 ოქტომბერს იგი ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან ქ. ფოთში გამართულ შეხვედრას. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მის დროებით გათავისუფლებას სამსახურეობრივი მოვალეობის შერულებისაგან, ხოლო ამავე კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურში მიღების უფლების მქონე პირი ან დაწესებულება უფლებამოსილია მოხელის წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუჩეროს მას სამსახურეობრივი უფლებამოსილება. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ 2013 წლის 7 ოქტომბერს ოთარ ხარჩილავა პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო სამსახურიდან და მისი აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტი, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი, არ მომხდარა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროს ან სამუშაო საათებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის №14/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ქ. ფოთის მერის თანაშემწის ოთარ ხარჩილავას მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო. ასევე არ დაკმაყოფილდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მამუკა დოლიძის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე, ხოლო №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №7 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მამუკა დოლიძის სამუშაო საათებში სამსახურში (2013 წლის 7 ოქტომბერს 13 საათიდან 15 საათამდე) არყოფნის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლის მიზნით გადაეგზავნა №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას.

№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 19 ოქტომბრის №97/2013 განკარგულებით, ვინაიდან მამუკა დოლიძე არ ირიცხებოდა №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის №7 უბნის წევრად, არ დაკმაყოფილდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის

”საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” საჩივარი №03/1549 მამუკა დოლიძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლობის გამო.

კასპში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2271) შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება, რომელშიც საუბარი იყო კასპში საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შემთხვევებზე.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 7 სექტემბერს კასპში საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს საჯარო სკოლის პედაგოგები შეხვდნენ. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მხარდამჭერთა მობილიზებას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და მას ხანდაკის, ახალქალაქის, ახალციხის, ხოვლის და სხვა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ახორციელებდნენ. გარდა ამისა, საპრეზიდენტო კანდიდატთან შესახვედრად 120 ადამიანის ტრანსპორტირება ხანდაკის რწმუნებულმა უზრუნველყო. განმცხადებლის მოსაზრებით, ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს წარმოადგენენ და ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათი მხრიდან მოხდა სახელმწიფოს ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ, რაც საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის დარღვევაა და ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული შინაარსის განცხადებით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” ცესკოს მომართა ჯერ კიდევ 2013 წლის 20 სექტემბერს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, პოლიტიკური გაერთიანებიდან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”, ასევე კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია განცხადებაში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით. ცესკოს 2013 წლის 3 ოქტომბრის №372/2013 განკარგულებით დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” 2013 წლის 18 სექტემბრის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი შემოტანის გამო.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შედეგად ცესკომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადებაში დასმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 49-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას. საჯარო სკოლის პედაგოგები არ წარმოადგენენ კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ ან სხვაგვარად დამოკიდებულ პირებს, შესაბამისად, რწმუნებულების მხრიდან აგიტაციაში

პედაგოგების ჩართვა, ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაშიც კი, ვერ გახდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, აგიტაციაში უკანონო მონაწილეობად ითვლება საჯარო მოხელეების მხრიდან აგიტაციაში უშუალოდ დაქვემდებარებულ პირთა ჩაბმა, შესაბამისად, სახეზე არ იყო აღნიშნული ნორმის მოთხოვნათა დარღვევა.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების მხრიდან სახელმწიფოს ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, აღნიშნული პარტიის არც ცენტრალურ და არც რაიონულ საარჩევნო შტაბს არ განუხორციელებია 2013 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე მოქალაქეთა, მათ შორის პედაგოგთა, ტრანსპორტით გადაადგილების ორგანიზება და დაფინანსება. მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის კასპის რაიონული საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის რამაზ ბერიანიძის მიმდინარე წლის 25 სექტემბრის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემებით, ზემოაღნიშნულ ღონისძიებაში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებიდან მხოლოდ ორი მიკროავტობუსი ეკუთვნოდა ერთ პიროვნებას - მოქალაქე ვახტანგ ბეჟიტაშვილს, რომელმაც საკუთარი სურვილით მოახდინა თანასოფლელთა ტრანსპორტირება გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრისათვის. რაც შეეხება დანარჩენ მიკროავტობუსებს, ისინი წარმოადგენენ ე.წ. „ხაზის მიკროავტობუსებს", რომლებიც ყოველდღიურად ასრულებენ რეისებს კასპის რაიონული ცენტრიდან მიმდებარე სოფლების მიმართულებით. სავარაუდოდ, ზემოხსენებული სატრანსპორტო საშუალებებიც შესაძლებელია იმყოფებოდეს კერძო საკუთრებაში. აღნიშნულის საფუძველს იძლევა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის №2/1-1710 წერილი, საიდანაც დადგინდა, რომ 2013 წლის 7 სექტემბერს საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგებს არ უსარგებლიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებით, ვინაიდან კასპის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არ გააჩნდა არსებული ავტოფარეხი და აქედან გამომდინარე, საჯარო სკოლის პედაგოგები ვერ ისარგებლებდნენ აღნიშნული ტრანსპორტით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; მათ შორის, იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

განცხადებაში მოხსენებული თანამდებობის პირების - ხანდაკის, ახალქალაქის, ახალციხისა და ხოვლის რწმუნებულების მხრიდან არ მომხდარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გამოყენება, შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. ამდენად, არ არსებობს განცხადებაში მოყვანილი თანამდებობის პირების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" კასპის ტერიტორიული ორგანოების თანამდებობის პირების - ხანდაკის, ახალქალაქის, ახალციხისა და ხოვლის რწმუნებულების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ჩოხატაურში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2271) შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება, რომელშიც საუბარი იყო ჩოხატაურში საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის შემთხვევებზე. კერძოდ: განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 13 სექტემბერს ჩოხატაურში საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი გოჩა ფერსაშვილი, მისი მოადგილე გურამ ასათიანი, ასევე ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსი აკაკი მაისურაძე და მისი მოადგილე ზაზა დოლიძე. განმცხადებლის მოსაზრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დასწრება წინასაარჩევნო შეკრებაზე აღიქმება, როგორც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა, რაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევაა და ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-2 მუხლის „ჰ[1]" პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართულ აქტიურ მოქმედებას, არამედ კანონმდებელი მასში ასევე მოიაზრებს ნებისმიერ საჯარო მოქმედებასაც, მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობას, გამოხატული მონაწილე პირის მხრიდან, როგორც აქტიური (მოწოდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ), ისე კონკლუდენტური მოქმედებით - მითუმეტეს ისეთი პირის მიერ, რომლის გადაწყვეტილება, ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და რომლისკენაც მისი თანამდებობრივი თუ სხვაგვარი სტატუსის გათვალისწინებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

წინასაარჩევნო აგიტაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობაში. შესაბამისად, აქციაზე დასწრება არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას, თუ მას თან არ ახლავს ან მოწოდება, ან სხვა რაიმე საჯარო მოქმედება, მიმართული კანდიდატის არჩევის ხელშეწყობისაკენ ან ასეთის ხელის შეშლისაკენ, ანუ აქციაზე დასწრება არ არის აქციის ჩატარებაში მონაწილეობა, თუ მას თან არ ახლავს პირის მიერ აქციაზე განხორციელებული კონკრეტული საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის კანდიდატის არჩევას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და

საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები ამ კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო მოხელეებს. ამავე კოდექსის მე-10 თავით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის, კერძოდ, 79-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამ კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. საარჩევნო სამართალდარღვევა თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია პირის - როგორც სამართალდამრღვევის მიმართ სახდელის დადება. მოცემულ შემთხვევაში გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის გოჩა ფერსაშვილის, მისი მოადგილის გურამ ასათიანის, ასევე ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსის აკაკი მაისურაძისა და მისი მოადგილის ზაზა დოლიძის სამართალდამრღვევებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მათ მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა) და ბოლოს, სახეზე უნდა იყოს ბრალი (ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). პირის მიერ ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, უნდა შეფასდეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებსაც ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეს მონაცემები, სხვა დანარჩენ მონაცემებთან ერთად, დგინდება პირის როგორც ახსნა-განმარტებით, ასევე ვიდეოფირით ან ფოტოსურათით.

განცხადებაში მითითებულ ბმულზე განთავსებული ინფორმაციიდან და ფოტოსურათებიდან ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომლები აკაკი მაისურაძე, გოჩა ფერსაშვილი და გურამ ასათიანი დაფიქსირებულები არიან 2013 წლის 13 სექტემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე. სხვა სახის ინფორმაციას საქმის მასალები არ იძლევა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო მოხელეს ეკრძალება არა ნებისმიერ შეკრებაზე, არამედ მხოლოდ ისეთ შეხვედრებში მონაწილეობა, სადაც მიმდინარეობს შესაბამისი პირის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანია-აგიტაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, მით უმეტეს, როდესაც თავად გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი გოჩა ფერსაშვილი ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ აღნიშნული შეხვედრის დროს ის უსაფრთხოებას, პერიმეტრს იცავდა. განცხადებაზე თანდართული მასალებიდან, კერძოდ წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან ასევე არ დგინდება

ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის ზაზა დოლიძის გიორგი მარგველაშვილთან სახელდახელოდ გაკეთებულ სცენასთან საუბარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ძ" პუნქტის თანახმად, პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციებისა და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 30 სექტემბრის №765 ბრძანებაში და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციაში (2013 წლის 30 სექტემბერი) პირდაპირ ჩაიწერა, რომ საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მიერ ორგანიზებული აგიტაციისა და კამპანიის (შეკრების) დროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მოსამსახურე ვალდებულია ეცვას დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი, გარდა ამისა, შსს-ს ყველა მოსამსახურეს ეკრძალება შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე დასწრება, ასევე შეკრების ადგილზე მიახლოება 5 მეტრის მანძილზე, თუ აგიტაცია (შეკრება) იმართება შენობის გარეთ, ეკრძალებათ ასევე შენობებში შესვლა, სადაც იმართება ასეთი შეკრება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება გამოცემულ იქნა მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, ჩოხატაურში დაფიქსირებულ შემთხვევებს კი ადგილი ჰქონდა ამა წლის 13 სექტემბერს, შესაბამისად, მინისტრის ხსენებული სამართლებრივი აქტის მოქმედება ვერ გავრცელდება ჩოხატაურში მომხდარ ფაქტზე იმის გამო, რომ მას უკუძალა არ გააჩნია.

ამდენად, გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის გოჩა ფერსაშვილის, მისი მოადგილის გურამ ასათიანის, ასევე ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსის აკაკი მაისურაძისა და მისი მოადგილის ზაზა დოლიძის მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა საქმის მასალების მიხედვით არ დასტურდება, კერძოდ, მათი მხრიდან ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ ადგილი არ ჰქონდა. განცხადებაზე თანდართული ფოტოსურათები არ შეიცავდა მათი მხრიდან აგიტაციის წარმოების ნიშნებს, მათ არ ჩაუდენიათ სამართალდარღვევა - წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის დარღვევით, შესაბამისად, არ არსებობს მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღი გადაწყვეტილება - ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის გოჩა ფერსაშვილის, მისი მოადგილის გურამ ასათიანის, ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსის აკაკი მაისურაძისა და მისი მოადგილის ზაზა დოლიძის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2271) შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო პოსტერი ქუთაისში, აღმაშენებლის მოედანზე კანონდარღვევით განთავსდა. პოსტერი, თბილისისა და თამარ მეფის ქუჩების კუთხეში, ანუ ქალაქის პირველ ზონაში მდებარე შტაბის ფასადზე გაიკრა. საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალს, სადაც საარჩევნო/სააგიტაციო მასალის განთავსება ნებადართული ან აკრძალულია, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ქუთაისის შემთხვევაში მსგავსი ადგილები საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ივლისის №784 ბრძანებითაა განსაზღვრული. იმ ადგილებს შორის, სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება იკრძალება, ხვდება პირველ ზონაში არსებული შენობა-ნაგებობების ნებისმიერი ფასადი. აღმაშენებლის მოედანს, ისევე როგორც თამარ მეფისა და თბილისის ქუჩებს, პირველი ზონის სტატუსი ,,ქალაქ ქუთაისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ" ქუთაისის საკრებულოს 2008 წლის 4 აპრილის №153 დადგენილებით მიენიჭა. განმცხადებლის აზრით, პირველ ზონაში არსებული ნაგებობის ფასადზე პლაკატის განთავსებით დაირღვა როგორც ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ზემოაღნიშნული ბრძანება, ასევე საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები. განცხადების ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ იგივე ნორმებს არღვევენ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებიც - დავით ბაქრაძე (წმინდა ნინოს №9,) ნინო ბურჯანაძე (გრიშაშვილის ქ. №7), კობა დავითაშვილი (თამარ მეფის ქ. №26), რომლებსაც სააგიტაციო მასალა თავიანთი ოფისების ფასადებზე აქვთ გამოკრული და მოუწოდებდა საარჩევნო სუბიექტებს, წინასაარჩევნო კამპანიის, მათ შორის საარჩევნო/სააგიტაციო მასალის განთავსების პროცესში დაიცვან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-4-მე-5 პუნქტების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. ამ მუხლის შესაბამისად სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისათვის სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით, რომლის თანახმადაც სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნოს ქუთაისის საკრებულოს.

7. არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის 2013 წლის 15 ოქტომბრის საჩივარი №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ჯემალ დეკანაძის დანიშვნის შესახებ

2013 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა (რეგისტრაციის №1/2311) არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის საჩივარი.

მომჩივანი ითხოვდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეცნობებინა მისთვის: 1. №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ დეკანაძე იყო თუ არა დანიშნული საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ დადგენილი წესით; 2. დაცული იყო თუ არა ჯემალ დეკანაძის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილ იქნა საჭირო დოკუმენტაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 24-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 25-ე მუხლის მე-11 პუნქტით რეგლამენტირებულია საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის №21/2013 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის მორიგი არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. ხსენებული წესის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ცხრილის სახით ურიგდებათ კონკურსანტების ჩამონათვალი და კომისიის თითოეული წევრი ცხრილში შემოხაზავს იმ კანდიდატის/კანდიდატების სახელსა და გვარს, რომელსაც ის აძლევს ხმას.

№25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 11 სექტემბრის №4 სხდომის ოქმიდან როგორც გამოირკვა, დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა. კომისიის წევრებმა №25 წალკის ოლქში შემავალ 45 უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს უყარეს კენჭი. ცხრილის მიხედვით, ჯემალ დეკანაძის კანდიდატურის განხილვისას, მის არჩევას ხმა მისცა კომისიის დამსწრე ცამეტ წევრთაგან თორმეტმა წევრმა. თუ რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეს კომისიის წევრებმა, ეს კომისიისათვის არ არის ცნობილი, ვინაიდან, საარჩევნო კომისიის წევრი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მე-8 მუხლის 21-ე პუნქტით დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს. საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2013 წლის 10 სექტემბერს გამოიცა „საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ” №6/2013 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, №25 წალკის საარჩევნო ოლქში შემავალ 45 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ კანდიდატები დანართის შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიის №1 სხდომის ოქმიდან გამოირკვა, რომ 13 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი, რომელთაგან სამმა წევრმა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ჯემალ დეკანაძის კანდიდატურა, რომლის არჩევასაც, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის რვავე წევრმა დაუჭირა მხარი და შესაბამისად, №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიამ ამავე სხდომაზე გამოსცა „№25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ განკარგულება, რომლის მიხედვითაც, №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჯემალ დეკანაძე.

საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელთა მიმართაც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ესენია: ცესკოსა და უსკოს წევრები, მათი აპარატების თანამშრომლები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები, გარდა დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებისა და ამ კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები. აღნიშნული ნორმიდან ცალსახაა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ მოიაზრებიან იმ პირებად, რომელთა მიმართაც გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში საჯარო მოხელეს დროებით უნდა შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას კუთვნილი შვებულება. თუმცა, როგორც ჯემალ დეკანაძის ახსნა-განმარტებიდან და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ხელმოწერილი ცნობიდან ირკვევა, იგი №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიის გარდა მუშაობს ს.ს.ი.პ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტად. აღვნიშნავთ, რომ ს.ს.ი.პ სურსათის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული პირები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს და მათზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. აქედან გამომდინარე, ჯემალ დეკანაძეს არ ესაჭიროებოდა კუთვნილი შვებულების გამოყენება, ვინაიდან, ზემოაღნიშნული ნორმებით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება - ეცნობოს არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს ნანა კაკაბაძეს, რომ №25 წალკის საარჩევნო ოლქის №2 წალკის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ჯემალ დეკანაძე აირჩა კანონმდებლობის სრული დაცვით, იგი არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს და შესაბამისად, არ ესაჭიროება კუთვნილი შვებულების გამოყენება საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებისთვის.

8. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი” 2013 წლის 9

ოქტომბრისა და 12 ოქტომბრის განცხადებები ბეჭვდით სააგიტაციო მასალის შესახებ

2013 წლის 9 და 12 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" განცხადებები (რეგისტ.№1/2190,№1/2318).

განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების - გიორგი მარგველაშვილისა და დავით ბაქრაძის სააგიტაციო მასალასთან დაკავშირებით ადგილი აქვს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევის ფაქტებს, მათ ბილბორდებზე საქართველოს მასშტაბით არ არის მითითებული საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, კერძოდ, ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ, კანონმდებლობით კი დადგენილია, რომ „აკრძალულია ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე". განცხადების ავტორი ითხოვდა აღნიშნული საკითხის შესწავლას და შესაბამის რეაგირებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ აღნიშნულ საკითხზე გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია როგორც ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან, ასევე პოლიტიკური გაერთიანებებიდან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" მიერ მტკიცებულების სახით ასევე წარმოდგენილ იქნა ფოტომასალა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა რეგისტრაცია.

პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ მიმდინარე წლის 24 სექტემბერს ცესკოში წარმოდგენილ იქნა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიისათვის დამზადებული ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები - ბუკლეტის ეგზემპლარი; ბიოგრაფიის ეგზემპლარი და CD დისკი 5 ფაილის შემადგენლობით - ბილბორდების ელექტრონული ვერსია. პოლიტიკური გაერთიანების მიერ ცესკოში წარმოდგენილი ყველა ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, ყველა მათგანზე აღნიშნულია დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ, თუმცა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" მიერ 2013 წლის 12 ოქტომბრის №12/10-1 წერილზე თანდართული ფოტომასალა შეიცავს შენობის ფასადზე გაკრულ სააგიტაციო მასალას, რომელიც პოლიტიკურ გაერთიანებას ნიმუშის სახით ცესკოსთვის არ წარმოუდგენია.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მიერ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს ცესკოში წარმოდგენილ იქნა საპრეზიდენტო კანდიდატის - დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები. წარმოდგენილი ყველა ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ცესკოს მიერ პოლიტიკური გაერთიანებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ 2013 წლის 16 ოქტომბრის №1121/01 წერილით

დამატებით იქნა წარმოდგენილი „ბილბორდებზე" გამოყენებული სააგიტაციო მასალის ელექტრონული ვერსია, რომელზეც ასევე გათვალისწინებული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილი ყველა მონაცემი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ. აკრძალულია ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე".

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-10 თავის 79-ე-93-ე მუხლები განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებს და შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს. 93-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-ე-92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები). კოდექსის მე-10 თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 79-ე მუხლით დადგენილი ჯარიმა გათვალისწინებულია წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის. ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კანონის დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებად, ვინაიდან 79-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტით ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევასა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება. საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლი იძლევა ტერმინთა განმარტებებს, რომლის მიხედვითაც წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას და ა.შ. ხოლო სააგიტაციო მასალაში მოიაზრება პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-10 თავში, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომები კონკრეტულ სამართალდარღვევებზე, არ არის გათვალისწინებული განცხადების ავტორის მიერ მითითებული დარღვევა - საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა. ცესკო ან ცესკოს მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-ე-92-ე მუხლებიდან ერთ-ერთის საფუძველზე და არ არის უფლებამოსილი, თვითნებურად დაადგინოს პასუხისმგებლობის რაიმე ზომა იმ დარღვევაზე, რომელიც აღნიშნული მუხლებით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" 2013 წლის 9 და 12 ოქტომბრის განცხადებები სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

9. სადამკვირვებლო ორგანიზაციის ,,სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნები'' 2013 წლის 11 ოქტომბრის განცხადების შესახებ

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა სადამკვირვებლო ორგანიზაციის ,,სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნები'' განცხადება(რეგისტ. №1/2262, 11.10.2013წ.), სადაც აღნიშნული იყო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები არ გასცემენ საჯარო ინფორმაციას კანონით დადგენილი წესით, საუბნო საარჩევნო კომისიები სამუშაო საათებში იყო დაკეტილი და ასევე ის ფაქტი, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში მორიგეობენ არა კომისიის წევრები, არამედ მათი ნათესავები.

ცესკოს მიერ განცხადებაში მითითებული საოლქო საარჩევნო კომისიებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, რომლის შესწავლის შედეგად არ დადასტურდა ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიასა და რუსთავის საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა. კერძოდ, ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიიდან ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ,,სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნების'' დამკვირვებელი თამარ მჟავანაძე სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციას ითხოვდა ელექტრონული სახით. განმცხადებელს ეცნობა, რომ საქმის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდებოდა დოკუმენტაციის მომზადება სკანირებული სახით და ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიაც არ იყო ვალდებული, მოეხდინა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული დამუშავება, განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ქსეროასლები მიეწოდებოდა საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენისთანავე. ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან არაერთგზისი შეტყობინების მიუხედავად, აღნიშნული საჯარო ინფორმაციის გატანა განმცხადებლის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიიდან არ მომხდარა. შესაბამისად, №23 ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' მე-8 მუხლით დადგენილი საჯარო ინფორმაციის გაცემის ორდღიანი ვადის დარღვევას.

№20 რუსთავის ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ყოველდღიურად ახორციელებენ მონიტორინგს საარჩევნო უბნებზე და მათ მიერ მსგავსი ფაქტები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, განმცხადებელს წერილობით ეთხოვა დაეკონკრეტებინა, კერძოდ, რომელი უბნები იყო დაკეტილი და დღის რა მონაკვეთში.

რაც შეეხება №33 ქარელის ოლქში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების საკითხს, ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ შემოწმებულ იქნა №1 საარჩევნო უბანი და იმის გამო, რომ საარჩევნო უბანი იყო ღია, მაგრამ არავინ იმყოფებოდა, №33 ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით №1 ქარელის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს მიეცა დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება, ხოლო დანარჩენ 10 წევრს - შენიშვნა (იხ. დანართი - №33 ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ოქტომბრის №011/2013 განკარგულება).

ზემოაღნიშნულის შესახებ სადამკვირვებლო ორგანიზაციას ,,სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევნები'' წერილობით ეცნობა.

10. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" 2013 წლის 23 ოქტომბრის საჩივრის შესახებ

2013 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" საჩივარი (რეგისტ. №1/2743), რომელსაც თან ერთვოდა მალხაზ მაისურაძის განცხადება, ია გიუნაშვილის ახსნა-განმარტება და „CD" დისკი.

2013 წლის 23 ოქტომბრის საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მიმდინარე წლის 4 და 8 ოქტომბერს, მომჩივანმა ცესკოში წარმოადგინა განცხადებები, სადაც ჩამოთვლილნი იყვნენ

მოქალაქეები, კერძოდ 10 პირი, რომლებიც უკანონოდ მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაში. მომჩივანი მიუთითებდა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული განკარგულებები არის აშკარად უკანონო და დაუსაბუთებელი. მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ია გიუნაშვილის ახსნა-განმარტებაზე და მიიჩნევდა, რომ მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოები ტყუილი და აბსურდულია. მომჩივანის განმარტებით, ია გიუნაშვილმა დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციას. მომჩივანი ითხოვდა №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 და 2013 წლის 21 ოქტომბრის №039/2013 განკარგულებების გაუქმებას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 9 ოქტომბრის №399/2013 განკარგულებით №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ია გიუნაშვილის და სხვათა მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" 4 და 8 ოქტომბრის განცხადებები თანდართულ მასალებთან ერთად გადაეგზავნა რუსთავის №20 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

№20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 განკარგულებით №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ია გიუნაშვილთან დაკავშირებული საჩივარი არ დაკმაყოფლდა. აღნიშნული განკარგულების გამოცემის თარიღად მითითებულია 2013 წლის 17 ოქტომბერი, ხოლო მისი გასაჩივრების ადგილად რუსთავის საქალაქო სასამართლო.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

მითითებული სამართლის ნორმების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 განკარგულების გასაჩივრების ადგილად უნდა მიეთითებინა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო გასაჩივრების ვადად 1 კალენდარული დღე. მოცემულ შემთხვევაში №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაარღვია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, ამდენად, 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

ამასთანავე, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი 2013 წლის 17 ოქტომბერის მხარის ტექნიკური საშუალებების დაბარების აქტი, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 77-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, თავისი შინაარსით წარმოადგენდა ინდივიდულურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც დადგენილი იყო, რომ 2013 წლის 18 ოქტომბერს 14:00 სთ-ზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გადაგზავნილი განცხადების განხილვაზე №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაიბარეს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ადვოკატთა და იურისტთა

საერთაშორისო ობსერვატორიის” თავმჯდომარე, ხოლო №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 23 ოქტომბრის №1/2783 წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს კომისიის 11 წევრი და იურისტი მიხეილ მუზაშვილი დადგინდა, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განიხილა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გადაგზავნილი განცხადება და ჩაატარა საქმის ზეპირი მოსმენა 2013 წლის 18 ოქტომბერს.

დადგენილი იყო, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 21 ოქტომბრის №039/2013 განკარგულებით №024/2013 განკარგულებაში მითითებული რიცხვი 17 ოქტომბერი შეიცვალა 21 ოქტომბრით, რაც იმას ნიშნავდა, რომ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 განკარგულება გამოცემული იყო 2013 წლის 21 ოქტომბერს. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, ის ფაქტი, რომ საქმის ზეპირი მოსმენა გაიმართა 18 ოქტომბერს, შესაბამისად გაუგებარი იყო განკარგულების გამოცემის თარიღად ჯერ 17 ოქტომბრის, ხოლო შემდგომ კი 21 ოქტომბრის მითითება.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 17 ოქტომბრის №024/2013 და 2013 წლის 21 ოქტომბრის №039/2013 განკარგულებები. №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ია გიუნაშვილის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის საკითხის განხილვა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, დაევალოს №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ასევე ცესკომ ბათილად ცნო №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 17 ოქტომბრის №014/2013, №015/2013, №016/2013, №017/2013, №018/2013, №019/2013, №020/2013 №021/2013, №022/2013, №023/2013, №025/2013, №026/2013, №027/2013, №028/2013 განკარგულებები და 2013 წლის 21 ოქტომბრის №029/2013, №030/2013, №031/2013, №032/2013, №033/2013, №034/2013, №035/2013, №036/2013, №037/2013, №038/2013, №040/2013, №041/2013, №042/2013 განკარგულებები.

ქ. რუსთავის საკრებულოს აპარატის უფროსის მაია დოლიძის, ქვემო ქართლის გუბერნიის თანამშრომლის რამილია ალაჰიაროვას, ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციის უფროსის დავით ჯანიაშვილის, რუსთავის კორპუსის თავმჯდომარის კობა ლომიძის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის გიორგი გოგოლაძის, რუსთავის მერიის ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური სამსახურის კურატორის სვეტა დგებუაძის, გუბერნიის რეგიონალური სამსახურის უფროსის ნინო ბასილაშვილის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თანამშრომლის გოჩა ქურდაძის, პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის დავით ჯაფარიძის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტის ხათუნა აბულაძის, ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლის ვახტანგ მუმლაძის, ცამეტი ასურელი მამის სახელობის მუნიციპალიტეტის თანამშრომლის ბახტარ ისაევის, კახა ცერცვაძის, შავლეგო მანდარიასა და ზაქრო ტაბატაძის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის საკითხის განხილვა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით, ცესკომ დაავალა №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

11. არასამთავრობო ორგანიზაციის ”თავისუფალი ზონა” 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება შესახებ

2013 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა არასამთავრობო ორგანიზაციის ”თავისუფალი ზონა” განცხადება (რეგისტ. №1/2402). სადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. ფოთში გიორგი მარგველაშვილის შეხვედრას ესწრებოდნენ საარჩევნო კომისიის წევრები.

აღნიშნული განცხადება ცესკომ წერილით გადაუგზავნა №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შესწავლისა და რეაგირებისთვის.

№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ოქმები შეადგინა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბიძინა თავბერიძეს და კომისიის წევრებს - გრიგოლ რუხაძეს, ქეთევან ჯაკობიას, პეტრე როყვას, ნუკრი თოშხუას და ომარ ზენაიშვილს.

12. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადების შესახებ

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" განცხადება.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 27 ოქტომბერს, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების დღეს, №5 ისნის საარჩევნო ოლქის №76 საარჩევნო უბანზე ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ განხორციელდა საარჩევნო კაბინაში შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღება, რის შემდეგაც სურათი მისი ფეისბუკის გვერდზე იქნა ატვირთული. ვინაიდან საარჩევნო კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, განმცხადებელი ითხოვდა შესაბამის რეაგირებას აღნიშნულ ფაქტზე, ასევე სათანადო ზომების მიღებას №76 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია".

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-10 თავში, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომები კონკრეტულ სამართალდარღვევებზე, არ არის გათვალისწინებული საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა. ცესკო ან ცესკოს მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საარჩევნო კოდექსის 79-ე, 81-ე და 86-ე-92-ე მუხლებიდან ერთ-ერთის საფუძველზე და არ არის უფლებამოსილი, თვითნებურად დაადგინოს პასუხისმგებლობის რაიმე ზომა იმ დარღვევაზე, რომელიც აღნიშნული მუხლებით არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება №76 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება, შესაბამისად, თავმჯდომარე მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, განახორციელოს კონტროლი თითოეული ამომრჩევლის მიერ საარჩევნო კაბინაში ნების გამოვლენაზე. ამდენად, არ დგინდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მოთხოვნათა დარღვევა. ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება შეუძლია ზემდგომ საარჩევნო კომისიას. ამდენად, განმცხადებლის მოთხოვნა ცესკოს მხრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის 28-ე მუხლით დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების საკითხის განხილვის უფლებამოსილება გააჩნია საოლქო საარჩევნო კომისიას და არა ცესკოს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა" 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 58-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის ნაწილში სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო და ასევე

განუხილველი დატოვა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „მწვანე დედამიწა” 2013 წლის 27 ოქტომბრის განცხადება №76 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში.

13. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა” თავმჯდომარის მიხეილ დევდარიანის განცხადებები შესახებ

2013 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა” თავმჯდომარის მიხეილ დევდარიანის №3/25 (ცესკოში რეგისტრაციის №1/2892) და №3/26 (ცესკოში რეგისტრაციის №1/2893) განცხადებები, სადაც მითითებული იყო, რომ განმცხადებელი 2013 წლის 27 ოქტომბერს №3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის №79 საარჩევნო უბანზე ახორციელებდა დაკვირვებას. 20 საათსა და 10 წუთზე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აკაკი ხუსკივაძემ უკანონოდ დაატოვებინა მას საარჩევნო უბნის ტერიტორია, რის გამოც მან ვერ შეძლო საჩივრის დაწერა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მოქალაქე ალექსანდერე სილაგაძეს (პ/ნ 01024026775) საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად მისვლის დროს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სამაგიდო ვერსიაში მისთვის განკუთვნილ გრაფაში დახვდა უცხო ხელმოწერა მისი ინიციალებით. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მითითებული ფაქტები წარმოადგენს კანონდარღვევას და ითხოვდა, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულ დეპარტამენტში წარმოდგენილი №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის აკაკი ხუსკივაძის ახსნა-განმარტებიდან დადგინდა, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს 19:52 წუთზე მას დაურეკა №79 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და აუხსნა, რომ 2 დამკვირვებელი საუბნო საარჩევნო კომისიას ხელს უშლიდა მუშაობაში და არ ემორჩილებოდა უბნის დატოვების შესახებ კომისიის მოთხოვნას. აკაკი ხუსკივაძის №79 საარჩევნო უბანზე მისვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ალექსანდრე სილაგაძე და მიხეილ დევდარიანი ხმამაღლა კამათობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან. დამკვირვებლებმა აკაკი ხუსკივაძეს განუმარტეს, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის სამაგიდო ვერსიაში მისთვის განკუთვნილ გრაფაში ალექსანდრე სილაგაძეს დახვდა ხელმოწერა, ამიტომ მას არ ეძლევა საკუთარი ნების გამოხატულების საშუალება რის გამოც ის წერდა საჩივარს.

№79 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა აკაკი ხუსკივაძეს განუმარტეს, რომ ალექსანდრე სილაგაძე როგორც დამკვირვებელი შევიდა საარჩევნო უბანზე, რის გამოც ამომჩეველთა ნაკადის მარეგულირებელთან არ გაუვლია მარკირების შემოწმების პროცედურა, ხოლო შემდეგ შეინახა დამკვირვებლის მოწმობა და რეგისტრატორთან წარსდგა როგორც ამომრჩეველი. რეგისტრატორმა ალექსანდრე სილაგაძეს, მიუთითა, რომ მან როგორც ამომრჩეველმა უკვე მიიღო არჩევნებში მონაწილება და დღის განმავლობაში მისცა ხმა, შესაბამისად მას უფლება აღარ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ალექსანდრე სილაგაძის შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ხელზე მარკირების კვალი აღენიშნებოდა. მითითებული ფაქტი დასტურდება №79 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ხათუნა ახობაძის ახსნა-განმარტებითაც რომელსაც აგრეთვე ადასტურებენ №79 საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრები და დამკვირვებლები.

მარკირების ხელახალი შემოწმების დასრულების შემდეგ ალექსანდრე სილაგაძემ როგორც დამკვირვებელმა მოითხოვა დაწყებული საჩივრის დასრულება, თუმცა იმავე ორგანიზაციის დამკვირვებელს მიხეილ დევდარიანს, რომელიც ხელს უშლიდა საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობას, აკაკი ხუსკივაძემ მოუწოდა რომ დაეტოვებინა საარჩევნო უბანი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – ადგილობრივი დამკვირვებლის – მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა”.

მითითებული სამართლის ნორმის შინაარსიდან ცალსახაა, რომ საარჩევნო უბანში მიმდინარე პროცესს შეიძლება აკვირდებოდეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მხოლოდ ერთი დამკვირვებელი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში 2013 წლის 27 ოქტომბერს №3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის №79 საუბნო საარჩევნო უბანზე ერთდროულად იმყოფებოდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა” 2 დამკვირვებელი - მიხეილ დევდარიანი და ალექსანდრე სილაგაძე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას. ამდენად, ის ფაქტი, რომ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა” დამკვირვებელს მიხეილ დევდარიანს დაატოვებინეს №79 საუბნო საარჩევნო უბანი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კანონდარღვევა.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას, იმასთან დაკავშირებით, რომ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მას უკანონოდ დაატოვებინა უბნის ტერიტორია და ამიტომ განცხადებაში მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით ვერ შეძლო საჩივრის დაწერა. საქმის მასალების შესწავლის შედეგად აგრეთვე დგინდება, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს ალექსანდერე სილაგაძემ განცხადებით მიმართა №79 საუბნო საარჩევნო კომისიას, სადაც აღნიშნა, რომ საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად მისვლის დროს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სამაგიდო ვერსიაში მისთვის განკუთვნილ გრაფაში დახვდა უცხო ხელმოწერა მისი ინიციალებით. მითითებული საჩივარი გატარებულია №79 საუბნო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ახალი თაობა-ახალი ინიციატივა” თავმჯდომარის მიხეილ დევდარიანის განცხადებები №3 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ კანონით გათვალისწინებული სანქციების გატარებისა და განცხადებაში მითითებული სხვა ფაქტებისადმი შემდგომი რეაგირების მოთხოვნის თაობაზე არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

14. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ჯემალ შარაძის დაკავებული თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენების შესახებ

2013 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” განცხადება(რეგისტ. №1/2860).

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 18 ოქტომბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ შარაძე დაკავებული თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადააყენეს. განმცხადებლის აზრით, დარღვეულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებისას არ იქნა გათვალისწინებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი საკადრო

ცვლილებების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არ ჰქონდა უფლება იმპიჩმენტის წესით გადაეყენებინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ითხოვს საკრებულოს წევრების დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს საკრებულოს წევრებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს და მოითხოვეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა 2013 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი დღის წესრიგით: 1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ჯემალ შარაძის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ; 2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეობიდან ჯემალ შარაძის გადაყენების შესახებ. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 წევრის მოთხოვნა რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ აღნიშნული დღის წესრიგით რიგგარეშე სხდომის მოწვევა არ შეესაბამებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, ასევე უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ელგუჯა ნაკაშიძეს ასევე ეცნობა, რომ საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს უფლება ჰქონდა, იმავე დღის წესრიგით მოეთხოვა რიგგარეშე სხდომა, რათა შემდგომ საკრებულოს აპარატს უზრუნველეყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის გვერდის ავლით მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს მოწვეულ იქნა სხდომა (იხ. სხდომის ოქმი №01-06/19). სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 10 წევრი, რომლებმაც ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილებები ჯემალ შარაძის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და ჯემალ შარაძის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სხდომის ჩატარების შემდგომ, 18 ოქტომბერს, საკრებულოს წევრებმა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბადრი დიასამიძეს წარუდგინეს 2013 წლის 18 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის ოქმი და განკარგულებების პროექტები და ითხოვეს შესაბამისი ზომების გატარება. იმის გამო, რომ საკრებულოს წევრების მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში იყო მთელი რიგი უზუსტობები და კანონთან შეუსაბამობები (მაგ: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები არის საჯარო და სხდომების საჯაროობას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, საკრებულოს თავმჯდომარის ან უფლებამოსილი პირის მითითებით საკრებულოს წევრები რეგისტრაციას გადიან ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების სხდომაზე დასწრების სარეგისტრაციო ჟურნალში, საკრებულოს სხდომებს და სხდომაზე განსახილველ ინდივიდუალური ან ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს ამზადებს და რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი და ა.შ.) საკრებულოს აპარატმა ვერ შეძლო აღნიშნული დოკუმენტაციის რეგისტრაციაში გატარება. შესაბამისად, საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ სხდომის ოქმსა და განკარგულებებს იურიდიული ძალა არ მიუღია.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

მართალია, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის გვერდის ავლით ჩატარდა რიგგარეშე სხდომა და მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა შეუსაბამო გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იურიდიული ძალა არ შეუძენია გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია (სხდომის ოქმი და განკარგულებები) რეგისტრაციაში არ გატარდა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ისინი არ იქნა ხელმოწერილი. ამდენად, განსხვავებული სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა, ანუ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ შარაძე დღემდე ინარჩუნებს დაკავებულ თანამდებობას. აღნიშნულს ადასტურებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის №01-28/105 წერილი.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” 2013 წლის 23 ოქტომბრის განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების დაჯარიმების შესახებ არ დააკმაყოფილა სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

16. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების განცხადება სააგიტაციო მასალის განთავსების შესახებ.

2013 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების განცხადება(რეგისტ.№1/2838). განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ჯგუფის წევრებმა განახორციელეს მონიტორინგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში იმის დასადგენად თუ რამდენად სწორად სრულდებოდა ცესკოს მიერ №75/2012 განკარგულებით დადგენილი წესები.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ სააგიტაციო მასალები განთავსებული იყო ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცების საცხოვრებელ კორპუსში. სასჯელაღსრულების თანამშრომელთა განმარტებით კი სადაც მოთავსებულნი იყვნენ ქალი ბრალდებული/მსჯავრდებულები სააგიტაციო მასალა არ იყო ხელმისაწვდომი.

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მოთხოვნილი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან რეაგირება და აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუყოვნებლივ გადაუგზავნა საქმის მასალები სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2013 წლის 25 ოქტომბრის წერილიდან გამოირკვა, რომ ქალ მსჯავდებულთა საცხოვრებელ შენობაში სააგიტაციო მასალა განთავსდა. ამის შესახებ ცესკომ თავის მხრივ აცნობა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრებს.

მოქალაქეთა განცხადება/საჩივრები

1. მოქალაქე ზურაბ კაკალაძის 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ

2013 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (რეგისტრაციის №1/2402) შემოვიდა მოქალაქე ზურაბ კაკალაძის განცხადება.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადება ჰქონდა შეტანილი წალკის საოლქო საარჩევნო კომისიაში. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ კონკურსი არ ჩატარებულა და წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სურვილისამებრ მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა. მისი აზრით, აღნიშნული ქმედებით დაირღვა საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნები და მოითხოვა საკითხის შესწავლა.

ცესკოში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განცხადებაში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით, №25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოთხოვილ იქნა საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ცესკომ მიიჩნია, რომ ზურაბ კაკალაძის განცხადება განუხილველად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 24-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 25-ე მუხლის მე-11 პუნქტით რეგლამენტირებულია საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თითოეულ კანდიდატს ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 8 ივლისის №21/2013 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის მორიგი არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცედურებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი. ხსენებული წესის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ცხრილის სახით ურიგდებათ კონკურსანტების ჩამონათვალი და კომისიის თითოეული წევრი ცხრილში შემოხაზავს იმ კანდიდატის/კანდიდატების სახელსა და გვარს, რომელსაც ის აძლევს ხმას.

№25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის 2013 წლის 11 სექტემბრის №4 სხდომის ოქმიდან გამოირკვა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა. კომისიის წევრებმა №25 წალკის ოლქში შემავალ 45 უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს უყარეს კენჭი. ზურაბ კაკალაძის კანდიდატურის განხილვისას, მის არჩევას ხმა მისცა კომისიის მხოლოდ ორმა წევრმა. თუ რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეს კომისიის წევრებმა, ეს კომისიისათვის არ არის ცნობილი, გამომდინარე იქედან, რომ საარჩევნო კომისიის წევრი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” მე-8 მუხლის 21-ე პუნქტით დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონსა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს. საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

№25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2013 წლის 10 სექტემბერს მიღებულ იქნა №6/2013 განკარგულება „საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ”. აღნიშნული განკარგულებით №25 წალკის

საარჩევნო ოლქში შემავალ 45 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ კანდიდატები დანართის შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი ყველა ვადა საარჩევნო პერიოდში, მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით). სიტყვები „მოცემული დღიდან „N” დღეში, გულისხმობს დღეთა ათვლას მითითებული დღის მომდევნო დღიდან. წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის ზემოაღნიშნული განკარგულება მიღებულ იქნა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, აღნიშნული განკარგულების საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი გასაჩივრების ერთდღიანი ვადა აითვლება 11 სექტემბრიდან და დასრულდება 11 სექტემბერს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ამ მუხლით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 78-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო საჩივრით/სარჩელით მიმართონ საარჩევნო კომისიას/სასამართლოს. ესენია: საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის ზემოაღნიშნული განკარგულება გასაჩივრების უფლების მქონე ჩამოთვლილ პირთა მიერ არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, იგი შესულია კანონიერ ძალაში. ზურაბ კაკალაძე, საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი, საჩივრით/სარჩელით მიმართოს საარჩევნო კომისიას/სასამართლოს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-8 მუხლის შესაბამისად კი, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოქალაქე ზურაბ კაკალაძის 2013 წლის 10 ოქტომბრის განცხადება დატოვა განუხილველი მისი შეტანის ვადისა და წესის დარღვევის გამო.

დანართი 4

ინფორმაცია 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესების შესახებ

ცესკოს მონაწილეობით არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე გაიმართა 13 სასამართლო პროცესი

№1

საქმის № 3/2473-13

12.07.2013

მოსარჩელე: ტარიელ ხვედელიძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №17/2013 "საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის, მისი წარმომადგენლისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" განკარგულების ბათილად ცნობა, რითაც, ორმაგი მოქალაქეობის გამო, უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ტარიელ ხვედელიძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ.ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1710

№2

საქმის № 3/2610-13

22.07.2013

მოსარჩელე: სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, წარმომადგენელი გია ჩხიკვაძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: პოლიტიკურ პარტიას, ცესკოს 2013 წლის 18 ივლისის №01-03/915 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, უარი ეთქვა საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გატარებაზე, ვინაიდან პარტიას არ ჰქონდა გავლილი რეგისტრაცია ცესკოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლის გია ჩხიკვაძის სარჩელი, მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. .

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1717

საქმის №3ბ/956-13

25.07.2013

აპელანტი: სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, წარმომადგენელი გია ჩხიკვაძე;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გატარება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1719

№3

საქმის №3/2725-13

30.07.2013

მოსარჩელე: ავთანდილ ფილაური;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 26 ივლისის №34/2013 ”საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების, წარმომადგენლისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ” განკარგულების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება; უარი ეთქვა რადგან ერთი და იგივე კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი ორ საინიციატივო ჯგუფს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ავთანდილ ფილაურის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დარჩა განუხილველი. .

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1720

საქმის №3ბ/985-13

31.07.2013

კერძო საჩივრის ავტორი: ავთანდილ ფილაური;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 ივლისის განჩინების გაუქმება, უარი ეთქვა რადგან ერთი და იგივე კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი ორ საინიციატივო ჯგუფს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმულიhttp://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1721

№4

საქმის №3/2920-13

12.08.2013

კერძო საჩივრის ავტორი: ტარიელ ხვედელიძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 9 აგვისტოს №47/2013 "საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის, მისი წარმომადგენლისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" განკარგულების ბათილად ცნობა; უარი ეთქვა წარმოდგენილი არასრული დოკუმენტაციის და ორმაგი მოქალაქეობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ტარიელ ხვედელიძის კერძო საჩივარი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დარჩა განუხილველი.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1722

საქმის №3ბ/1036-13

14.08.2013

კერძო საჩივრის ავტორი: ტარიელ ხვედელიძე;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 9 აგვისტოს №47/2013 განკარგულების ბათილად ცნობა;

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლს 12 აგვისტოს განჩინების გაუქმება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება: ტარიელ ხვედელიძის კერძო საჩივარი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1724

№5

საქმის №3/3216-13

05.09.2013

მოსარჩელე: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი ჩიხლაძის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში ლავრენტი სუხიშვილი;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 2 სექტემბრის №63/2013 განკარგულების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება; მოსარჩელეს უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე, ვინაიდან მხარდამჭერთა ხელმოწერები იყო დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ცესკოში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი ჩიხლაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ლავრენტი სუხიშვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1730

№6

საქმის №3/3227-13

06.09.2013

მოსარჩელე: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წარდგენის მიზნით შექმნილი ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში გიორგი მსხილაძე და სალომე ზურაბიშვილი;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 3 სექტემბრის №64/2013 განკარგულების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის გამო, უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წარდგენის მიზნით, ცესკოში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის გიორგი მსხილაძე და სალომე ზურაბიშვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1731

საქმის №3ბ/1143-13

09.09.2013

აპელანტი: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წარდგენის მიზნით შექმნილი ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში გიორგი მსხილაძე და სალომე ზურაბიშვილი;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული 2013 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება გაუქმდება და სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1734

№7

საქმის №3/3250-13

07.09.2013

მოსარჩელე: ტარიელ ხვედელიძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 4 სექტემბრის №66/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის გამო, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ტარიელ ხვედელიძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმულიhttp://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1733

№8

საქმის №3/3317-13

12.09.2013

მოსარჩელე: მერაბ სულიაშვილი და საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში ვალერიან გოშაძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 11 სექტემბრის №80/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის გამო, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. .

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: მერაბ სულიაშვილისა და ვალერიან გოშაძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1735

საქმის №3ბ/1197-13

17.09.2013

აპელანტი: მერაბ სულიაშვილი და საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში ვალერიან გოშაძე.

მოწინააღმდეგე მხარე: ცენტრალური საარჩევნო კომისია.

დავის საგანი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 11 სექტემბრის №80/2013 განკარგულების ბათილად ცნობა;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: გასაჩივრების ვადის გასვლის გამო დარჩა განუხილველი.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1742

№9

საქმის №3/3328-13

13.09.2013

მოსარჩელე: ზურაბ წიწუაშვილი, გია კორახაშვილი;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 12 სექტემბრის №295/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ზურაბ წიწუაშვილისა და გია კორახაშვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1737

საქმის №3ბ/1190-13

16.09.2013

აპელანტი: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით შექმნილი ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ცესკოში ზურაბ წიწუაშვილი, გია კორახაშვილი.

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება გაუქმდება და სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1739

№10

საქმის №3/3331-13

13.09.2013

მოსარჩელე: ავთანდილ ფილაური;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 11 სექტემბრის №82/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, უარი ეთქვა, ვინაიდან ორ საინიციატივო ჯგუფს ერთი და იგივე კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ავთანდილ ფილაურის სარჩელი მოპასუხე საქართველოს საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1738

საქმის №3ბ/1198-13

17.09.2013

აპელანტი: ავთანდილ ფილაური;

მოწინააღმდეგე მხარე: ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: ბათილად იქნეს ცნობილი 2013 წლის 14 სექტემბრის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, საქმე №3/3331-13 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, არსებობდა ერთი და იგივე კანდიდატის წერილობითი თანხმობა ორი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენაზე, რის გამოც აპელანტს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1743

№11

საქმის №3/3327-13

13.09.2013

მოსარჩელე: რევაზ ფახურიძე;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 12 სექტემბრის №85/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, საინიციატივო ჯგუფს და წარდგენილ კანდიდატს უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე, არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის და ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: რევაზ ფახურიძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1736

№12

საქმის №3/3346-13

16.09.2013

მოსარჩელე: ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრები - თამარ გუგუნავა, გვანჯი მანია, უშანგი ქადაგიშვილი, აკაკი გასვიანი, გულნარა ბესელია და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატი ნერსე ბაცაში;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 12 სექტემბრის №87/2013 განკარგულების ბათილად ცნობა, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრები - თამარ გუგუნავა, გვანჯი მანია, უშანგი ქადაგიშვილი, აკაკი გასვიანი, გულნარა ბესელია და ნერსე

ბაცაშის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დარჩა განუხილველი.

იხ. ბმული http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1741

საქმის №3/3346-13

16.09.2013

აპელანტი: ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრები - თამარ გუგუნავა, გვანჯი მანია, უშანგი ქადაგიშვილი, აკაკი გასვიანი, გულნარა ბესელია და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატი ნერსე ბაცაში;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდება და სააპელაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

№13

საქმის №3/4002-13

03.11.2013

მოსარჩელე: ააიპ ,,ახალი თაობა -ახალი ინიციატივა"

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათოლად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

იხ. ბმული: http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=2178

№14

საქმის №3/4182-13

15.11.2013

მოსარჩელე: საქართველოს ლეიბორისტული პარტია;

მოპასუხე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 12 ნოემბრის №498/2013 განკარგულების, 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ, ბათილად ცნობა და ხმების ხელახლა გადათვლა;

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება: სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქმის №3ბ/1444-13

17.11.2013

აპელანტი: საქართველოს ლეიბორისტული პარტია;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდება. ასევე გაუქმდეს ყველა განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე და შუამდგომლობები თავიდან იქნეს განხილული;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაწილეობით არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე გაიმართა 6 სასამართლო პროცესი

№3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია

1. მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
მოპასუხე: №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება №28 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის;
გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

2. მოსარცელე: ააიპ "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა";

მოპასუხე: №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის №55/2013 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების დავალება;
გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

№12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია

მოსარჩელი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
მოპასუხე: №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება №1, №4, №24, №36 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის;
გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.
იხ. ბმული: http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=2194

№22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია

მოსარჩელე: ააიპ კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო";
მოპასუხე: №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და №30, №33 და №72 საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადათვლა;
გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდა.
იხ. ბმული: http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=2201

№54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია

მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებელი ლევან ვეფხვაძე;
მოპაუხე- №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება №7 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისათვის;
გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდა.
იხ. ბმული: http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=2202

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია

მოსარჩელე: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
მოპასუხე: №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;
დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; მოპასუხე მხარისთვის საჩივრის განხილვის დავალდებულება და შესაბამისი აქტის გამოცემა;
გადაწყვეტილება: სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.
იხ. ბმული: http://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=1860

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გაიმართა 13 სასამართლო პროცესი (იხ. დანართი 5)

№1

ოქმის შემდგენი: №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: სოფ. ნანიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბესიკ ზირაქიშვილი;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№2

ოქმის შემდგენი: №13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს-სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი ლია ბეჟაშვილი
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№3

ოქმის შემდგენი: №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის,,მწვანე დედამიწა" დამკვირვებელი, ნინო მიდელაშვილი
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№4

ოქმის შემდგენი: №46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვალოდია ქურასბედიანი;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№5

ოქმის შემდგენი: №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო ასოციაცია ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

აპელანტი: №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
მოწინააღმდეგე მხარე: საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო ასოციაცია ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე;
გასაჩივრებული დადგენილება: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის დადგენილება;
გადაწყვეტილება: №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის საჩივარი დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო ასოციაცია ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' მიმართ წარმოებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის დადგენილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

№6
ოქმის შემდგენი: №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს პოლიციელი დიმიტრი ბარამია;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
№7
ოქმის შემდგენი:№67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს პოლიციელი მირიან ქარდავა;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№8
ოქმის შემდგენი: №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა თავზერიძე პ/გ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
№9
ოქმის შემდგენი:№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - გრიგოლ რუხაძე პ/გ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
№10
ოქმის შემდგენი:№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი -ქეთევან ჯაკობია პ/გ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
№11
ოქმის შემდგენი:№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი პეტრე როყვა -საქართველოს რესპუბლიკური პარტია
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
№12
ოქმის შემდგენი:№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - ნუკრი თოშხუა - საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;
გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

№13

ოქმის შემდგენი:№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - ომარ ზენაიშვილი - საქართველოს რესპუბლიკური პარტია

დავის საგანი: ადმინისტრაციული სახდელის დადება;

გადაწყვეტილება: შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

დანართი 5

ინფორმაცია ცესკოში შემოსული განცხადება/საჩივრების შესახებ

	პოლიტიკური პარტია		**არასამთავრობო ორგანიზაცია**		**ფიზიკური პირი(საქართველოს პარლამენტის წევრი)**	**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი**	**ჯამი**
დაკმაყოფილდა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	8	პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრები	1	1	1	**14**
			ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის	1			
			სამოქალაქო ინიციატივა სამართლიანი არჩევნები	1			
			საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	1			
არ დაკმაყოფილდა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	5	ახალი თაობა - ახალი ინიციატივა	1			**14**
	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”	2	მწვანე დედამიწა	1			
			საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	1			
			საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი	1			
			საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	2			
			მრავალეროვანი საქართველო	1			

დანართი 5

ინფორმაცია ცესკოში შემოსული განცხადება/საჩივრების შესახებ

ნაწილობრივ დაკმაყოფილ და	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	7	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	1			**11**
			ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია	2			
			თავისუფალი ზონა	1			
განუხილველი დარჩა			საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	1	1	1	**3**
გათხოვილ იქნა უკან	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1					**1**
სულ		**23**		**16**	**2**	**2**	**43**

დანართი 6

ინფორმაცია საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრების შესახებ

	პოლიტიკური პარტია		**არასამთავრობო ორგანიზაცია**		**ფიზიკურ პირი**	**საუბნო/საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი**	**ჯამი**
დაკმაყოფილდა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	21	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	37	4	1	**122**
	დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო	7	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	4			
	ქართული ოცნება	1	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	42			
			მრავალეროვანი საქართველო	2			
			მომავლის არჩევანი	2			
			განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი	1			

არ დაკმაყოფილდა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	22	ახალი თაობა - ახალი ინიციატივა	1	4	4	**141**
			სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	12			
	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”	15	ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია	2			
			საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	29			
	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	1	მრავალეროვანი საქართველო	36			
			საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	10			
	ქართული ოცნება	1	ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის	1			
			ახალი თაობა თავისუფალი საქართველო	2			
			სიმართლისა და სამართლის ჩაგრულთა და პატიმარტთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია	1			

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	2	3	4	**59**
	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	22			
			მრავალეროვანი საქართველო	9			
			მომავლის არჩევანი	1			
	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”	3	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	10			
			ახალი თაობა დემოკრატიული საქართველო	1			
	ხალხის პარტია	1					
	ქართული ოცნება						

განუხილველი დარჩა	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	3			**43**
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	6	მრავალეროვანი საქართველო	9			
			საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	7			
	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”	3	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	7			
			საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი	3			
			განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი	1			
			ახალი თაობა- დემოკრატიული საქართველო				
	ხალხის პარტია		სამოქალაქო ინიციატივა სამართლიანი არჩევნები	1			
			ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის	1			
			ახალი თაობა თავისუფალი საქართველო	1			

გათხოვილ იქნა უკან			საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	2			**4**
	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1					
	ქართული ოცნება	1					
გადაეგზავნა შესაბამის ორგანოებს	”დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო”	3			1		**5**
	ქართული ოცნება	1					
სულ		**91**		**262**	**12**	**9**	**374**

დანართი 7

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში არსებული ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე

№	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	ოქმის შედგენის თარიღი	სამართალდარღვევა (მუხლი, ჯარიმის ოდენობა)	სამართალდამრღვევი (სახელი, გვარი, თანამდებობა)	შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილება	შენიშვნა
1.	№60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	22.09.2013	79-ე მუხლი, 2 000 ლარი	საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო ასოციაცია ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის'' თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე	ოქმი გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	ოზურგეთის რაიონული სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 17.10.2013. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის საჩივარი და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

2.	№13 სიღნაღის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	19.10.2013	79-ე და 88-ე მუხლები 2 000 ლარი	საქ. განათ. და მეცნიერების სამინისტროს-სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი ლია ბეჟაშვილი	ოქმი გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
3.	№67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	21.10.2013	79-ე,მუხლი 2 000 ლარი	სამხარეოს მთავარი სამმართველოს პოლიციელი დიმიტრი ბარამია	ოქმი გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
4.	№67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	21.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	სამხარეოს მთავარი სამმართველოს პოლიციელი მირიან ქარდავა	ოქმი გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
5.	№46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	22.10.2013	88-ე მუხლი 2 000 ლარი	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვალოდია ქურასბედიანი	ოქმი გადაეგზავნა ცაგერიდ რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
6.	№12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	02.11.2013	88-ე, მუხლი 2 000 ლარი	სოფ. ნანიანის ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებული ბესიკ ზირაქიშვილი	ოქმი გადაეგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
7.	№32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	05.11.2013	92-ე მუხლი 500 ლარი	ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ,,მწვანე დედამიწა” დამკვირვებელი, ნინო მიდელაშვილი	ოქმი გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
8.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013.	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა თავბერიძე - პარტია "ქართული ოცნება -	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ	

				დემოკრატიული საქართველო’’	არ დაჯარიმდა	
9.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - გრიგოლ რუხაძე - პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო’’	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
10.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი -ქეთევან ჯაკობია - პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო’’	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
11.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი პეტრე როყვა - ,,საქართველოს რესპუბლიკური პარტია’’	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
12.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - ნუკრი თოშხუა - ,,საქართველოს რესპუბლიკური პარტია’’	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	
13.	№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	31.10.2013	79-ე მუხლი 2 000 ლარი	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი - ომარ ზენაიშვილი - ,,საქართველოს რესპუბლიკური პარტია’’	ოქმი გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სასამართლოს მიერ არ დაჯარიმდა	

დანართი 8

საპრეზიდენტო არჩევნების საკასო ხარჯები

2013 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით

სულ	საპრეზიდენტო არჩევნები (06 02 01) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგი (06 02 02) სატელევიზიო რეკლამის დაფინანსება (06 04 03) სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება (06 04 04)	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	ნაშთი
		34,362,422	32,635,545	1,726,877
ხარჯის კოდი	06 02 01 - არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	30,264,171	28,778,486	1,485,685
21	შრომის ანაზღაურება	19,656,500	19,112,832	543,668
21111	თანამდებობრივი სარგო		17,673,998	
	აპარატის თანამშრომელთა ხელფასები		*1,075,667*	
	საოლქო კომისიების ხელფასები		*4,854,703*	
	საუბნო კომისიების ხელფასები		*11,695,439*	
	ავღანეთში შექმნილი საუბნო კომისიების ხელფასები		*3,525*	
	საზღვარგარეთის საუბნო კომისიების ხელფასები		*44,664*	
21113	პრემია		17,850	
	ავღანეთის საუბნო კომისიების წევრების პრემია		*17,850*	
21114	დანამატი		1,420,984	
	აპარატის დანამატი		*1,172,324*	
	საოლქო კომისიების დანამატი		*248,660*	
22	საქონელი და მომსახურება	5,122,471	4,262,764	859,707
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		1,044,672	
222	მივლინების ხარჯი		44,569	
223	ოფისის ხარჯები		1,560,359	
	საკანცელარიო საქონელი		**497,905**	
	ბიულეტენებისთვის 39 ტონა ოფსეტური ქაღალდი		*301,630*	
	ბრენდირებული პროდუქცია		*109,491*	
	სამაგიდო სიისთვის საარჩევნო სახაზავების შეძენა		*27,650*	
	საბეჭდი ქაღალდის შეძენა		*32,735*	
	ბეჭდებისთვის სამელნე ბალიშების შეძენა		*17,850*	
	სხვადასხვა საკანცელარიო საქონელი		*8,549*	
	სასტამბო ხარჯი		***356,636***	
	ბიულეტენების ბეჭდვა		*289,683*	
	საინფორმაციო სტიკერების ბეჭდვა		*38,858*	
	ტრენინგისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვა		*17,015*	
	უსინათლო ამომრჩევლისთვის ბიულეტენების ჩარჩო		*4,800*	
	საუბნო კომისიების აბრებისა დამზადება		*4,480*	
	სატიტულო ბლანკების ბეჭდვა		*1,800*	
	საოფისე ტექნიკა		***121,848***	

	კარტრიჯის ტონერი		71,870	
	ცესკოს ვებ-გვერდის განახლება-მოდერნიზება		11,446	
	კარტრიჯიების დამუხტვა		9,675	
	კომპიუტერის სხვადასხვა ნაწილები		9,210	
	ასლგადამღები აპარატების შეკეთება		9,128	
	კარტრიჯები		5,792	
	გარე მეხსიერება		1,885	
	ყურსასმენები		1,283	
	სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა		1,559	
	საოფისე ინვენტარი		**191,325**	
	საარჩევნო ყუთები		71,423	
	საარჩევნო კაბინის ნაწილები		42,435	
	რეგისტრატორის ბეჭდები, კლიშეები, შტამპები		39,325	
	საარჩევნო ყუთების განბაჟება		12,872	
	საოფისე ავეჯის შეძენა		8,290	
	თვითწებვადი ლუქები საარჩევნო ყუთებისთვის		3,699	
	ცესკოს ლოგოტიპიანი ჭიქები		3,500	
	სხვა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი		2,821	
	უწყვეტი კვების წყაროს ელემენტები		1,938	
	სხვა საოფისე ინვენტარი		5,023	
	საფოსტო მომსახურების ხარჯი		**90**	
	გზავნილის ხარჯი		90	
	ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალები		**157,919**	
	მარკირების სითხე		118,992	
	პოლიეთილენის დასალუქი პარკები		15,950	
	დეტექტორის ელემენტები		11,274	
	დეტექტორები		9,995	
	სხვა მცირეფასიანი ოფისისათვის საჭირო საგნები		1,708	
	კავშირგაბმულობის ხარჯი		**59,988**	
	ელექტროენერგიის ხარჯი		**44,470**	
	წყლის ხარჯი		**23,479**	
	ბუნებრივი აირის ხარჯი		**5,000**	
	შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტი		**100,040**	
	ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადის მოწყობა		93,690	
	მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება		3,350	
	საკაბელო ტელევიზიის მონტაჟი		3,000	
	შენობა-ნაგებობების დასუფთავება		**1,660**	
	მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება		960	
	დასუფთავების მოსაკრებელი		700	

2204	წარმომადგენლობითი ხარჯები		89,105	
	არჩევნებისთვის სტუმრების მიღების ხარჯები		70,685	
	ღონისძიებების ხარჯი		18,420	
2207	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი		67,891	
	საუბნო კომისიის წევრების უნიფორმები		36,950	
	ლოგოტიპიანი მაისურები		25,170	
	ფარდა-ჟალუზები		5,771	
2208	სატრანსპორტო ხარჯები		175,660	
	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა-გადაყვანა)		***169,600***	
	თვითმფრინავის დაქირავება - ავღანეთის რეისი		99,000	
	მძღოლების დაქირავება		43,688	
	ინვენტარის გადაგზავნა საზღვარგარეთის უბნებისთვის		26,389	
	სატვირთო და სატერმინალო მომსახურება		523	
	საწვავის ხარჯი		***6,060***	
	ბენზინის შესყიდვა		6,060	
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		1,280,508	
	ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი		***873***	
	ტრენინგის ხარჯი		***2,500***	
	ცხელი ხაზის თანამშრომელთა ტრენინგი		2,500	
	რეკლამის ხარჯი		***1,013,329***	
	ტელეარხებზე სარეკლამო რგოლების განთავსება		569,446	
	სარეკლამო ბანერების განთავსება ბილბორდებზე		89,449	
	რეკლამა ინტერნეტ სივრცეში		81,627	
	რეკლამა რადიოში		78,471	
	დოკუმენტური ფილმის დამზადება		72,000	
	სარეკლამო-საიმიჯო რგოლების დამზადება		54,653	
	თბილისის მეტროსადგურებში რეკლამის გავრცელება		29,989	
	რეკლამა გაზეთებში		18,259	
	ბრენდირებული პროდუქცია		15,020	
	სხვა დანარჩენი რეკლამის ხარჯი		4,415	
	კონფერენციების ორგანიზება		***2,727***	
	დარბაზის დაქირავება		2,727	
	თარგმნის მომსახურება		***36,287***	
	დოკუმენტების თარგმნა		22,887	
	სურდო თარგმანი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე		8,600	
	სინქრონული თარგმნით მომსახურება		4,800	
	კვლევის ხარჯი		***87,088***	
	საარჩევნო ფსიქოლოგიის საერთაშორისო ცენტრის მომსახურება		52,515	
	ბეჭდური მედიის მედიამონიტორინგი		18,725	
	საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით განხორციელებული აქტივობების ხარისხობრივი კვლევა		15,848	

	სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯი		*57,879*	
	ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის ფართია იჯარა		*28,500*	
	კომპიუტერული სისტემის ტექნიკური ზედამხედველობა		*4,500*	
	ოპერატორების დაქირავება - მონაცემთა გაზაში შედეგების შეყვანა		*4,500*	
	შემაჯამებელი ოქმებისა, ბიულეტენების შაბლონების, ამომრჩევლის მონაცემთა ბარათების სტამბებისათვის დასაბეჭდი ვარიანტის მომზადება		*4,000*	
	სმს სერვისის პროგრამული უზრუნველყოფა		*4,000*	
	საზღვარგარეთის უბნებისთვის ფართის დაქირავება		*3,330*	
	ფოტოების ბეჭდვა		*2,620*	
	საზღვარგარეთ საუბნო კომისიისთვის ინვენტარის დაქირავება		*2,200*	
	სერვერის კონფიგურირება		*1,549*	
	ცესკოს შენობის ბრიფინგების დარბაზის არქიტექტურული პროექტის შედგენა		*1,500*	
	სანიტარული წერტილის განთავსება ზოგიერთ საარჩევნო უბანზე		*1,180*	
	საგამოფენო ღონისძიებები		***3,955***	
	გამოფენის მოწყობა		*3,955*	
	შენობა-ნაგებობების დაცვა		***75,869***	
	ცესკოს ადმინისტრაციული შენობის დაცვა		*71,069*	
	ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის დაცვა		*4,800*	
28	სხვა ხარჯები	5,315,200	5,239,945	75,255
	საოლქო საარჩევნო კომისიების დაფინანსება		*2,236,793*	
	სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ხარჯების კომპენსაცია (რომელთაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10% და მეტი)			
	"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - დავით ბაქრაძე		*1,000,000*	
	"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" - ნინო ბურჯანაძე		*1,000,000*	
	"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - გიორგი მარგველაშვილი		*1,000,000*	
	მოსაკრებლები		*3,152*	
31111	არაფინანსური აქტივები	170,000	162,946	7,054
	ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის მოწყობა		*78,876*	
	საოფისე ტექნიკა		*40,670*	
	ავტომატური ხმოვანი/სმს საინფორმაციო სამსახურის ფუნქციონირების პროგრამული პაკეტი		*22,500*	
	კონდიციონერების შეძენა		*9,730*	

	საოფისე ავეჯის შეძენა		6,270	
	პროექტორის შეძენა სათათბირო დარბაზისთვის		4,400	
	წყლის მრიცხველის მონტაჟი		500	
	06 02 02 -არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	716,141	714,948	1,193
21	შრომის ანაზღაურება	206,980	206,980	
21111	თანამდებობრივი სარგო		69,029	
21113	პრემია		12,911	
21114	დანამატი		125,040	
22	საქონელი და მომსახურება	444,713	443,520	1,193
221	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		208,797	
222	მივლინება		3,675	
223	ოფისის ხარჯები		183,032	
	საკანცელარიო საქონელი		**3,254**	
	სასტამბო ხარჯი		**96,642**	
	ტრენინგებისთვის სახელმძღვანელოების ბეჭდვა		76,609	
	ტრენინგებისთვის ტესტების ბეჭდვა		8,617	
	ამომრჩეველთა სამახსოვრო ფლაერების ბეჭდვა		11,416	
	საოფისე ტექნიკა		**66,973**	
	კარტრიჯები და ტონერები		50,339	
	ოფისისათვის საჭირო საგნები და მასალები		10,520	
	სტამბის პრინტერის შეკეთება		6,114	
	საფოსტო მომსახურების ხარჯი		**15,963**	
	საკანცელარიო საქონლის, სახელმძღვანელოების და ინვენტარის დარიგება რეგიონებში		15,963	
	შენობა-ნაგებობების დასუფთავება		**200**	
2207	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი		4,764	
	ლოგოტიპიანი მაისურები		4,764	
2208	სატრანსპორტო ხარჯები		8,771	
	ავტომანქანის მიმდინარე შეკეთება		2,925	
	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა-გადაყვანა)		5,846	
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		34,481	
	თარგმნის მომსახურება		1,123	
	ტრენინგები რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის		2,797	
	ტრენინგები საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების) წარმომადგენლებისთვის		15,805	
	ტრენინგები ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის		2,467	
	ღონისძიების ხარჯი - პროექტი "ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი"		6,739	
	ჩატვირთვა-გადატვირთვის მომსახურება		1,250	
	ტენდერის ხარჯი		550	
	სასწავლო ფილმის ჩაწერის მომსახურება		3,750	
31111	არაფინანსური აქტივები	64,448	64,448	-
	ფერადი პრინტერის შეძენა		50,000	
	დიზელ-გენერატორის შეძენა		11,760	

	სასწავლო ფილმი		*2,688*	
	06 04 03 - საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის დაფინანსება	710,000	699,771	10,229
28	სხვა ხარჯები		699,771	
	პ/გ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"		*99,771*	
	პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"		*600,000*	
	06 04 04 - საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება	2,672,110	2,442,340	229,770
28	სხვა ხარჯები		2,442,340	
	მპგ "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"		*377,250*	
	მპგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"		*351,150*	
	მპგ "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"		*357,365*	
	მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის		*317,075*	
	პგ "ხალხის პარტია"		*279,400*	
	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"		*384,150*	
	მპგ "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"		*375,950*	

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების
მონიტორინგის ჯგუფის წევრების

ნინო გოგუაძის, შორენა ხორბალაძის და ემზარ კაკულიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მონიტორინგი განხორციელდა სასჯელაღსრულების #8 და #9 დაწესებულებებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე და სააგიტაციო მასალების განთავსების სპეციალურ ადგილებზე.

მონიტორინგი განხორციელდა სასჯელაღსრულების იმ დაწესებულებებში, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებული ინფორმაციით განთავსებული იყო სააგიტაციო მასალა.

#8 სასჯელაღსრულების დაწესებულება, საარჩევნო უბანი #115

სააგიტაციო მასლა განთავსებული იყო პატიმართა სასეირნო დერეფანში, სადაც პატიმრები ყოველდღიურად გარკვეული დროით იმყოფებოდნენ და ხელი მიუწვდებოდა ამ მასალების გაცნობაზე.

აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებული იყო მხოლოდ ორი საარჩევნო სუბიექტის - ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების - სააგიტაციო მასალა. გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა საარჩევნო სუბიექტებს სააგიტაციო მასალა ოლქისთვის არ მიუწოდებიათ.

მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის სააგიტაციო მასალების დაზიანების ფაქტები. ადმინისტრაციის განმარტებით, მასალები დააზიანეს პატიმრებმა, რის თაობაზეც ინფორმირებული იყო საოლქო კომისია და მალევე მოხდებოდა მათი ხელახლა განთავსება.

 # 9 სასჯელაღსრულების დაწესებულება, საარჩევნო უბანი #81

სააგიტაციო მასალა ასევე განთავსებული იყო პატიმართა სასეირონო დერეფანში, სადაც პატიმრები ყოველდღიურად იმყოფებოდნენ გარკვეული დროით. განთავსებული იყო

მხოლოდ ნაციონალურირ მოძრაობის კანდიდატის სააგიტაციო მასალა, ვინაიდან სხვა საარჩევნო სუბიექტებს სააგიტაციო მასალა ოლქისთვის არ მიუწოდებიათ.

#9 დაწესებულებაში მონიტორინგში მონაწილეობდნენ ჯგუფის სხვა წევრები: თამარ გაბიანი, ადგილობრივი ორგანიზაცია "საზოგადოებრივი დამცველი", ნიკოლოზ ლელუაშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი - გიორგი ლილუაშვილის წარმომადგენელი;

მონიტორინგის ჯგუფს დახმარებას უწევდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები. ჯგუფის წევრებს მუშაობის პროცესში რამე სახის დაბრკოლება არ შექმნიათ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ნინო გოგუაძე

შორენა ხორბალაძე

ემზარ კაკულია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჟვანიას

პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრების თამარ ლუკავას, მიხეილ ღოღაძის და ჟანა ასანიძის
(მის: ქ. თბილისი, მ.ქანთარიას 11ა, ადამიანის უფლებათა ცენტრი;
ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15,
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,
ტელ: 593-28-31-97; 599 60 69 77; 577 07 05 19)

ა ნ გ ა რ ი შ ი

(სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე)

2013 წლის 23 ოქტომბერს, ცესკოს მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: თამარ ლუკავამ, მიხეილ ღოღაძემ, ჟანა ასანიძემ და გიორგი გამყრელიძემ, მონიტორინგი განვახორციელეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში და გეგუთის №14 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რათა შეგვემოწმებინა - რამდენად სწორად სრულდება ცესკოს მიერ №75/2012 განკარგულებით დადგენილი წესები.
სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აღმოჩენილი იქნა ხარვეზი (ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ იყო გამოკრული სააგიტაციო მასალა), რის თაობაზეც, 2013 წლის 25 ოქტომბერს მივმართეთ ცესკოს, რათა გამოსწორებულიყო ხარვეზი. ხარვეზი აღმოიფხვრა.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონიტორინგის ჯგუფის მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო და გამოსწორებული იქნა ის ხარვეზი, რაც არსებობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სრულყოფილი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, აუცილებელია თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის. თავისუფალი არჩევნები კი აუცილებელი წინაპირობაა დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებისთვის.

დადებითად ვაფასებთ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, სააგიტაციო მასალის განთავსების წესების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, ასეთი ჯგუფები ხელს უწყობენ ჯანსაღი საარჩევნი გარემოს შექმნას.
აღნიშნულიდან გამომდინარე:

- დადებით პოზიციას გამოვხატავთ ჯგუფის არსებობასთან დაკავშირებით;
- მოგმართავთ რეკომენდაციით, მომავალში კვლავ იმუშაოს ჯგუფმა, რათა უკეთ გაკონტროლდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საარჩევნო აგიტაციის პროცესები.

პატივისცემით,
ადამიანის უფლებათა ცენტრის
იურისტი
თამარ ლუკავა

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
იურისტი
მიხეილ ღოღაძე

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო
ცენტრი
ჟანა ასანიძე

4/05/2013წ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის შედეგები

2013 წლის 23 ოქტომბერს მონიტორინგის I ჯგუფის მიერ განხორციელდა სასჯელაღსრულების #5,8, 9 და 17 დაწესებულებებში განთავსებული საარჩევნო უბნებისა და სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილების დათვალიერება. დათვალიერდა როგორც პატიმრების ხმის მიცემის ადგილი, ასევე თანამშრომელბისათვის გამოყოფილი უბნები.
დათვალერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი შედეგები.

სასჯელაღსრულების #5 დაწესებულებაში დათავლიერდა ბრალდებულთა საკნებთან არსებული სტენდები, რომლებიც განლაგებული იყო საგამოძიებო ოთახებთან. დათავლიერების შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ სტენდზე ყველა ბრალდებულს ხელი არ მუწვდებოდა. სტენდის დათვალიერება მხოლოდ შეეძლოთ იმ ბრალდებულებს, რომლებიც შეხვდებოდნენ ადვოკატს ან გამომძიებელს. დათვალიერდა ასევე სტენდები მსჯავრდებულთა საკნებთან. სტენდები მიმაგრებულია კორპუსების გასასვლელებთან (სულ 3) რომლებზეზეც ხელი მიუწვდებოდათ მსჯავრდებულებს შეუღუდავად, რადგანაც დაწესებულება არის ნახევრად ღია ტიპის.
საარჩევნო უბანი მოწყობილი იყო სტანდარტის შესაბამისად, სადაც ხმას მისცემენ როგორც ბრალდებულები, ასევე მსჯავრდებულები. აღნიშნულ უბანზე არ იყო გაკრული ხმის მიცემის პროცედურების შესახებ საინფორმაციო პლაკატი.სად-ის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ პლაკატები არ მიუწოდებია ოლქს.თუმცა ყველა ხმის უფლების მქონე პატიმარს დაურიგდა ხმის მიცემის პროცედურის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები.
დათვალიერდა ასევე #5 დაწესებულების თანამშრომლებისათვის მოწყობილი უბანი, სადაც გაკრული იყო მხოლოდ ამომრჩეველთა სიები, ხოლო ხმის მიცემის პროცედურის შესახებ საინფორმაციო პლაკატები გაკრული არ იყო. თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ პლაკატები მიწოდებული არ ყოფილა ოლქის მიერ. აღნიშნულ უბანზე სააგიტაციო მასალა ოლქებს მიწოდებული არ ჰქონდათ. უბანზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა, რომელსაც, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, არჩევნების დღეს გათიშავენ.

სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებაში დათვალიერდა საარჩევნო უბენები და სააგიტაციო მასალის განსათავსებელი ადგილი. შეტანილი იყო საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძის 3 პლაკატი და გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის 30პლაკატი და სააგიტაციო მასალები. პლაკატები გამოკრული იყო სამივე კორპუსის შესასვლელში, სადაც აღნიშნული დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე (დახურული ტიპის დაწესებულება) ყველა პატიმარს ხელი ვერ მიუწვდება. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ პლაკატების ნახვა შეეძლოთ მხოლოდ იმ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს, რომლებიც გაჰყავთ შეხვედრებზე. ამავდროულად ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, რომ ორ კორპუსზე პატიმრებმა დავით ბაქრაძის სააგიტაციო პლაკატები ჩამოხიეს.
პატიმრებისთვის განკუთვნილი საარჩევნო უბანი განლაგებული იქნება მეორე კორპუსის, მეორე სართულის დერეფანში, კიბეებთან. ვინაიდან აღნიშნულ კორპუსში იმყოფება ხმის უფლების მქონე კონტინგენტის უმეტესობა. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ უბანზე გადაიტიხრება ერთი კიბის გასასვლელი და უბანი მოეწყობა სტანდარტების შესაბამისად. პატიმრები შემოყვანილი იქნებიან დანარჩენი ორი კორპუსიდანაც. უბანზე გამოკრული იყო ამომრჩეველ პატიმართა სია, ხოლო საინფორმაციო პლაკატები მიწოდებული არ ყოფილა ოლქის მიერ.
თანამშრომელთა საარჩევნო უბანი განთავსებულია ადმინისტრაციული შენობის ერთერთ ოთახში. ამომრჩეველთა სიები და საინფორმაციო პლაკატები გაკრული იყო.
დათვალიერდა ასევე სასჯელაღსრულების #9 დაწესებულება, სადაც პატიმრებისათვის უბნად გამოყოფილია განყოფილების უფროსის კაბინეტი, ხოლო თანამშრომლებისათვის ძველ სამედიცინო პუნქტში ერთი ოთახი. უბნები სრულად იყო აღჭურვილი საინფორმაციო მასალებით.
პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის 2 პლაკატი გაკრული იყო პატიმრებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, კერძოდ სასეირნო ტერიტორიასთან.

მონიტორინგის ჯგუფმა ასევე მოინახულა და დაათვალიერა რუსთავის #17 დაწესებულების საარჩევნო უბნები, როგორც პატიმრებისათვის განკუთვნილი, ასევე თანამშრომლებისათვის. პლაკატებისათვის გამოყოფილი ადგილები იყო ყველა პატიმრისათვის ხელმისაწვდომი. მსჯავრდებულების საარჩევნო უბანი მოწყობილია ტერიტორიაზე განლაგებული სასწავლო ცენტრში, სადაც გაკრული იყოუ მხოლოდ ამომრჩეველთა სიები, ხოლო საინფორმაციო პლაკატები გაკრული არ ყოფილა. ხმის მიცემის პროცედურის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდათ ამომრჩეველ პატიმრებს.
თანამშრომლებისათვის განკუთვნილი უბანი განლაგებულია ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც დამონტაჯებულია სათვალთვალპო კამერა. აქაც განგვიმარტა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომ

არჩევნების დღეს აღნიშნული სათვალთავლო კამერა გაითიშება. უბანზე გაკრულია ამომრჩეველთ სიები და საინფორმაციო პლაკატები.

ორგანიზაციები:
“საერთაშორისო კულტურის ცენტრი”
“საზოგადოებრივი დამცველი”

Gldani Prison

PEC #115 is designated for staff of the prison. **In previous elections, all prison staff were required by practice to vote at the prison. This year, only staff that are working on election day are on the voters this for this PEC.** The public voters list is posted in a place where all staff can easily check it.

PEC #116 is designated for prisoners who are eligible to vote. There are 1044 prisoners on the voters list. **Unfortunately, the public voters list for the prisoners is not located in a place where many of them will be able to see it.** Prisoners can ask their lawyers to check the list on their behalf, but this is not likely to happen. When eligible voters were asked by prison staff if they planned to vote, less than 700 responded in the affirmative. But not all of those voters have access to ID cards, which are required. The Social Services Department of the prison is working to get ID cards for those prisoners who wish to vote. They even offered to contact family members of eligible voters so that they could bring their ID cards from their homes, which in some cases are in other regions.

It is interesting to note that for 2012 Parliamentary elections, this prison had 1800 more prisoners (3500 total) than they do now. Yet only a few hundred voted last year, while up to 700 plan to vote this year.

Georgian Dream has delivered 30 campaign posters to the prison. These have been divided evenly and posted in every block of the prison in places where eligible voters will see them. GD also delivered one brochure for every cell.

UNM delivered 3 posters, but two of them were quickly destroyed by prisoners. The third is hanging in the first block alongside the GD posters.

We ran into members of the PEC, who were visiting at the same time. Most members have prior experience in election administration. We saw the two locations where the PECs will be set up.

Isani Prison

PEC #81 is designated for both the staff and inmates of this prison. There are 50 staff and 24 prisoners on the voters list, including **BachoAkhalaia** and **VanoMerabishvili**. Of the 24 prisoners, 12 have formally indicated to prison officials their intent to vote.

This prison had 1200 inmates at the time of Parliamentary elections last year, but since then over 1000 of those have been released.

In terms of campaign materials, only 1 UNM poster was delivered to the prison by the DEC. It was put in the small space prisoners use for walking. It was torn down with 24 hours. When prison staff asked the inmate why he had torn it down, he replied that he was in prison because of UNM so didn't like them.

We spoke with multiple PEC members who were present. They have experience in election administration and said that PEC members were assigned based on a fair process. We saw where they intend to assemble the PEC; they've already set up the room with tables and chairs in appropriate places.

When asked how the high profile prisoners would vote, prison staff told us that they have chosen the one room/office that doesn't have a camera (where secret ballots can be cast) and will place the mobile ballot box there. Prisoners will be able to come one by one to vote to vote via the mobile box. Members of the PEC and what prison officials called "two observers" will be with the mobile ballot box. The PEC members told us that prisoners will be able to vote in the PEC itself (without using the mobile box) if they request.

When asked if the prisoners are talking about politics, the prison staff said that they have no contact with each other and can only communicate with prison staff.

As we were leaving, a staff member told us that this is the first time in her long career with Corrections that she will be able to vote at her home PEC and not at work. She was very happy about this.

I plan to go back to these two prisons (3 PECs) on election day to observe the vote.

--
Danielle Reiff
Director, Office of Democracy and Governance
USAID/Georgia
Office ext: 4112

მემორანდუმი

2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

ახალი თაობა - ახალი ინიციატივა

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი ორგანიზაციები, ვაცნობიერებთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობას, ვიზიარებთ რა ადამიანური განზომილების შესახებ ეუთო-ის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას მასზედ, რომ უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის“ (მუხლი 5.4) და, რომ სახელწიფომ უნდა უზრუნველყოს „პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მისცეს მათ ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი პირობების საფუძველზე“ (მუხლი 7.6),

ვთანხმდებით, რომ საარჩევნო კოდექსის 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ქვემოთ მოყვანილი ნორმები ჩვენს მიერ განმარტებულია მემორანდუმის ტექსტის შესაბამისად. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს ვიხელმძღვანელებთ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით.

1. **საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი:**

4. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ:

„თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს“

საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტი:

„გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.”

კომენტარი/განმარტება – სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩაითვლება საჯარო მოხელის მხრიდან უშუალოდ სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულება, მათ შორის ანაზღაურებადი დრო. ამ ნორმის მიზნებისთვის სამუშაო საათებში არ ჩაითვლება დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული შესვენებისთვის განკუთვნილი დრო.

2. **საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი:**

„სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;“

კომენტარი/განმარტება - შენობების ერთი პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების ან საარჩევნო სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს ან სარჩევნო სუბიექტებს არ მიეცა, ეს ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ ნორმაში მოცემულ – საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, აღნიშნული ნორმა მოიცავს:

ა) იმ პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში მყოფ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებულ ქონებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე იმ კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებულ ქონებას, რომლებშიც სახელმწიფოს წილი შეადგენს 20%-ს ან მეტს.

3. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი:

„ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება.

კომენტარი/განმარტება – სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება იკრძალება, გარდა პოლიტიკური პარტიებისა.

ამ მუხლის მიზნებისათვის ორგანიზაციებად, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განიხილებიან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საჯარო და კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებშიც სახელმწიფო წილი შეადგენს 20%-ს ან მეტს.

4. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება,

კომენტარი/განმარტება – იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენებაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

საქართველოს კანონის "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირებს საარჩევნო კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს ან მოეხსნას: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს მთავრობის წევრს; საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურეობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

5. საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი:

„ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;“

კომენტარი/განმარტება – საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა, მათ შორის, სამსახურეობრივად დაქვემდებარებულ პირებთან შეხვედრის დროს თანამდებობის პირის მიერ პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის წარდგენა, ან რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერი, ან მისი საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის, ტერმინი „სხვაგვარად დამოკიდებული პირები“ აღიქმება როგორც პირები, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულნი არიან აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

დავით კირთაძე	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
თეა წულუკიანი	უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის
ეკა გიგაური	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
კახა კახიშვილი	საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრი
ეკატერინე ფოფხაძე	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ნინო ლომჯარია	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
ვლადიმერ ბოჟაძე	სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
კონსტანტინე კანდელაკი	სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
მიხეილ დევდარიანი	ახალი თაობა - ახალი ინიციატივა
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]

დანართი 11

ცხრილი №1

N	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)	ინსტიტუციური მხარდაჭერა 2013 წლის საარჩევნო პროექტებისთვის	თბილისი რეგიონები	99.996 ლარი
2	ახალი თაობა-ახალი ინიციატივა	ახალი თაობა-ახალი ინიციატივა 2013	რეგიონები	99655 ლარი
3	დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება	დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოების მხარდაჭერა	თბილისი რეგიონები	34900 ლარი
4	განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)	ძლიერი სამოქალაქო სექტორი, განვითარებისა და დემოკრატიისათვის	თბილისი რეგიონები	34950 ლარი
5	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	ორგანიზაციის ინსტიტუციონალური გაძლიერება	თბილისი	35000 ლარი
6	სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი	ჩვენ ხალხის გვერდში, არჩევნები დემოკრატიის გზა	თბილისი	29950 ლარი
7	ჯანმრთელი სამყარო	ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერება მისი გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად	თელავი, გორი ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი	26735 ლარი
8	ევროპული დემოკრატიული ცენტრი	არასამთავრობო სექტორი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის	თბილისი	25320 ლარი

ცხრილი №2

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	სამოქალაქო განვითარების საერთაშორის ქსელი	პროცესების გამჭვირვალობა და შეფასება	მცხეთა-მთიანეთი	19.995 ლარი
2	კვლევისა და განვითარების ასოციაცია	საარჩევნო გარემოს რეგიონალური კვლევა	შიდა ქართლი	16.926 ლარი
3	სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები	საარჩევნო გარემოს კვლევა შიდა ქართლის რეგიონში	შიდა ქართლი	19.970 ლარი
4	გენდერული კულტურის ცენტრი	გურიის რეგიონის საარჩევნო გარემოს კვლევა პარიტეტული საარჩევნო პროცესისათვის	გურია	14.600 ლარი
5	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში	სამეგრელო	20.000 ლარი
6	ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები	რეგიონი აჭარა	აჭარა	19.901 ლარი
7	ევროპულ დემოკრატიული ცენტრი	საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას ქვემო ქართლში	ქვემო ქართლი	19.950 ლარი
8	დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების აკადემია	საარჩევნო გარემოს კვლევა კახეთის რეგიონში	კახეთი	19.950 ლარი

ცხრილი №3

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ქალები მომავლისათვის	„მიდი, აირჩიე“	კახეთი (საგარეჯო)	3998.4 ლარი
2	კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი	პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკურად ოსი, ქისტი და ნატურალიზებული ჩეჩენი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება, განათლება, ცნობიერების ამაღლება და მოტივირება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად	პანკისის ხეობა	4000 ლარი
3	ქალი და განვითარება	„ვიმოქმედოთ ერთად“	შიდა ქართლი სამცხე-ჯავახეთი	7000 ლარი
4	კავკასიური მოზაიკა	„მე ვირჩევ პრეზიდენტს“	კახეთი	4000 ლარი
5	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	„ეთნიკურ უმცირესობათა შესაძლებლობების განვითარება“	საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი	4000 ლარი
	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	”მდგრადი საარჩევნო ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა სამეგრელოსა და ქართლის რეგიონში”	სამეგრელო და შიდა ქართლი	7000 ლარი
7	ჯანმრთელი სამყარო	„ბოშათა თემის ინფორმირებულობა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით“	თბილისი, გაჩიანი	4000 ლარი
8	Post - ალიონი	გურიის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების (მუსულმანი) ქალების ინფორმირება და გააქტიურება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის	გურია	3970 ლარი

ცხრილი №4

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი" (CDD)	ძლიერი სადამკვირვებლო ორგანიზაციები – საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის	თბილისი და 10 რეგიონი	49985 ლარი
2	სამოქალაქო ინიციატივა-სამართლიანი არჩევნები	„სადამკვირვებლო მისია - საარჩევნო პერიოდში"	თბილისი და რეგიონები	49952.50 ლარი
3	ახალი თაობა – ახალი ინიციატივა	საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მონიტორინგი, პარალელური დათვლა	თბილისი, რაიონები	7990 ლარი
4	საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	სადამკვირვებლო მისია 2013	თბილისი, ქუთაისი	50000 ლარი

ცხრილი №5

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	ახალგაზრდული არჩევანი 2013	თელავი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი	29350 ლარი
2	გენდერული კულტურის ცენტრი	ჩემი პირველი არჩევნები	კახეთი	30000 ლარი
3	„სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი“	“ინფორმირებული ამომრჩეველი, დემოკრატიული არჩევნებისთვის”	მცხეთა - მთიანეთი	29930 ლარი
4	ფონდი ALPE	წარმატებული არჩევნები - მდგრადი დემოკრატია	თბილისი და 10 რეგიონალური ცენტრი	29140 ლარი
5	“ევროპულ დემოკრატიული ცენტრი”	„სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებით“	ზუგდიდი	29900 ლარი
6	კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	თანაბარი საარჩევნო გარემო-პირობების შექმნის ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის	ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, ზუგდიდი	27660 ლარი
7	„საზოგადოებრივი დამცველი“	საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლის როლის გააქტიურება	კახეთი და ქვემო ქართლი	29080 ლარი
8	საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	„საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლის როლის გააქტიურება“	კახეთი და ქვემო ქართლი	26995 ლარი
9	“ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი”	აქტიური ახალგაზრდა ამომრჩეველთა ქსელი-დემოკრატიული არჩევნებისათვის	სამცხე - ჯავახეთი	28490 ლარი
10	დემოკრატიის ქსელი	ინფორმირებული ამომრჩეველი 2013	მცხეთა-მთიანეთი	28450 ლარი

11	ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სამონიტორინგო ჯგუფი	ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკურ აზერბაიჯანელ ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა	ქვემო ქართლი	16165 ლარი
12	„ეროვნული დემოკრატიის საზოგადოებრივი დარბაზი“	„საპრეზიდენტო არჩევნები - ახალი პოლიტიკური სისტემის ჭრილში“	სამეგრელო	27 640 ლარი

ცხრილი №6

№	დაფინანსებული ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	პროექტის განხორციელების ადგილი	პროექტის ღირებულება
1	დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების აკადემია	კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობების შესწავლა/ანალიზი	თბილისი რეგიონები	59250 ლარი
2	ააიპ „საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი“ (GIDC)	ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროექტების შეფასება საქართველოს მასშტაბით	თბილისი რეგიონები	59112 ლარი
3	კავშირი ბი–სი–ჯი კვლევა	ამომრჩეველთა განათლების პროგრამების შესწავლა/ანალიზი	საქართველო	59200 ლარი

დანართი 12

საინფორმაციო ბრიფინგების განრიგი 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს

1. 9:00 სთ
2. 10:30 სთ
3. 13:00 სთ
4. 17:00 სთ
5. 18:00სთ
6. 21:00სთ
7. 00:00 და 02.00 საათზე.

დანართი 13

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის

არჩევნების შედეგების შემაჯამებელი

ოქმი

თბილისი 2013 წლის 12 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის, 70-ე, 76-ე მუხლების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 104-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და დაადგინა:

I. ამომრჩეველთა რაოდენობა: 3 537 719

II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 1 660 976

III. ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 30 101

IV. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:

№	სახელი და გვარი	მიღებული ხმების რაოდენობა	%
1	თამაზ ბიბილური	687	0.04
2	გიორგი ლილუაშვილი	1 909	0.12
3	სერგო ჯავახიძე	2 107	0.13
4	კობა დავითაშვილი	9 838	0.6
5	დავით ბაქრაძე	354 103	21.72
6	აკაკი ასათიანი	1 559	0.1
7	ნინო ჭანიშვილი	2 276	0.14
8	თეიმურაზ ბობოხიძე	356	0.02

9	შალვა ნათელაშვილი	46 984	2.88
10	გიორგი თარგამაძე	17 354	1.06
11	ლევან ჩაჩუა	3 093	0.19
12	ნესტან კირთაძე	762	0.05
13	გიორგი ჩიხლაძე	820	0.05
14	ნინო ბურჯანაძე	166 061	10.19
15	ზურაბ ხარატიშვილი	3 718	0.23
16	მიხეილ სალუაშვილი	1 376	0.08
17	ქართლოს ღარიბაშვილი	530	0.03
18	მამუკა ჭოხონელიძე	315	0.02
19	ავთანდილ მარგიანი	627	0.04
20	ნუგზარ ავალიანი	664	0.04
21	მამუკა მელიქიშვილი	995	0.06
22	თეიმურაზ მჟავია	1 285	0.08
41	გიორგი მარგველაშვილი	1 012 569	62.12

საქართველოს პრეზიდენტად არჩეულია **გიორგი მარგველაშვილი.**

კომისიის თავმჯდომარე /თამარ ჟვანია/

კომისიის მდივანი /გიზო მჭედლიძე/